საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

აკად. ო. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1026
2005

# რ უ ს თ ა ვ ი

# III



თბილისი
2005

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

აკად. ო. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

# რ უ ს თ ა ვ ი

## III

ეძღვნება

გამოჩენილი არქეოლოგის და საზოგადო მოღვაწის
გიორგი ლომთათიძის ნათელ ხსოვნას

თბილისი

2005

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებული „რუსთავი III“ ეძღვნება ქრუსთავის ციხეზე გათხრილი დღემდე გამოუქვეყნებელი საერო სასახლის პუბლიკაციას. მასში მოცემულია ძეგლის დახასიათება და მისი მეცნიერული ანალიზი. ახლებურადაა გაშუქებული ქრონოლოგიის საკითხები. მასალა განხილულია ანალოგიური ძეგლების ფონზე. ერთვის საველე და გრაფიკული ილუსტრაციები.

ნაშრომი განკუთვნილია არქეოლოგების, ისტორიკოსების და ძველი კულტურით დაინტერესებულ მკვლევართა ფართო წრისთვის.


რედაქტორი: ისტ. მეც. დოქტორი პროფ. ვ.ჯაფარიძე

რეცენზენტები: ისტ. მეც. დოქტორი დ.მინდორაშვილი

ისტ. მეც. კანდიდატი ნ.მამაიაშვილი



902/904 (479.22)
რ 936


ISSN 1512-2611

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინასიტყვაობა

კრებული „რუსთავი" III" ეძღვნება რუსთავის ნაციხარზე გათხრილი სასახლის შესწავლას. სასახლის კომპლექსის გათხრა დაიწყო 1959,1961, 1965 წლებში გ.ლომთათიძის ხელმძღვანელობით. ამ წლებში მუშაობა მცირე მასშტაბით მიმდინარეობდა. გ.ლომთათიძის გარდაცვალების შემდეგ სასახლის გათხრა განახლდა 1974 წელს და გრძელდებოდა 1976 წლამდე (ხელმძღვანელი ნ.უგრელიძე); ძირითადად სწორედ ამ წლებში გამოვლინდა იგი. დამატებითი სამუშაოები აქ ჩატარდა 1977,1981-82 და 1985 წლებში (ხელმძღვანელი ც.ჩიკოიძე).

სასახლე და მის კომპლექსში შემავალი აბანო წინასწარულ ანგარიშებში მიჩნეული იყო გვიანი შუა საუკუნეების ძეგლად.

შემდგომმა გათხრებმა ეს არ დაადასტურა. გაირკვა, რომ იგი ძირითადად მოიცავს ორ ქრონოლოგიურ პერიოდს: IX-XI და XII-XIII საუკუნეებს.

მართალია, ობიექტური მიზეზების გამო, სასახლე სადღეისოდ ბოლომდე არ არის გათხრილი და შემდგომმა თხრამ შესაძლოა ბევრი რამ დააზუსტოს ან შეცვალოს, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოგვეტანა სადღეისოდ მიღებული შედეგები, რადგან რუსთავის ნაციხარზე გათხრილი სასახლე წარმოადგენს შუა საუკუნეების საქართველოს საერო ნაგებობების უნიკალურ ძეგლს.

მუშაობის დროს ვსარგებლობდით გ.ლომთათიძის გამოქვეყნებული თეზისებით; ასევე რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრების ი.არჩვაძის (იგი თავიდანვე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ უბანს), ნ.უგრელიძის, ც.ჩიკოიძის, მ.ჩხატარაშვილის, ე.ჯანდიერის, ი.ჯაფარიძის დღიურებითა და ПАИ-ში გამოქვეყნებული შესაბამისი წლების ანგარიშებით; შევისწავლეთ ამ უბანზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.

საველე ანაზომები შეასრულეს არქიტექტორებმა ა.ამბრიაშვილმა, ბ.მჭედლიშვილმა, კ.მელითაურმა, მ.ქურდაძემ, მ.ყარაშვილმა სამხატვრო სამუშაოები - ნ.თოფურიძემ, ც.მჩითავიშვილმა, ო.კონიაშვილმა, მ.ჩიკოიძემ; ფოტო სამუშაოები - მ.კოზლოვსკიმ, ვ.სავინმა, ი.ნესკოროდიევმა, ნ.არჩვაძემ.[1]

[1] ნაშრომი შესრულებულია 1997 წელს.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული

+ თინა არჩვაძე, ცისანა ჩიკოიძე, მერი ჩხატარაშვილი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რუსთავში გათხრილი საერო სასახლე

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქის რუსთავის ნაციხარზე (ტაბ.I) თხრა გლომთათიძემ 1959 წელს დაიწყო და მცირედი ინტერვალებით გრძელდებოდა 1987 წლის ჩათვლით. ამ ხნის განმავლობაში არქეოლოგიურად შესწავლილია რუსთავის ციხის ფართობის (1,8ჰა) თითქმის ნახევარი. აღმოჩნდა: ციხის სასიმაგრო ნაგებობები -IV-VIII, IX-XI და XII-XIII სს. ზღუდეები; ორი სასახლე თავისი აბანოებით; საცხოვრებელი ნაგებობები თავისი საკომუნიკაციო მოწყობილობებით და მრავალრიცხოვანი მაღალი ხარისხის სამომხმარებლო ნივთებით; გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული ტიპის ეკლესია და მეფის რეზიდენციის მცირე ნაშთები.

ამჟამად, ჩვენი კვლევის მიზანია ციხის ტერიტორიაზე გათხრილი საერო სასახლე, რომელიც მდებარეობს ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. ტრადიციულად იგი აშენებულია ციხის ყველაზე დაცულ და გაბატონებულ ნაწილში.

დღევანდელი გაგებით „სასახლეს“ უძველესი ტერმინია „ტაძარი“. ივ.ჯავახიშვილის მიხედვით „ტაძარი“ იმის მაჩვენებლია, რომ საეკლესიო ხუროთმოძღვრება სამოქალაქოსაგან წარმოდგება. V ს. საქართველოში ტაძარი წარჩინებული მოხელის სახლს ეწოდებოდა. VIII-X სს. ტაძარი ისევ სასახლის მნიშვნელობით იხმარება, ხოლო საკულტო ნაგებობას „ეკლესია“ დაერქვა. თამარ მეფის დროს კი ტაძარმა საეკლესიო ნაგებობის მნიშვნელობა მიიღო [76, გვ.12]. შემდგომი ტერმინი, რომელიც სასახლის მნიშვნელობით იხმარებოდა არის „პალატი“. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „პალატი -ვრცელი და დიდი სახლი -ბერძნულია, ქართულად დარბაზი ჰქვიან“. [42, გვ.610]; ხოლო „დარბაზი“ ასეა განმარტებული: „სამეფო დიდი სახლი, სამეფო სახლი, დიდი სახლი“ [42, გვ.196]. ივ.ჯავახიშვილის აზრით, ტერმინი „დარბაზი“ სასახლის მნიშვნელობით IX ს. II ნახევარში ჩნდება [76,გვ.14]. დღევანდელი გაგებით ტერმინი „სასახლე“ ვრცელდება XV ს. პირველად იგი გვხვდება გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებაში“ [76, გვ.14].

როგორც აღნიშნული იყო, რუსთავის სასახლე მდებარეობს ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. 1959 წელს დიდ ალიზიან ბურჯთან (№1) გაითხარა აბანო, რომელიც აღმოსავლეთ ზღუდეზე გარედან არის მიდგმული და ზღუდეში ჩაჭრილი კიბეებით უკავშირდება მის შიგნით მდებარე სასახლეს [21, გვ.51,53,55; 30, გვ.32-34].[1]

აღნიშნული კიბეების თავზე, აღმოსავლეთი ზღუდის გასწვრივ, გაიჭრა X თხრილი. წერაქვის პირველ პირზევე გამოჩნდა რიყის ქვის ნაყარი, აგურისა და ალიზის შელესილი კედლის ნარღვევები (ტაბ.II), რომელიც უკვე მიგვანიშნებდა, რომ საქმე უნდა გვქონოდა დიდი ნაგებობის ნაშთებთან. 1965 წელს თხრილი გაფართოვდა დასავლეთით და სამხრეთით (ფართობი 240მ²). მუშაობა ძირითადად მიმდინარეობდა $B_{1,2,8}$; $C_{1-7}$, $E_{1-7}$, $F_{1-7}$ კვადრატებში (ტაბ.III). მთელი ფართობი მოფენილი იყო აგურით ნაგები შელესილი კედლების ნარღვევებით, რომლებიც მოხატული ან ამოკვეთილი ორნამენტით იყო შემკული (ტაბ.II,2). $C_{3-6}$, $D_{2-6}$, $E_6$ კვადრატებში გამოვლინდა ნაგებობა, რომელიც ორი სათავსოსაგან შედგებოდა.

ერთი-№1 სათავსო (იგივე I ოთახი)[2] უტიხრო ალიზითაა[3] ნაგები, მეორე-№2 სათავსო (იგივე II ოთახი) კი აგურით. მათი კედლები თხრილის დასავლეთ ჭრილში გრძელდებოდა.

თხრილის სამხრეთით (კვ.$C_8$) გაკეთდა საკონტროლო ჭრილი. თავი იჩინა ქვითკირით ნაგებმა კედელმა, როგორც შემდეგ გაირკვა - პილონმა. აქვე გ.ლომთათიძე ვარაუდობდა ეკლესიის არსებობასაც, რომელთა გამოვლენას ხელს უშლიდა ტექნიკური დაბრკოლებები [22, გვ.53; 23, გვ.56].[4]

---

[1] 1973 წლის გათხრებმა ციხის აღმოსავლეთ ნაწილში გამოავლინა ახალი, XII ს. ზღუდის ნაშთები (სიგრ.-40მ), რამაც თვალსაჩინო გახადა, რომ დანარჩენი მხარეებისაგან განსხვავებით, ციხის აღმოსავლეთ ნაწილში XII--XIII სს. ერთდროულად მოქმედებდა ორი ზღუდე [55, გვ.75]; სასახლისეული აბანო კი ამ ორ ზღუდეს შორის იყო მოქცეული.

[2] დასაწყისში სათავსოები დავნომრეთ არაბული ციფრებით. სასახლის კომპლექსის გამოკვეთის შემდეგ სათავსოები შევცვალეთ ტერმინით ოთახები, ხოლო არაბული ციფრები-რომაულით. ვფიქრობთ, უმჯობესია, სიმარტივისათვის სასახლის ოთახებისათვის თავიდანვე ვიხმაროთ რომაული ციფრები (მაგ; სასახლის I ოთახი და ა.შ.); ოთახები დაინომრა აღმოჩენის თანმიმდევრობის მიხედვით.

[3] უტიხრო ალიზი -ესაა ქვიშაზე დადებული ალიზის კვადრები, ხოლო სხვა შემთხვევაში ალიზის კვადრები ჩასმულია გაჯის ბუდეში (მაგ; დიდი ბურჯი№1).

[4] ტექნიკურ დაბრკოლებას წარმოადგენდა რუსთავის არხის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით XX ს. დასაწყისში აგებული სახლი, რომელიც რამდენიმე მეტრზე იდგა აღნიშნული პილონიდან. სახლი 1965 წელსვე იქნა აღებული, ხოლო გამორჩეული ძველი ჩუქურთმიანი ქვები რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადაიტანეს. შემდეგ გაირკვა, რომ თანამედროვე სახლი მონღოლების შემოსევის შემდგომი ხანის დარბაზული ტიპის ეკლესიაში იყო ჩადგმული [130, გვ.246-247].

1959, 1961 და1965 წლებში ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გამოვლენილი ნაგებობების ნაშთები ექსპედიციის ხელმძღვანელმა გ.ლომთათიძემ მაშინვე სასახლის კომპლექსად მიიჩნია.[1] სასახლე ძირითადად გაითხარა 1974--1975 წლებში.[2]

1974 წელს[3] მუშობა განახლდა X თხრილის (სასახლის უბანი) დასავლეთით. ძველ განათხარს (640მ$^2$) მიემატა ახალი ფართობი (300მ$^2$). იგი მოიცავს კვადრატებს:16$_{23-25,}$ 26$_{3-5,8-10,\ 13-15,\ 18-20;}$ 27$_{6,11,16.}$ ამ ფართობზე გამოიკვეთა რიყის ქვითა და ყვითელი ნაგლეჯი ქვით ნაგები დიდი მასივური შენობის ნაშთი (კვ. 26$_{4,9,14,15}$) სამხრეთი[4] და დასავლეთი[5] კედლებით. მის ქვეშ გამოჩნდა უფრო ადრეული, თევზისფხურად ნაგები რიყის ქვის კედლის ნაშთი.[6] ზედა მასივური შენობა გვიანი შუა საუკუნეებისაა და როგორც შემდეგ გაირკვა, მისი კედლები სასახლის II და III ოთახზე გადადიოდა.

1974-75 წლებში ძირითადად გაითხარა სასახლის I--V ოთახი და კორიდორი, ხოლო 1976--77 წლებში VI--VII ოთახი და თავდაპირველი სასახლის კიბეები. აღნიშნულ და შემდგომ 1981-82 და 1985 წლებში მუშაობის მიზანს წარმოადგენდა სასახლის სრული გეგმარების გამოვლენა.

სასახლის კომპლექსი მიდგმულია რუსთავის ციხის ჩრდილო--აღმოსავლეთი კუთხის დიდ ალიზიან ბურჯზე და ჩრდილო და აღმოსავლეთ ზღუდეზე. მოიცავს 7 ოთახს, კორიდორსა და აბანოს (ტაბ.IV).

ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, რომ სასახლის კომპლექსი განვიხილოთ და წარმოვადგინოთ ოთახების მიხედვით და შესაბამისად, განათხარი სამუშაოების თანმიმდევრობით.

---

[1] ეს უბანი -ალიზიანი ზღუდე და ბურჯი, მასზე მიდგმული სასახლე და აბანო, სარკმლის მინა მიჩნეული იყო გვიანი შუა საუკუნეების ძეგლად [21, გვ.51,53,55; 22, გვ.53; 30, გვ.34, 46; 24, გვ.39; 3, გვ.223-237; 61, გვ.11-13].

[2] 1965 წლის შემდეგ ექსპედიციამ მუშაობა განაახლა მხოლოდ 1972 წელს.

[3] 1974 წელს არქიტექტორმა კ.მელითაურმა 1973 წლის ციხის გეგმისა და 1965 წელს შესრულებული ტოპოგეგმის მიხედვით შეადგინა ციხის კვადრატების ახალი ბადე, რომელზედაც გადაიტანა ძველი განათხარი. თითოეულ დიდ კვადრატში (20X20 მ), არის 25 პატარა (4X4 მ$^2$).

[4] კედლის სიგრ. -6მ, სიგ. -0,8მ, ს. -0,8-0,9 მ.

[5] შემორჩ. სიგრ. -16 მ. სიგ. -0,8მ., ს. -1,2 მ.

[6] შემორჩ. სიგრ. -25 მ. ს. -45 სმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავი I

## ს ა ს ა ხ ლ ი ს  ა ღ წ ე რ ა

I ო თ ა ხ ი ჩრდილოეთ ზღუდეზეა მიდგმული. 1965 წელს გაითხარა აღმოსავლეთი ნაწილი. თანდათან გამოისახა II ოთახთან გამყოფი კედელი, რომელსაც ჩრდილოეთ პირზე გაუყვებოდა აგურით ამოყვანილი და ნაცრისფერი გაჯით შელესილი „პლინტუსი." როგორც შემდეგ გაირკვა, ეს იყო II ოთახის და კორიდორის საერთო კედელი; I ოთახი კი კორიდორის ჩრდილოეთით მდებარეობდა. I ოთახში გამოვლივდა თაღიანი შესასვლელიც, რომელიც აგრეთვე კორიდორის კუთვნილი ყოფილა.

I ოთახის აღმოსავლეთი კედელი[1] ნაგებია უტიხრო ალიზით; წყობა კარგადაა შემორჩენილი; მოპირკეთებულია აგურით (ტაბ.V,1). იგი ჩაშენებულია ქვითკირით ნაგებ ორ პილონს შორის.[2]

I ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა მიწაში ნახევრად ჩადგმული რგალებით შემკული მარცვლეულის შესანახი, ძირგახვრეტილი დიდი ქვევრი (ტაბ.II,2). იგი სამი მხრიდანაა შემოზღუდული: დასავლეთით და აღმოსავლეთით ცალფა აგურით; სამხრეთით - ბათქაშით შელესილი აგურის კედლით. მისასვლელი მხოლოდ ჩრდილოეთიდანაა. გარშემო შემოუყვება აგურფენილი იატაკი. აგურფენილის ქვეშ აღმოჩნდა მსხლისებრი ხელადა; ქვევრის ამოწმენდისას კი მოხატული ბათქაშები, აგურები, თაღის ნანგრევის დიდი ნაწილი და ამავე ქვევრის პირის ნატეხი, რომელსაც ბაკოზე გამოწვამდე ამოკაწრული ჰქონდა ასომთავრული „ე" (ტაბ.XXVIII,6).

I ოთახის დასავლეთ ნაწილში სიღრმეში ჩასვლისას (კვ.$26_{5,10}$) გამოიკვეთა ორსაფეხურიანი ნანგრევი. მის დასავლეთით კი გამოჩნდა ჩრდილოეთით მიმართული ბათქაშით შელესილი კედლის ნაშთი, რომელიც ოთახის დასავლეთი კედელი უნდა ყოფილიყო. გაირკვა, რომ კიბეების მსგავსი წყობა in situ არ არის; იგი გადმოქცეული კედლის კუთხის ნარღვევია. მის დასავლეთით ცალ მხარეს შელესილი აგურის კედლის ნაშთს გამოუჩნდა სამხრეთი პირიც; კარგად გამოისახა კუთხეც. ე.ი. ეს კედელი დაუკავშირდა აქ გამოვლენილ ალიზ-აგურის წყობას, რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული; იგი წარმოადგენს I ოთახის დასავლეთ კედელს და საერთოა სხვა სათავსოსთან.

ამრიგად, გამოჩნდა სასახლის კომპლექსის ახალი, III ოთახის სამხრეთ--აღმოსავლეთი კუთხე.

---

[1] სიგრ. -4,3 მ; სიგ. -1,5მ; ს. -1,15 მ.

[2] ჩრდ. პილონის ზომა (2,1X1,15 მ), სამხრეთის (2X1,25 მ).

I ოთახის დასავლეთ ნაწილში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა აგურები,[1] ბათქაშის ნატეხები, ამოკაწრული ორნამენტით შემკული ან ადამიანისა და ცხოველის ფიგურებით მოხატული; აგრეთვე გიორგი III მონეტა, მოჭრილი 1156-60 წლებში (04-74-989).[2]

ოთახის ჩრდილოეთ ნაწილში განსაკუთრებით ძლიერი იყო ცეცხლის კვალი: დამსკდარ-დამწვარი აგურები, ბათქაშები, კერამიკა; ერთ დამწვარ ძელზე, ბათქაშებს შორის აღმოჩნდა 1227 წელს მოჭრილი რუსუდანის მონეტა (04-74-983). განსაკუთრებით ბევრი ნანგრევი იყო ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში; აქ ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ კედელი ერთბაშად გადმოქცეულა; მასში გვხვდება სარკმლის მინის ნატეხები, ბათქაშიანი კედლის ნარდგევი მხედრის გამოსახულებით, დანახშირებული ძელი, ღარისებრი და გვერდებაკეცილი კრამიტები, ზოგი მათგანი ლურსმნის დასამაგრებელი ნახვრეტით და სხვ. (04-74/1278-1286). ჩრდილოეთი კედელი მთლიანად გადმოქცეულია. XII-XIII სს. საინტერესო მასალა ამოვიდა $16_{25}$ კვადრატის დასავლეთ ნაწილში, დამწვარი ფენიდან: კანელურებიანი სასმისი, დამწვარი მრავალფერადი ჯამები, ნიჟარისებრი ჭრაქები და სხვ.[3] განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ბრინჯაოს შტანდარტი (04-74-1328). ოთახის მთელ ფართობზე ალიზის ნაშალი ფენის ქვეშ გამოვლინდა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკა, მინის ნაწარმი. ამ სიღრმეზე დამწვარი ფენა არ შეინიშნება. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ოთახის მთელი მასალა რაც იატაკზე გადმოვარდა, თუ იატაკზე იდგა (სპილენძის ქვაბი გაჭყლეტილია, თიხის დოქები კი მთელადაა შემორჩენილი) მოექცა ჩრდილოეთი ზღუდიდან გადმოქცეული ალიზის ქვეშ. ალიზზე კი გადადიოდა ძლიერი დამწვარი ფენა.

I ოთახის ჩრდილოეთი კედელი[4] ზღუდეზეა მიდგმული. დიდ ფართობზე შემორჩენილია შელესილობის, ხოლო კედლის ძირში კირხსნარიანი აგურფენილის ნაშთი (1,5x2,25 მ). აგურფენილი[5] იატაკის (ტაბ.V,2) დონეზე აღმოჩნდა XII-XIII სს. მასალა (04-75/2200-2209).

დასავლეთი კედელი ჩაშენებულია ორ პილონს შორის. იგი[6] დგას რიყის ქვის ცალპირა წყობაზე; ნაგებია უტიხრო ალიზით. ამ კედლის ძირიდან, ოთახის შუა ნაწილში, პერპენდიკულარულად გადის ორი პირი რიყის ქვით ნაგები კედლის ნაშთი,[7] რომელსაც თავზე უტიხრო ალიზი ადევს (ტაბ.VI,1).

---

[1] აგურის ზომებია: (24X24X4 სმ) და (36X36X3,5 სმ) №04-74-958.

[2] მასალას ვუთითებთ რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე წიგნის მიხედვით. ყველა მონეტა განსაზღვრა ისტ. მეცნ. დოქტორმა ირ.ჯალაღანიამ; 1975 წლის ჩათვლით მოპოვებული მასალა გამოქვეყნებულია [77, გვ.46-68].

[3] 04-74/1329-1336, 1923-1926, 1954-1956.

[4] სიღრ. -5,6 მ. შემორჩ. ს. -1,1 მ.

[5] აგურის ზომა: (28X28X5 სმ).

[6] სიღრ. -4,8 მ, სიგ. -0,7მ., შემორჩ. ს. -0,8 მ.

[7] სიღრ. -1,45 მ; სიგ. -65 სმ. ს. -0,8 მ.

I ოთახის ჩრდილო–დასავლეთი კუთხის პილონი (1,8x1,7x1,6 მ) საერთოა III ოთახთან (კვ.$16_{24}$). იგი მიდგმულია დარღვეულ ჩრდილოეთ ალიზიან ზღუდეზე; საკმაოდ მოზრდილია, ნაგებია შერეული წყობით: ყვითელი ქვა, აგური, რიყის ქვა, შეკავშირებულია დუღაბით. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში (კვ.$16_{25}$) ალიზის ჩამონგრეული მასის აღების შემდეგ გამოჩნდა აგურფენილი იატაკის ნაშთი (0,9x0,8 მ) XII-XIII სს. მასალით (04-76/2888-2895).

I ოთახის სამხრეთი კედელი[1] კორიდორის ჩრდილოეთ კედელს წარმოადგენს. იგი ნაგებია რიყის ქვისა და აგურის[2] მონაცვლეობით, ჩაშენებულია პილონებს შორის (კვ.$26_{4,5;}$ $27_{1}$). შიგნით, ჩრდილოეთ პირზე ჩართული აქვს კოჭების გასამართი 2 ღარი (სიგ.-2სმ). სამხრეთ კედელთან აღმოჩნდა ჯალალ-ად-დინის (04-75-2115), ხოლო მის ძირში ლაშა-გიორგის მონეტა (04-77-2913). სამხრეთ კედელს ძირი გაუთავდა.

იატაკის ქვეშ, ალიზის აღმოსავლეთი კედლის პარალელურად (მისგან 1,5 მ-ის დაშორებით) გამოიკვეთა უფრო ადრეული ხანის რიყის ქვის კედელი, რომელიც შედის I ოთახის ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების ქვეშ. როგორც შემდეგ გაირკვა, იგი კორიდორშიც გრძელდება. კედელი[3] კარგადაა ნაგები: ნაპირებზე მოზრდილი რიყის ქვით თიხაზე, შუაში კი წვრილი ქვითაა ამოვსებული. წყობა სიღრმეში გრძელდება (ტაბ.VI,1).

როგორც აღვნიშნეთ, I ოთახში აგურფენილი იატაკის ნაშთი ალაგ-ალაგაა შემორჩენილი. ამ დონეზე აღმოჩნდა სასახლის ფუნქციონირების ბოლო პერიოდის მასალა; კერამიკისა და მინის ნიმუშები: მოჭიქული ჯამების, სამელნის, ქილების ნატეხები; განსაკუთრებით აღსანიშნავია მრავალფერად მოხატული და მოჭიქული „მეფე-დედოფლის“ გამოსახულებიანი ჯამი (04-85-15). ცალკე გვინდა აღვნიშნოთ ჩრდილო–დასავლეთ კუთხეში (კვ.$16_{25}$) პატარა გროვა: ამოღარული ორნამენტით შემკული ცისფრად და ბადრიჯნისფრად მოჭიქული მეტ–ნაკლებად ნაკლული ჯამები (04-85/30-32); ლუსტრიანი ფაიანსის ხელადის ყელის ნატეხი (04-85-29) და ლაშა-გიორგის ორი გადაბმული სპილენძის მონეტა -ქვახვრელი II, 1210 წლის (04-85-28).

ზემოთ აღნიშნული მასალები XII-XIII სს, უფრო კი XIII ს. განეკუთვნება. რიყის ქვის კედელი კი, რომელიც სიღრმეში გრძელდება, უფრო ადრეულია, რადგან ის ოთახის იატაკისა და კედლების ქვეშ გადის.

---

[1] სიგრ. -5,9 მ, სიგ. -0,55 სმ. ს. -0,85 მ.
[2] აგურის ზომებია: (24X24X3,5სმ); (23X23X4სმ).
[3] სიგრ. -4,4; სიგ. -0,8 მ; შემორჩ. ს. -15-20 სმ.

***

ამგვარად, I ოთახი მიდგმულია ჩრდილოეთ ზღუდეზე (ტაბ.IV). მოიცავს $16_{19,20,24,25;}$ $17_{16,21;}$ $26_{4,5,10;}$ $27_{1}$ კვადრატების ნაწილებს. ფართობი -32მ.[2]

ჩრდილო და აღმოსავლეთი კედლები ალიზისაა. ნაგებია ქვიშანარევი თიხის ხსნარით. ყველა კედელი პილონებს შორისაა ჩაშენებული და დგას რიყის ქვის ცალპირა წყობაზე. ჩრდილოეთი კედელი უშუალოდ ზღუდეს ებჯინება. კარგადაა შემორჩენილი აღმოსავლეთი კედელი; იგი საერთოა IV ოთახთან. დასავლეთი კედლის წყობაში გამოყენებულია ალიზი, რიყის ქვა, აგური. კედლის შუა ნაწილში შეინიშნება მეზობელ, III ოთახში გასასვლელის ნაშთი. დასავლეთი კედლის და აგურფენილი იატაკის ქვეშ შედის აღმოსავლეთ–დასავლეთი მიმართულების რიყის ქვის კედელი, რომელიც I ოთახს თითქმის შუაზე ყოფს. სამხრეთი კედელი ნაგებია აგურით. კედელში არის ფოსო ხის კოჭისათვის, სხვა კედლებთან შედარებით იგი განიერია და საერთოა კორიდორთან. არც ერთი კედელი სიღრმეში არ გრძელდება.

ოთახს იატაკად კირხსნარით შეკავშირებული აგურფენილი აქვს. მისი ნაშთი შემორჩენილია უშუალოდ ჩრდილოეთ კედელთან, მის დასავლეთ და აღმოსავლეთ კუთხეებში, ხოლო ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლებზე შემორჩენილია შელესილობის კვალი.

ჩრდილო-დასავლეთი პილონი საერთოა I და III ოთახებისათვის. სამხრეთ-დასავლეთი პილონი შედარებით უფრო დანგრეულია (1,4x1,3x0,55 მ). ჩრდილო-აღმოსავლეთი პილონი ჩრდილოეთ ზღუდეზეა მიბჯენილი, საერთოა IV ოთახთან. იგი (2,75x1,2 მ). იწყება იმ რიყის ქვაფენილზე, რომელზედაც დევს ჩრდილოეთი ზღუდის ალიზი; ხოლო ოთახის შიგნით ეს პილონიც ბოლომდე არ არის ჩათხრილი. სამხრეთ-აღმოსავლეთი პილონი (2x1,25 მ), რომელიც კორიდორის ჩრდილოეთ ფრთასაც წარმოადგენს, კარგადაა შემორჩენილი. პილონები ნაგებია ყვითელი დიდი ნატეხი ქვის, რიყის ქვისა და აგურის შერეული წყობით, შეკავშირებულია დუღაბით. ყველა პილონი სიღრმეში გრძელდება; ცხადია ისინი უფრო ადრეულებია, ვიდრე მათ შორის ჩაშენებული კედლები, რომელთაც ძირი დაუშთავრდათ. I ოთახის კედლების ქვეშ გადის რიყის ქვის კედლები, რომლებიც უფრო ადრეულია.

I ოთახში მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მასალა[1] აღმოჩნდა; მაგრამ უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს (ისევე, როგორც IVოთახში) ცალკეულ სამშენებლო კერამიკასთან ერთად აღმოჩენილი კედლების საკმაოდ დიდი ნარღვევები მობათქაშებული და მოხატული ან ამოკაწრული ორნამენტით შემკული. ისინი

[1] არქეოლოგიურ მასალას ჯერ მოკლედ და ზოგადად ოთახების მიხედვით წარმოვადგენთ, შემდეგ კი მთლიანად სასახლეში აღმოჩენილ მასალას განვიხილავთ ცალკეული დარგების მიხედვით.

განეკუთვნება სასახლის არსებობის ბოლო პერიოდს. I ოთახში ყველაზე მრავლად წარმოდგენილია მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკა; ფაიანსის--განელურებიანი ჭურჭელი და ლუსტრით მოხატული პატარა ხელადა; მინის ნაწრმიდან დიდი რაოდენობითაა მრავალფერადი ორნამენტიანი სარკმლის მინა; ლითონის ნივთებიდან--ბრინჯაოს შტანდარტი, სპილენძის ქვაბი, ჭრაქი და სხვ.; რკინის ნივთებიდან: ასტამი, დანა, დიდი რაოდენობით დიდ-პატარა ლურსმნები და სამაგრები.

I ოთახში აღმოჩნდა XII-XIII სს 5 მონეტა: გიორგი III, რუსუდანის, ჯალალ-ად-დინის და ორი ლაშა-გიორგის.

II ო თ ა ხ ი მდებარეობს კორიდორის სამხრეთით, I და III ოთახების მოპირდაპირედ (ტაბ.IV). თავდაპირველად გაითხარა მისი აღმოსავლეთი ნაწილი. ოთახის აღმოსავლეთი კედელი[1] დაფუძნებულია რიყის ქვის ნაყარზე; ნაგებია: დასავლეთი პირი - აგურით, აღმოსავლეთი--ალიზით, აგურით და რიყის ქვით. ამ კედლის გარე პირი ცეცხლისაგან ძალზე გაწითლებული და ჩამოშლილია. დონის გათანაბრებისას მის სამხრეთ ნაწილში გამოჩნდა კირხსნარიანი მოედნის ნაშთი, რომელზედაც ეს კედელი გადადიოდა (კვ.$27_{16}$). ამავე დონეზეა და მის გაგრძელებას წარმოადგენს II ოთახის (კვ.$26_{20}$) სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან (გარედან) შემორჩენილი კირხსნარიანი მოედნის ნაშთიც (1x2,15 მ). ისინი ერთი დროისა უნდა იყოს.

II ოთახს სამხრეთიდან პერპენდიკულარულად ებჯინება რიყის ქვის კედელი, რომლის თავზეც აგრეთვე გადადიოდა კირხსნარიანი მოედანი. ოთახის სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები მხოლოდ აგურითაა[2] ნაგები. მათ შიგნიდან მიშენებული აქვთ აგურისავე ოთხკუთხა პილონები (1,15x1,25x0,75 მ), რომლებიც ოთახს ორ არათანაბარ ნაწილად ყოფს. კარგად გამოისახა რიყის ქვის გვიანდელი კედელი, რომელიც ამ პილონებს შორისაა ჩადგმული.

გვიანი ხანის დიდი მასიური ნაგებობის დასავლეთი კედლის ქვეშ გამოჩნდა აგრეთვე რიყის ქვით ნაგები კედელი, რომელიც მასზე ადრეულია, მაგრამ რომელ ნაგებობას უკავშირდება ვერ ირკვევა. (კვ.$26_{9,14}$). ორივე რიყის ქვის კედელი აგურის II ოთახზე გადადის.

ოთახის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე ძალზე დანგრეულია და მასზე გადადის რიყის ქვის კედლები. აქ გამოვლინდა რიყის ქვით ერთ პირად ტალახზე ნაგები ოვალური სათავსო (№4); მის იატაკზე აღმოჩნდა გვიანი შუა საუკუნეების,[3] ხოლო იატაკის ქვეშ ტიპური XII-XIII სს.[4] მასალები, რომლებიც რიყის ქვის №3 სათავსოს ეკუთვნოდა. №4

---

[1] სიგრ. -9 მ; სიგ. -1 მ; შემორჩ. ს. -1,5 მ.

[2] აგურის ზომებია: (24X24X4 სმ); (25X25X4 სმ).

[3] 04-76/2447-2450.

[4] 04-76/2445, 2478, 2691-2702.

სათავსი სტრატიგრაფიულად, მასალით, მშენებლობის ტექნიკით გვიანი შუა საუკუნეებით თარიღდება. ამ სათავსის აღების შემდეგ გამოვლინდა აგურის ოთახის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამხრეთისა და დასავლეთის აგურის კედლები ძალზე დაზიანებულია: ისინი შევსებულია თიხით ნაგები რიყის ქვის და აგურის ცალპირა კედლით. ამ ორი კედლის ჩანაშენი სხვადასხვა დროისა ჩანს.

ამგვარად, ამ ფართობზე ასეთი სტრატიგრაფიული სურათია: სასახლის II ოთახის (XII ს.) დასავლეთ კედელზე დაშენებულია უფრო მოგვიანო ხანის (XIII ს. ბოლო -XIV ს. დასაწყისი) რიყის ქვის სათავსი (№3); ორივე ამათზე კი სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში დაშენებულია გვიანი შუა საუკუნეების (XVI-XVII სს.) რიყის ქვის სათავსი (№4). გათხრებმა ეს მეტად თვალსაჩინოდ გამოავლინა (ტაბ.VII).

II ოთახის დასავლეთი კედლის[1] გარეთ, გვიანი ხანის მასიური კედლის აღების შემდეგ გამოისახა ამ კედელზე მიშენებული აგურის ნახევარწრიული კონტრფორსი,[2] რომელსაც ძირზე რიყის ქვა აქვს დალაგებული (კვ.$26_{8,9,13,14}$). კონტრფორსის თავი მორღვეულია. მისგან ჩრდილოეთით, 1 მ-ზე ოთახის დასავლეთი კედელი კუთხეს კრავს ჩრდილოეთ კედელთან. ამგვარად, კარგად გამოისახა ოთახის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. II ოთახის ჩრდილოეთი კედელი[3] საერთოა კორიდორთან. აქვე გადადის რიყის ქვის კედლების ნაშთები. ერთი მათგანი კონტრფორსზეა მიშენებული.

ოთახის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა კანელურებიანი ფაიანსის ჭურჭლის, მოჭიქული ჯამების, შავი და წითელი საღებავებით მოხატული ხელადის ნატეხები; სპილენძის ქვაბი, ძვლის დანა და სხვ. აღსანიშნავია, რომ არ არის არც ერთი ნატეხი მრავალფერადი ჯამებისა.

დასავლეთ კედელთან გამოვლინდა აგურებისაგან შედგენილი რვაკუთხა კერა (ასეთი I ოთახის ნანგრევებზეც იყო). იგი კედელშია ჩადგმული და უფრო გვიანდელია.

II ოთახის აღმოსავლეთ ნაწილში, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში შემორჩენილი იატაკიდან 10-20 სმ-ზე გამოისახა რიყის ქვის კედლის ნაშთები. ამ ნაწილში მრავლად იყო თიხისა და მინის ნაწარმი, როგორც ტიპიური XI-XIII სს, ასევე ცოტა უფრო ადრეულებიც. აქვე აღმოჩნდა მონღოლური მონეტა -1293-1294 წლებში მოჭრილი (04-74-1304).

გაირკვა, რომ აღმოსავლეთ კედელს ძირი გაუთავდა. იგივე უნდა ვთქვათ სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილზე (სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან). II ოთახის დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლის დასავლეთი ნაწილი სიღრმეში გრძელდება. დასავლეთ ნაწილში ისევე, როგორც პილონების აღმოსავლეთით ამოდიოდა

---

[1] შემორჩ. ს. -0,8-0,9მ; სიგ. -0,9მ, სიგრ. -5,3 მ.
[2] დმ -1,8 მ; რადიუსი -1,1 მ.
[3] სიგრ. -10,2 მ, სიგ. -0,55 მ, უდიდესი შემორჩ. ს. -0,7 მ.

XII-XIII სს. უფრო ადრეული მასალა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი იატაკის ქვედა დონიდან მომდინარეობდნენ, მაშინ აგურის ოთახი თავისი იატაკით XII-XIII სს. უნდა იყოს.

ოთახის შიდა ფართის დაღრმავებისას ჩრდილოეთი აგურის პილონის ძირში (კვ.$26_{9,14}$) პილონის თავიდან 0,8 მ-ზე აღმოჩნდა X-XI სს. მასალა და სპილენძის მონეტა (04-81-1), რომელიც შესაძლოა აღმოსავლური იყოს.

როგორც აღინიშნა, აღმოსავლეთ ნაწილში დამთავრდა კედლებისა და პილონის აგურის წყობა. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში სამხრეთი პილონის თავიდან 0,8 -1მ სიღრმეზე გამოვლინდა აგურფენილის ნაშთები, რომელიც II ოთახის კუთვნილია. იატაკზე აღმოჩნდა სადღვებლის (ტაბ.XXVIII,3), ორყურა ქოთნის, მოჭიქული ქილის და მინის ჭურჭლის ნატეხები; მონეტა ვერ განისაზღვრა. ეს მასალა აღმოჩნდა აგურის ოთახში ჩაშენებული რიყის ქვის კედლების საძირკვლის ქვემოთ, რაც მოწმობს, რომ ეს კედლები გვიანაა ჩაშენებული. ამ კედლების აღებისას გაირკვა, რომ ერთი მათგანი ოთახის სამხრეთი კედლის გამონგრეულ ნაწილშია ჩაშენებული (ტაბ.VI,2) და მონღოლების შემოსევის შემდეგ აშენებულ ეკლესიამდე გრძელდება. ოთახის გარე მხრიდან კარგად ჩანს თუ როგორ თაღივითაა ჩაშენებული რიყის ქვის კედელი აგურის გამონგრეულ კედელში; ჭრილში ასევე კარგად ჩანს, რომ რიყის ქვის კედლები გამართულია აღიზის მასაზე.

***

ამგვარად, II ოთახი მდებარეობს კორიდორის სამხრეთით. იგი მართკუთხა ფორმისაა (ტაბ.IV). მოიცავს კვადრატების $26_{8,9,10}$-ის სამხრეთ, $26_{14,15,19,20}$-ის ჩრდილოეთ და $27_{6,11,16}$-ის დასავლეთ ნაწილებს. ფართობი -56მ.$^2$ ნაგებია აგურით, კირხსნარზე. აქა-იქ გამოყენებულია რიყის ქვაც, უფრო ჭარბად კი აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლების აღმოსავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე მიდგმული აგურით ნაგები პილონებით ოთახი ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა.

ჩრდილოეთი კედელი საერთოა კორიდორთან. დასავლეთი კედელი ძალიან დანგრეულია. გარედან (დასავლეთ მხარეს) მიშენებული აქვს ნახევარწრიული კონტრფორსი. სამხრეთი კედლის გამონგრეულ ნაწილში ჩაშენებულია რიყის ქვის კედელი, რომელიც მთელ ოთახს გასდევს, სამხრეთით კი, ოთახის გარეთ, მონღოლების შემოსევის შემდეგ დროინდელ ეკლესიამდე გრძელდება. აღმოსავლეთი კედელი დგას ნაყარზე. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთის, დასავლეთის და სამხრეთი კედლის დასავლეთი მონაკვეთი უფრო ღრმად ჩადის მიწაში, ვიდრე აღმოსავლეთი კედელი და

სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნაწილი. ოთახის შიგნით და გარეთ კირხსნარიან მოედნებს ერთი დონე აქვთ. ოთახს შესასვლელი არსაიდან უჩანს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II ოთახშიც, I ოთახის მსგავსად, საინტერესო და მრავალფეროვანი მასალა აღმოჩნდა; მაგრამ მოხატული ბათქაშების აქ მხოლოდ რამდენიმე პატარა ნატეხია. სამშენებლო მასალიდან აღსანიშნავია ცისფრად მოჭიქული პრიზმული შორენკეცები (ტაბ.XXVI,1,2).

მოუჭიქავი კერამიკის თითქმის ყველა სახეობა გვხვდება; მოჭიქული ჭურჭლებიდან ყველაზე მრავლად ჯამებია; ფაიანსი კარგად, ოღონდ პატარა ნატეხებითაა წარმოდგენილი. მინის ნაწარმიდან: განსხვავებით I ოთახისაგან სარკმლის მინის მხოლოდ 3 ნატეხია; არის ჭურჭლის და სამაჯურის ნიმუშებიც. ლითონის ნივთებიდან: სპილენძის ეჟვნები და ერთმანეთზე დადუღებული ბრინჯაოს ნივთი; აგრეთვე ძვლის დანა; ქვის სანაყი და ბირთვები. 4 მონეტიდან ერთი ლაშა-გიორგისაა, 1210 წ.; მეორე - მონღოლური, 1293-1294 წწ.; ორი ვერ განისაზღვრა.

სასახლის II ოთახში აღმოჩენილი მასალის დიდი ნაწილი XI-XIII სს. განეკუთვნება; გვხვდება უფრო ადრეულებიც -ისინი უმთავრესად იატაკის ქვედა დონიდან მომდინარეობს.

III ო თ ა ხ ი ჩრდილოეთ ზღუდეზეა მიდგმული, ისე როგორც I ოთახი და ამ უკანასკნელთან საერთო კედელი აქვს (ტაბ.IV).

ოთახის გამოვლენა დაიწყო 1974 წელს. I ოთახის დასავლეთით მიმდებარე ფართობზე, ისევე როგორც II ოთახის დასავლეთ ნაწილზე გადადიოდა არა ერთხელ ნახსენები გვიანი შუა საუკუნეების მასიური კედელი. ამ კედლის ერთმეტრიანი ნაყარისაგან განთავისუფლებისას ამოვიდა დიდძალი მასალა. აქ იყო სულ ახალი XIX-XX სს. მოჭიქული ქილების, ჯამების ნატეხები და დიდი რაოდენობით განვითარებული შუა საუკუნეების კერამიკა.

II ოთახის ჩრდილო-დასავლეთი კუთხიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, 1,65 მ-ის დაშორებით, გამოჩნდა აგურის კედლის ნაწილი. იგი II ოთახის ჩრდილოეთი კედლის პარალელური იყო და აგრძელებდა I ოთახის სამხრეთ კედელს (იხ. I ოთახთანაც). ამგვარად, გამოჩნდა სასახლის კომპლექსის ახალი სათავსო -III ოთახი. თანდათან გამოისახა ოთახის სამხრეთი კედელი და აღმოსავლეთი კედლის დასავლეთი პირი. აქ აღმოჩენილი მასალა XII-XIII სს-ისაა. ბოლომდე გამოვლინდა აღმოსავლეთი კედლის ჩრდილო გაგრძელებაც და შეიკრა ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე. იგი უშუალოდ ეკვრის ჩრდილოეთი ზღუდის ალიზის კედელს და ბათქაშითაა შელესილი. აღმოსავლეთ

კედელს ძირი გაუთავდა, სამხრეთი კედელი კი სიღრმეში გრძელდება. სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეებში ამოვიდა XI-XIII სს. მასალა.[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

III ოთახის აღმოსავლეთი კედელი[2] საკმაოდ განიერი და არა ერთგვაროვანია: პილონებს შორის ჩაშენებული თავდაპირველი ალიზის ბათქაშით შელესილი კედელი[3] შესქელებულია რიყის ქვის ბალიშზე გამართული ალიზისავე კედლით, რომელიც აგრეთვე შელესილია. სასახლის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ მასზე დაუშენებიათ რიყის ქვითა და აგურით ნაგები სხვა დონის კედელი (ტაბ.VIII,1).[4] აღმოსავლეთ კედელში გამოიკვეთა ორი ფოსო, ხოლო დონის დადაბლებისას, მათ წინ გამოჩნდა თიხის პატარა კერა (კვ.$16_{24}$). იგი (ტაბ.VIII,2) ნალისებური ფორმისაა; ძირში აგური, გარშემო კი ქვევრის პირი და დერგის კედლის ნატეხები აქვს შემოწყობილი. კერის წინა მხარე გაგანიერებულია, ხოლო პირზე, ორივე მხარეს რელიეფური დანაძერწები აქვს.[5] კერის წინ მიმოფანტული იყო ცხოველის ძვლები; კერასთან და მის დასავლეთით აღმოჩნდა ცეცხლში მოხვედრილი გრეხილსარტყელიანი, დიდი ორყურა ქილის (ტაბ.XXVIII,1), მოჭიქული ქილის და ჯამების ნატეხები.

ანალოგიური თიხის კერის რამდენიმე ნაშთი გამოვლენილია ციხის სხვა უბნებზეც. ამგვარი, სარიტუალოდ მიჩნეული კერა გვხვდება ჟინვალში [35, გვ.31]; აგრეთვე შუა აზიაში [99, გვ.59; 97, გვ.39, სურ. 24-3,4] და მცირე აზიაში [152, გვ.21-26, სურ.18].

III ოთახის დასავლეთ ნაწილში გამოიკვეთა მორკალული კედელი -აგურისა და რიყის ქვის მხოლოდ ერთი წყება (კვ.$26_{3}$). იგი თითქოს ისეთია, როგორც II ოთახის კონტრფორსი; ისინი ერთ ხაზზე არ მდებარეობენ. ამ მორკალული კედლის დონეზე (კვ.$26_{3,4}$) აღმოჩნდა ერთფერი და მრავალფერადი ჯამები, სარქველი, სამფეხა ჭურჭელი, შავი და წითელი საღებავით მოხატული ხელადის ნატეხები.

ოთახის ცენტრში გამოვლინდა აგურფენილი იატაკის ნაშთი (ტაბ.IX,1). ამ დონეზე იყო ნალისებური კერაც. იატაკის დონეზე (კვ.$16_{23,24}$) ამოვიდა ტიპური XII-XIII სს. მასალა.

ოთახის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ–დასავლეთ კუთხეებში, ნაშალი მიწისა და ნანგრევის აღების შემდეგ კარგად გამოიკვეთა 2 პილონის კონტური (კვ.$16_{22,23}$; $26_{8}$); მათ შორის კი ძალიან დეფორმირებული და დამწვარ-დაშლილი ალიზის კედელი, შუაში ხის ბოძის ნაშთით (ტაბ.IX,2;X). ალიზის კედლის არსებობაზე მიუთითებდა კედლის ძირში, ორ პილონს შორის მთელ სიგრძეზე შემორჩენილი წესიერად ჩალაგებული რიყის

[1] 04-74/1798-1870; 1886-1898

[2] სიგრ. -7,6 მ. სიგ. -1,3-1,5 მ.

[3] სიგრ. -5 მ; სიგ. -0,7 მ; შემორჩ. ს. -0,7 მ.

[4] შემორჩ. სიგრ. -2,5 მ. სიგ. -0,5 მ; ს. -0,2 მ.

[5] კერის შიდა სიმაღლე პირთან -30 სმ; ზურგთან -20 სმ. გახსნილი პირის სიგანე -35 სმ. კერის სიღრმე -30 სმ. კედლის სისქე -4 სმ.

ქვის წყობა, რომელიც ალიზის კედლის საფუძველს წარმოადგენს. რიყის ქვის საფუძვლის დონე იგივეა, რაც ამ ოთახის აღმოსავლეთ კედლისა; იგივეა მანძილი პილონებს შორისაც (5,4 მ). ამგვარად, ეს არის III ოთახის დასავლეთი კედელი,[1] რომლის შუაში თითო აგურით შედგენილი ოთხკუთხა (25x25 სმ). კერაა[2] გამართული (კგ.$26_{2}$). ოთახის დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა თიხის ხსნარზე ნაგები რიყის ქვის კედელი. ეს კედელი და ოთხკუთხა კერაც №1 სენაკს ეკუთვნის, რომელიც III ოთახის ნანგრევ-ნაშალზეა გამართული.

როგორც ირკვევა, აქ დონეების სხვადასხვაობაა. III ოთახის იატაკზე 1974 წელს აღმოჩენილი ნალისებრი კერა ბევრად დაბლაა დონით, ვიდრე №1 სენაკის ოთხკუთხა კერა, გამართული III ოთახის დასავლეთ კედელზე. №1 სენაკის ფართობიდან (კგ.$16_{21,22}$, $26_{1,2,7,8}$) ამოდიოდა განვითარებული შუა საუკუნეების მასალა. როგორც ჩანს, აღნიშნული სენაკი სასახლის განადგურების შემდეგ მალევე ჩაუდგამთ.

I და III ოთახის საერთო ჩრდილოეთი პილონის დასავლეთი მხარე, რომელიც III ოთახის ფართობშია მოქცეული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაფარული იყო მოგვიანო ხანის რიყის ქვითა და აგურით ნაგები კედლის ნაშთით, რომლის აღების შემდეგ იგი კარგად გამოჩნდა. ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთი პილონი ნაგებია დიდი ზომის ყვითელი ნატეხი და რიყის ქვისაგან დუღაბზე. ქვები გადამწვარია, გაწითლებული და დამსკდარი.

პილონი (1,5x1,4 მ). გაშიშვლებულია 1,2 მ-ზე. მას აღმოსავლეთი და დასავლეთი მხრიდან მიშენებული აქვს რიყის ქვის კედლები, რომლებიც მიბჯენილია ზღუდის ალიზიან კედელზე და მასთან ერთ მთლიანობაშია წარმოდგენილი. ჩრდილო-დასავლეთი პილონიც (1,5x1,4x0,7 მ). ისევეა ნაგები, როგორც ზემოთ აღწერილი. ასევეა ნაგები სამხრეთ-დასავლეთი (1,4x1,3x0,55 მ) და სამხრეთ-აღმოსავლეთი (1,1x1,0x1,2 მ) პილონებიც.

III ოთახში XIII ს. აგურფენილი იატაკის ნაშთების აღების შემდეგ 0,2 მ. სიღრმეზე (იატაკის დონიდან) გამოვლინდა დამწვარი ფენა (ტაბ.XI,1). ეს დამწვარ-ნაცროვანი ფენა მეტ-ნაკლებად ვრცელდება მთელ ოთახში, განსაკუთრებით მძლავრად კი სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში; ასევე მძლავრადაა იგი ჩრდილოეთ კედელთან, რომლის ძირშიც მთელ სიგრძეზე კარგადაა შემორჩენილი შელესილობის კვალი. აქ, უშუალოდ კედელთან, დამწვარ თიხატკეპნილ იატაკზე დახვავებული იყო ჩამწვარ-ჩალეწილი კრამიტის ნატეხები (კგ.$16_{23,24}$). დამწვარი ფენა უნდა წარმოქმნილიყო XI ს-ის 60-იან წლებში თურქ-სელჯუკების შემოსევის შედეგად. 20-30 სმ. სიმძლავრის ფენიდან ალაგებული მრავალრიცხოვანი ნატეხებისაგან თითქმის მთლიანად აღსდგა 20-მდე მოჭიქული და მოუჭიქავი ჭურჭელი (ტაბ.XXXI, XXXIII).

---

[1] სიგრ. -5,4 მ; სიგანე -0,7 მ; ს. -0,7-0,8 მ.

[2] მსგავსი კერა მის გვერდით აღმოჩნდა 1977 წელსაც. იგი ნაცრით იყო სავსე.

***

ამგვარად, III ოთახი ჩრდილოეთ ზღუდეზეა მიდგმული, ისევე როგორც I ოთახი (ტაბ.IV). მოიცავს კვადრატებს:$16_{22-24}$, $26_{3,4,8,9}$-ის ნაწილებს. ფართობი -42მ.$^2$

მისი კედლები პილონებს შორისაა ჩაშენებული და ისე, როგორც I ოთახში, ყველა პილონი სიღრმეში გრძელდება, განსხვავებით მათი კედლებისაგან. ჩრდილოეთი, აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლები ალიზისაა; საფუძვლად რიყის ქვა უდევს. ალიზის კვადრები თიხის ხსნარზეა დაწყობილი.

აღმოსავლეთი კედელი საერთოა I ოთახთან. მისი დასავლეთი პირი ბათქაშითაა შელესილი, შუაში სასვეტე ბოძით. აქვს რიყის ქვისა და აგურის კედლის გვიანდელი მინაშენი. ჩრდილოეთი კედელი ზღუდეზეა მიდგმული; ამჟამად შემორჩენილია ალიზის კედლის რიყის ქვის საფუძველი. დასავლეთის ალიზის კედელი ძალზე დეფორმირებულია. სამხრეთი კედელი ნაგებია რიყის ქვით და გაჯით, მიშენებულია კორიდორის ჩრდილო კედელზე და ერთ მთლიან კედელს წარმოადგენს. ისე, როგორც I ოთახის სამხრეთ კედელს, ამასაც შეკეთების კვალი ემჩნევა.

III ოთახის გათხრამ კარგად გვიჩვენა ორი სამშენებლო დონე: ზედა, აგურფენილი იატაკი, რომელიც XII-XIII სს. ეკუთვნის და მის ქვემოთ, თიხატკეპნილი დამწვარი იატაკი, რომელიც XI ს-ის 60-იან წლებშია განადგურებული.

III ოთახის მასალებში აღსანიშნავია ცისფრად მოჭიქული შორენკეცების აღმოჩენა. კერამიკული ჭურჭელი ისეთივეა, როგორც I და II ოთახებში. მინის ნაწარმიდან შედარებით მრავლად სარკმლის მინაა; არის ლითონის ნაწარმიც, განსაკუთრებით რკინის: დანა, ნალი, ლულისებრი ნივთი, ლურსმნები. აქ არ აღმოჩენილა არც ერთი მონეტა. მასალა ძირითადად XI-XIII სს. განეკუთვნება და ნაკლებადაა უფრო ადრეული ნიმუშები, განსხვავებით სხვა, თუ გინდ II ოთახისაგან.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ XI ს. იატაკიდან მომდინარე მოჭიქული და მოუჭიქავი ჭურჭლების ნიმუშებს, რომლებმაც გააფართოვა ჩვენი წარმოდგენა ამ ხანის კერამიკის ფორმების შესახებ.

IV ო თ ა ხ ი მიდგმულია ციხის ზღუდის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, №1 დიდ ალიზიან ბურჯზე (ტაბ.IV). იგი ძირითადად გამოვლინდა და გაითხარა 1974-1975 წლებში.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, 1961 წელს X თხრილი გაიჭრა აბანოსთან დამაკავშირებელი კიბეების თავზე, აღმოსავლეთი ზღუდის გასწვრივ. ზედა დონეზე გვხვდებოდა რიყის ქვის ნაყარი, თონეები, რუსული აგურით ნაგები კერები; თანდათან გამოიკვეთა აღმოსავლეთ ზღუდეზე მიდგმული რიყის ქვის სენაკი (ტაბ.XVII,1). სენაკის ჩრდილოეთით, დიდ ალიზიან ბურჯთან დამწვარ ფენაში ეყარა სამშენებლო კერამიკა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთხკუთხა აგურები, შემოღობილი კრამიტები, მოხატული ბათქაშები და სხვ. სწორედ ამ ფართობზე გამოვლინდა IV ოთახი.

ალიზიან ბურჯზე, დასავლეთი მხრიდან მიშენებული იყო ქვითკირის კედელი; თითქოს მის გაგრძელებას წარმოადგენდა $D_2$ კვადრატში გამოვლენილი ასეთივე კედელი. ეს კედლები, როგორც შემდეგ გაირკვა, პილონებს წარმოადგენდა. $D_2(17_{21})$ კვადრატში გამოვლენილი პილონი საერთოა I ოთახთან, რომლისთვისაც იგი ჩრდილო-აღმოსავლეთი პილონია.

ფართობის ჩაღრმავებისას I ოთახის აღმოსავლეთი კედლით და ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ზღუდეებით იკვრებოდა ახალი სათავსო -IV ოთახი; ჯერჯერობით არ ჩანდა სამხრეთი კედელი.

აღნიშნულ ჩრდილოეთ პილონებს შორის ჩაშენებული იყო IV ოთახის ჩრდილოეთი კედელი (ტაბ.XIII,1). ეს ალიზის კედელი და მასთან ერთად ჩრდილოეთი ზღუდის გარკვეული ნაწილი, სამწუხაროდ, 1965 წელს ნაწილობრივ მოიჭრა, რადგან გაჩნდა ცდუნება -თითქოს აქ შესასვლელი იყო. ჩრდილო-აღმოსავლეთ (3,35x3,35x1,9 მ) და ჩრდილო-დასავლეთ (1,15x2,1x2,1 მ) პილონებს შორის მანძილი 4,7 მ-ია.

IV ოთახის დასავლეთი კედლის (საერთო I ოთახთან) შიდა პირი ცეცხლისაგან გაწითლებულია და ადვილად იფშვნება, მაგრამ კარგად შეინიშნება ალიზის წყობა (ტაბ.XI,2); ალიზი[1] ქვიშაზეა ნაგები. კარგად გამოიკვეთა კორიდორსა და IV ოთახს შორის მდებარე თაღიანი შესასვლელის ჩრდილოეთი ფრთა, რაც I ოთახისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთი პილონია (1,55x1,95x1,9 მ). ამგვარად, I ოთახის აღმოსავლეთი კედელი არის IV ოთახის დასავლეთი კედლის ჩრდილოეთი ნაწილი.[2] ოთახის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (კვ.$27_{6,11}$) ჩაღრმავებისას კი გამოისახა IV ოთახის დასავლეთი კედლის სამხრეთი ნაწილის შიდა პირი. ეს ნაწილი საერთოა II ოთახთან. IV ოთახის დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ და სამხრეთ მონაკვეთებს შორის დატანებულია კორიდორში გასასვლელი. როგორც აღინიშნა, ჩრდილოეთი მონაკვეთი ალიზის კედელია; სამხრეთის მონაკვეთში კი წყობაში ერთმანეთს ენაცვლება რიყის ქვის და აგურის ჰორიზონტალური და ვერტიკალური რიგები (ტაბ.XIV,1). სულ ზემოთ 6 რიგად მხოლოდ აგურია[3] დალაგებული. კედელში შეინიშნება შეკეთების კვალი. კედელს[4] გასდევს დამწვარი ძელისა და ბოძის ნაშთი. დასავლეთი კედლის საერთო სიგრძე -9,16 მ. ამ ნაწილში, დამწვარ ალიზში დიდი რაოდენობით ამოდიოდა სარკმლის მინის ნატეხები და რკინის ლურსმნები.

---

[1] ალიზის აგურის ზომაა: (25X7სმ), (30X7 სმ).

[2] სიგრ. -4,5 მ; სიგ. -1 მ., ს. -1,85 მ.

[3] აგურის ზომებია: (21X21X3 სმ), (25x3 სმ).

[4] სიგრ. -3,1; ს. -2,25 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთ ზღუდეზე მიდგმული ზედა დონის რიყის ქვის სენაკის ჩრდილოეთით ჩაღრმავებისას, სენაკის ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ გამოჩნდა რიყის ქვის წყობა; იგი აღმოსავლეთ ზღუდეზე მიდგმული პილონის (კვ.$27_{13}$) სამხრეთ კუთხესთან იწყება და დასავლეთისკენ გრძელდება. აქვე სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში (კვ.$27_{12}$) გამოჩნდა ქვითკირის მასიური პილონი. ამ ფართობზე გამოვლინდა დამწვარი ხის ბოძის ნაშთები, ბათქაშები, ფიგურული აგურები, XII-XIII სს. მასალა.

ზედა დონის სენაკის (ტაბ.XVII,1) აღებამ საინტერესო შედეგი მოგვცა. სენაკის ჩრდილოეთი კედლის ქვეშ მთლიანად გამოჩნდა ზემოთ ნახსენები რიყის ქვის კედელი, რომელიც აღმოსავლეთ ზღუდეზე მიდგმულსა და $27_{12}$ კვადრატში გამოვლენილ პილონებს შორისაა ჩაშენებული. კედელი (სიგრ.-4,9 მ.) რიყის ქვისაა, თევზიფხური წყობით და გრძელდება სიღრმეში. ამ კედლის გაგრძელებაზე $27_{12}$ კვადრატში მდებარე პილონის დასავლეთ მხარეს გამოიკვეთა რიყის ქვის კედელი, რომელიც II ოთახის აღმოსავლეთ კედლამდე გრძელდება. ყველაფერმა ამან მთლიანობაში წარმოადგინა IV ოთახის სამხრეთი კედელი (ტაბ.XII,1) ჩაღრმავებისას გაირკვა, რომ კედელს აქვს ცოკოლი, რომელიც ნაგებია რიყის ქვით და აგურის ნატეხებით.

კედლებს შუა მდებარე პილონს განსხვავებული ფორმა აქვს-იგი დამუხლულია. ნაგებია ისევე, როგორც ყველა დანარჩენი. პილონი აღმოსავლეთი მხრიდან შეჭრილია მართი კუთხით, ხოლო დასავლეთით, მთელ სიმაღლეზე, ორი ფილა (35x20 სმ) ამოღებული.[1]

IV ოთახის სამხრეთ ნაწილში (კვ.$27_{7,12}$) გამოვლინდა ხის ბოძები, ორნამენტირებული და მოხატული ბათქაშები, არქიტექტურული დეტალები. ოთახის ჩრდილოეთ ნაწილში (კვ.$17_{21,22}$, $27_{1,2}$) აღსანიშნავია კედლის ნანგრევებს შორის აღმოჩენილი გორელიეფი ადამიანის გამოსახულებით (ტაბ.XXII,1).[2]

აღმოსავლეთ ზღუდეზე მიდგმული პილონის (12,2x1,5x2 მ) ჩრდილოეთით ჩაიჭრა საკონტროლო ჭრილი (2,7x0,7x2 მ). ზღუდესთან აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხი, რომელსაც ზემოდან ნანგრევი და არქეოლოგიური მასალა ეყარა. ჩონჩხის ალაგების შემდეგ გამოვლინდა თიხატკეპნილი იატაკის ნაშთი, მის ქვეშ კი ქვითკირის კედელი, რომელიც ზღუდის ნაწილს შეადგენს.

ეს კედელი[3] ტეხილი ხაზით გეგმის მიხედვით მიჰყვება ალიზიან ზღუდეს და თავდება ალიზიან ბურჯზე მიდგმულ პილონთან (ტაბ.XII,2). იგი IV ოთახზეც და ალიზიან ზღუდეზეც ძველი ჩანს. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ალიზიანი ზღუდე

---

[1] პილონის შემორჩ. ს. -1,8 მ; ჩრდ. მუხლის სიგ. -1 მ; სიგრ. -0,6 მ; სამხ. მუხლის სიგრ. -1,8 მ; სიგ. -1,1 მ. სამხრეთი კედლის საერთო სიგრ. -8,6 მ. რიყის ქვის კედლების (ცოკოლიანად) ს. -0,7-1,3 მ.

[2] ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

[3] სიგრ. -12,2 მ; სიგანე თანდათან კლებულობს: 1,3 მ, ხოლო ჩრდილოეთ პილონთან 0,5 მ-ია. გამოვლენილია 27 სმ სიღრმეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგაა მასზე მიშენებული თუ დაშენებული. ვითვალისწინებთ რა, რომ რუსთავის ციხეს სამი ზღუდე ჰქონდა და ალიზიანი ზღუდე წარმოადგენს მეორე ზღუდეს [55, გვ.75-77; 128, გვ.95-96; 67, გვ.4-44], ვფიქრობთ, ეს კედელი თავდაპირველ ზღუდეს უნდა ეკუთვნოდეს.

საკონტროლო ჭრილში (სიღრმე-2 მ) გამოჩნდა ზღუდის შიდა პირი. იგი ლოდებით, რიყის ქვით და ალაგ-ალაგ აგურითაა ნაგები. მთელ სიღრმეზე ჩანს ზღუდეზე მიშენებული პილონი (2,2x1,5 მ). ჭრილის ძირში ჩანს ქვის კედელი, რომელიც ზღუდეს ვერტიკალურად ებჯინება. ამგვარად, ისე როგორც I და III ოთახებში, IV ოთახშიც იატაკის ქვემოთ გამოვლინდა რიყის ქვის კედელი, ოღონდ აქ ის ძალიან ღრმადაა.

საკონტროლო ჭრილში (ტაბ.XIII,2), დასავლეთ მხარეს, გამოჩნდა 10 სმ სისქის დამწვარ-დანახშირებული ალიზიანი ფენა კერამიკის ნატეხებით - ქოთნის, კოტოშის, მოჭიქული ქილის და სხვ. მასალა დამწვარ ფენაში ნაკლები იყო, ვიდრე მის ქვემოთ, სიღრმეში. ქვედა ფენიდან ამოვიდა: ანგობით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჯამების, ქვაბ-ქოთნის ნატეხები და სხვ. აქ არ ყოფილა არც ერთი ნატეხი XII-XIII სს. დამახასიათებელი მრავალფერად მოჭიქული ჯამებისა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ნახშირიანი ფენის ქვეშ XI ს., უფრო კი მასზე ადრეული ფენები უნდა იყოს.

IV ოთახის მთელი ფართობის დამწვარ თიხატკეპნილ იატაკზე უწესრიგოდ იყო გაბნეული დაწვარი ხის ბოძები და ძელები, რომლებიც ზოგჯერ კედლებს გაუყვებოდა ძირში(ტაბ.XIII,1). სამხრეთი კედლის წინ მიმობნეული იყო მონეტების განძი (72 მონეტა), აგრეთვე სპილენძის ბეჭედი და რგოლი (ტაბ.XXIV,1).

განძის აღმოსავლეთით, ზღუდის პილონთან აღმოჩნდა ხის ბორბალი, დამწვარ-დანახშირებული.[1] განძი და ბორბალი უშუალოდ დამწვარ იატაკზე იდო (ტაბ.XXIV,2).

IV ოთახში აღმოჩენილმა მასალამ ცხადი გახადა, რომ ზემოთ ყოფილა დარბაზი, რომლის ჩამოქცევის შემდეგ აქ წარმოიქმნა 3-3,5 მ სიმძლავრის ნანგრევი ფენა; როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, ეს არის კედლის დიდი ნარღვევები, მობათქაშებული და მოხატული ან ამოკაწრული ორნამენტით შემკული; არქიტექტურული დეტალები, უამრავი და ნაირნაირი სამშენებლო კერამიკა, სარკმლის ჩარჩოსა და სარკმლის მინის ნატეხები, საყოფაცხოვრებო ნივთები.

ამჟამად, მხოლოდ ამ ნანგრევ-ნაყარის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ სასახლის კომპლექსის დარბაზზე, რომელიც II სართულზე ყოფილა გამართული.

---

[1] ბორბალი მთლიანად მოიჭრა, გამაგრდა და გაუკეთდა კონსერვაცია. ეს სამუშაო ჩაატარა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის განყოფილების გამგემ თ.თოდუამ. ბორბალი (04-75-2348[1]) გამოფენილია რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

ამგვარად, IV ოთახი მიდგმულია ჩრდილო-აღმოსავლეთი ზღუდის კუთხეში, მოიცავს კვადრატებს: $17_{21-23}$, $27_{2-4,6-9,11-13}$. ოთახს მართკუთხა ფორმა აქვს; მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხეა შეჭრილი ალიზიანი ბურჯით (ტაბ.IV). ფართობი -50მ.$^2$

პილონებს შორის ჩაშენებულ კედლებს ძირი გაუთავდა და სხვადასხვაგვარადაა ნაგები; პილონები კი, როგორც ყველგან სიღრმეში გრძელდება და ნაგებია ისევე, როგორც ყველა დანარჩენი. ოთახის იატაკი თიხატკეპნილია.

ჩრდილოეთის ალიზის კედელი მიდგმულია ჩრდილოეთ ზღუდეზე და ჩაშენებულია პილონებს შორის. დასავლეთ კედელში დატანებულია კორიდორში გასასვლელი (ტაბ.XIV,1). მისი ჩრდილოეთი მონაკვეთი ალიზისაა და ჩაშენებულია პილონებს შორის (საერთო I ოთახთან); სამხრეთ-აღმოსავლეთი პილონი წარმოადგენს კორიდორის გასასვლელის ჩრდილოეთ ფრთას. ალიზის წყობა ქვიშანარევ თიხაზეა გამართული. საფუძვლად ერთი ფენა რიყის ქვა აქვს. დასავლეთი კედლის სამხრეთი მონაკვეთი საერთოა II ოთახთან. იგი კორიდორის შესასვლელის (სიგ. -1,7 მ.) სამხრეთ ფრთას ქმნის. დასავლეთი კედლის სამხრეთი მონაკვეთი ნაგებია რიყის ქვით და აგურით.

სამხრეთი კედელი ყველა დანარჩენისაგან განსხვავდება: რიყის ქვის თევზიფხურად ნაგები კედლების შუაში ასევე განსხვავებული ფორმის-დამუხლული პილონია. კედლის აღმოსავლეთი ნაწილი ებჯინება ზღუდეზე მიდგმულ პილონს, ხოლო დასავლეთი ნაწილი კუთხეს კრავს ოთახის დასავლეთ კედელთან. სამხრეთი კედელი საერთოა V ოთახთან.

აღმოსავლეთ კედელს შეადგენს ზღუდე, პილონიანად და დიდ ალიზიან ბურჯიანად. ზღუდე ქვითკირისაა და ჩასმულია ნაგლეჯი ლოდებისა და აგურის პერანგში. ამ წყობას ზემოდან ადევს გაჯის ბუდეში ჩასმული ალიზის კვადრების წყობა. აქ ზღუდის სიმაღლე 3,35 მ-ია. ალიზიანი ბურჯის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში შემორჩენილია გაჯით შელესილობის ნაშთი. აღმოსავლეთ ზღუდესთან გამოვლენილი ქვითკირის კედელი თავდაპირველი ზღუდის უნდა იყოს.

IV ოთახის იატაკზე და კედლების ძირში შემორჩენილი იყო დამწვარი ბოძებისა და ძელების ნაშთები.

ამ ოთახში მეტად საინტერესო, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალა აღმოჩნდა; უპირველესად უნდა აღინიშნოს მობათქაშებული და მოხატული ან ამოკაწრული ორნამენტით შემკული კედლების ნარღვევების დიდი რაოდენობა; არქიტექტურული დეტალები, სხვადასხვაგვარი აგურები და კრამიტები, კარნიზები, სარკმლის ჩარჩოსა და სარკმლის მინის ნატეხები, რკინის ლურსმნები და სამაგრები; დიდძალი კერამიკული, მინის თუ ლითონის ნივთები IV ოთახშიც იქნებოდა, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადად ისინი სასახლის დარბაზის კუთვნილ საუკეთესო ნიმუშებს უნდა წარმოადგენდნენ. მათ სხვა მასალებთან ერთად ქვემოთ განვიხილავთ.

IV ოთახში სულ 78 მონეტაა ნაპოვნი, აქედან 72 განძის სახით. ორი მონეტა ვერ განისაზღვრა; 4 ეკუთვნის რუსუდანს, დავით ნარინს, 1247-1248 წწ.; გიორგი III, 1156-1160 წწ. და დემეტრე I.[1] დამწვარ იატაკზე აღმოჩენილი განძის 72 მონეტიდან (04-75-2105) 70 ცალი რუსუდანისაა, 1227 წლის; 1 - ილდიგიზიდის, 1 - ჯალალ-ად-დინის, 1226 წლის. როგორც ვხედავთ, ეს განძი XIII ს. თარიღდება.

კ ო რ ი დ ო რ ი თანდათან გამოიკვეთა 1974-1975 წლებში სასახლის კომპლექსის I,II,III და IV ოთახებთან ერთად. აღნიშნული იყო, რომ გვიანი ხანის კედელი გადადიოდა I და III ოთახებზე და როგორც გაირკვა, კორიდორზეც. ამ კედლის აღების შემდეგ დასავლეთით დონის დაწევისას გამოჩნდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულების აგურის წყობის ნაშთი. ეს არის აგურით, ალიზით და რიყის ქვით ნაგები „პლინტუსიანი" კედლის პარალელური (მისგან 1,8 მ-ით დაცილებული) კედელი, რომელიც დასავლეთისკენ გრძელდება, ხოლო მისი აღმოსავლეთი ნაწილი წარმოადგენს I ოთახის სამხრეთ კედელს. კედელს სამხრეთი პირი შელესილი აქვს, რამაც ნათელი გახადა, რომ იგი შიდა გამყოფი კედელია. ამ კედელმა „პლინტუსიან" კედელთან[2] ერთად შექმნა კორიდორი (კვ.$26_{8-10}$, $27_{6}$), რომელიც I,III და II ოთახს შორისაა მოქცეული (ტაბ.IV,XV).

ზემოთ არა ერთხელ ნახსენები თაღიანი შესასვლელი კორიდორს აღმოსავლეთ მხარეს აქვს. კორიდორის შესასვლელის სამხრეთ ფრთასთან გაირკვა, რომ მას ძირში რიყის ქვა უდევს, შემდეგ კი აგურითაა ამოყვანილი. ამ ადგილას კარგად გამოიკვეთა ზღურბლი -რიყის ქვის ლოდების ორი რიგი (ს. -20 სმ).

ამ ადგილას (კვ.$27_{6}$) XII-XIII სს. საინტერესო მასალა ამოვიდა: მსხლისებური და საწურძგიდიანი ხელადები, მრავალფერად და ერთფერად მოჭიქული ჯამები, ქოთნები და სხვ. კორიდორის სამხრეთ კედელთან (კვ.$26_{9}$) აღმოჩნდა რუსუდანის მონეტა, 1227 წლის (04-74-1882).

სამხრეთი კედელი[3] შელესილია ბათქაშით, დგას რიყის ქვის ერთ წყებაზე. კედლის შელესილობა უფრო ღრმად მიდის, ვიდრე შესასვლელის სამხრეთი ფრთისა. კორიდორის დასავლეთ ნაწილში (კვ.$26_{9,10}$) გამოვლინდა რიყის ქვის ძალზე დანგრეული კედელი,[4] რომლის წინ შემორჩენილია აგურფენილის ნაშთი. შთაბეჭდილება ისეთია, რომ გარკვეულ პერიოდში კორიდორს თითქოს აქედან უნდა ჰქონოდა შესასვლელი

[1] რ-61-3432; რ-61-4117; 04-74-1813; 04-75-2108.

[2] "პლინტუსს" (ს. -1მ) ვუწოდებთ კორიდორის სამხრეთი კედლის გამოწეულ ნაწილს, რომელიც იწყება თაღიან შესასვლელთან და დასავლეთისაკენ თანდათან ვიწროვდება.

[3] სიღრ. -9 მ, ს. -1,2-1,55 მ.

[4] სიღრ. -1,65 მ. ს. -0,5 მ.

(ტაბ.XV,1). იატაკზე აღმოჩნდა მინის ფლაკონის ყური (04-75-2072), რომელიც XIII ს. განეკუთვნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვინდა აქვე განვიხილოთ კორიდორის დასავლეთ ნაწილში, მის დასაწყისში 1977 წელს გამოვლენილი და გათხრილი ძველი სასახლის კიბეები.

სასახლის VII ოთახის (ამის შესახებ ქვემოთ) სამხრეთ-დასავლეთი პილონის სამხრეთით მიმდებარე ტერიტორიაზე (პილონის შემორჩენილი თავიდან 0,3-0,4 მ სიღრმეზე) გამოჩნდა გარდიგარდმო მდებარე ქვიშაქვის ლოდი, თავზე ალიზით (კვ.$25_{10}$). გაირკვა, რომ ეს არის ძველი სასახლის ზღურბლი (ტაბ.XVI).

მის სამხრეთ ფრთასთან თითქოს გამოისახა პილონისა თუ კონტრფორსის ნაშთი, ძალიან დანგრეული. აქედანვე იწყება ქვითკირით ნაგები კედელი, რომელიც მიემართება აღმოსავლეთისაკენ და შედის II ოთახის ჩრდილო--აღმოსავლეთ კუთხეში, კონტრფორსის ქვეშ. აღნიშნულ კედელსა (სიგრ. -11 მ) და კონტრფორსს შორის გადის ნახშირიანი ფენა. კონტრფორსის ქვეშ კი შეინიშნება კირხსნარიანი მოედნის ნაშთი. ქვითკირის კედელთან ამოვიდა XII-XIII სს-ზე ადრეული მასალები. ამ კედელს ზემოდან ადგას II ოთახზე მიდგმული XII-XIII სს. რიყის ქვის სენაკი (№3).

დიდ პილონთან გამოჩნდა საფეხურები; აშკარა გახდა, რომ აქ კიბეებია. შესასვლელი (სიგ.-1,8 მ.)-ზღურბლი, როგორც აღვნიშნეთ, ფიქალის ლოდია (1,15x0,9x0,1 მ). იგი ჩრდილოეთ კუთხეში გვიანდელი კედლითაა გარღვეული. საფეხურები რიყის ქვის ლოდებზეა გამართული; ნაგებია თლილი ქვით (სიგ.-25 სმ; ს.-25 სმ). IV საფეხური უფრო განიერია -40 სმ. სიმაღლე ვერ დადგინდა, რადგან იგი სიღრმეში ჩადის. ამ საფეხურის წინ დაახლოებით 1 მ-ზე აღმოსავლეთით გამოჩნდა სამხრეთ-ჩრდილოეთი მიმართულების კედლის ფრაგმენტი. ტექნიკური მიზეზების გამო სიღრმეში ჩასვლა ვეღარ გავაგრძელეთ და განათხარ კიბეებს დროებით მიწა დავაყარეთ.

როგორც ითქვა, შესასვლელის ჩრდილოეთ ფრთას წარმოადგენს ძველი სასახლის პილონი და ნაწილობრივ მასზე მიშენებული კონტრფორსი; სამხრეთი ფრთა ცუდადაა შენახული.

სამხრეთ ფრთას და კიბეებს ჩაუყვება ალიზის კედელი, რომელიც მიდგმულია აღნიშნული ქვითკირის კედელზე. ალიზის კვადრები ქვიშითაა ამოყვანილი; ალიზის წყობას ქვეშ უდევს აგურები (22X22X5 სმ), თითოეულ საფეხურზე ორ-ორი; აგურები და ალიზის წყობა ზღურბლზეც იდო. როგორც დავინახეთ, სასახლის კიბეები ალიზის წყობის ქვეშაა მოქცეული.

ამგვარად, შესასვლელი კიბეებითურთ უფრო ძველი ჩანს, ვიდრე ალიზის წყობა. საფეხურები სამხრეთ მხარეს გრძელდება ქვითკირის იმ კედლისაკენ, რომელსაც ალიზის წყობა ეკვრის დ რომელიც აღმოსავლეთისაკენ არის მიმართული.

კიბეები უსწორდება კორიდორს და შესაბამისად IV ოთახში თაღიან გასასვლელს. სავარაუდოა, რომ თავდაპირველი სახახლის შესასვლელი ამ კიბეებიდან იწყებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიბეების წმენდისას ამოვიდა უანგობოდ მოჭიქული სამკუთხა ყურიანი, გულისებრი ჭრაქი, რომელიც IX ს. თარიღდება. აქვე იყო მოთეთრო ჭურჭლის და კეცზე ანგობით მოხატული ერთფერად მოჭიქული ჯამის ნატეხები. ზღურბლი და კიბეები დაფარულია ალიზის სქელი მასით; როგორც ჩანს, ძველი სასახლის შესასვლელი -დაზიანებული პილონი მასზე მიდგმული კიბით, გარკვეულ პერიოდში სრულიად უქმდება. ეს უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს XI ს-ისა, რადგან მის თავზე გამართული სენაკი (№3) და მთელ ამ ფართობზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა XII-XIII სს. თარიღდება.

კორიდორის დასაწყისში (კვ.$26_7$) II ოთახის ჩრდილოეთი კედლის თავიდან 1 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ძალზე არეული ადამიანის ჩონჩხი, რომელსაც ზედ ეყარა ასევე არეული (X-XIII სს) მასალა. კორიდორის შუაში (კვ.$26_9$), ჩრდილოეთ კედელზე მიდგმული იყო თონე, ირგვლივ რელიეფური წიბოთი. თონესთან[1] აღმოჩნდა: ანგობის მარყუჟებით მოხატული ჯამი, შავ-წითელი საღებავით მოხატული ხელადა, ქოთნებისა და კოკის ნატეხები. ეს და კორიდორში ამ დონეზე აღმოჩენილი სხვა მასალა XI საუკუნისაა.

როგორც ვიცით, კორიდორის სამხრეთ კედელს[2] II ოთახის ჩრდილოეთი კედელი ქმნის. ამ კედლის ძირი უფრო მაღლაა, ვიდრე თონის პირი; გარდა ამისა უნდა აღინიშ-ნოს, რომ II ოთახის აგურის კედელს ძირზე გაუყვება 5-10 სმ. სიმძლავრის კირხსნარის ფენა (კედლის შემორჩენილი თავიდან 1 მ-ზე); ამის ქვემოთ კი -0,6 მ სიმძლავრის ფენა;

კორიდორში და II ოთახში თხრისას გაირკვა, რომ ეს ნაცროვანი ფენა სავსე იყო სამშენებლო ნაყარით, არქეოლოგიური მასალით. ამგვარად, სტრატიგრაფიულად და აქ აღმოჩენილი მასალით ეს ფენა და მასთან ერთად თონეც, XI ს. უნდა დათარიღდეს.

როგორც ჩანს, XI ს. განადგურების შემდეგ ტერიტორია გაწმინდეს ნაყარისაგან, დაფარეს კირხსნარით და XII ს. ზედ დაადგეს აგურის II ოთახი.

კორიდორში შეჩერებული ვიყავით XIII ს. იატაკის დონეზე. აქ, აღმოსავლეთ ნაწილში -I ოთახის გასწვრივ ჩაღრმავებამ (კვ.$26_9$) საინტერესო სურათი მოგვცა; ბოლომდე გამოვლინდა ზღურბლი, როგორც IV ოთახის, ისე კორიდორის მხრიდან. I ოთახში გამოვლენილი რიყის ქვის კედელი, რომელიც ამ ოთახის სამხრეთი კედლის ქვეშ გადიოდა, გაგრძელდა კორიდორშიც. იგი ზღურბლიდან დასავლეთით 1,4 მ-ის დაშორებითაა (ტაბ.XIV,2). ეს კედელი[3] დასავლეთისკენ უხვევს.[4] გამოვლენილია მხოლოდ

---

[1] თონის დმ -0,8 მ., შემორჩ. ს. -0,3-0,4 მ; კედლის სისქე -0,6 მ.

[2] სიგრ. -9 მ; სიგ. -1,75 მ. შემორჩ. ს. -75 სმ.

[3] სიგრ. -1,65 მ; სიგ. -08 მ; შემორჩ. ს. -0,3 მ.

[4] სიგრ. -1,05 მ; სიგ. -0,8 მ; შემორჩ. ს. -25 სმ.

ერთი წყება. კარგად ჩანს მისი შიდა კუთხე. ეს კედლები ერთი დონისაა; მათზე კი ირიბულად გადადის სამხრეთ-აღმოსავლეთ-ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების კედელი. იგი II ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთი გარე კუთხიდან მიემართება, ნაწილობრივ ფარავს ქვედა დონის კედელს და I ოთახის სამხრეთი კედლის ქვეშ შედის. კედლებზე აღმოჩნდა ჭრილში ოვალურგანივკვეთიანი შავი მინის სამაჯურის (04-85-702) და ქვაბ-ქოთნის ორიოდე ნატეხი.

გაირკვა, რომ XIII ს. იატაკის ქვეშ კორიდორშიც რიყის ქვის კედლების ნაშთებია.

***

ამგვარად, კორიდორი მდებარეობს სასახლის I-III და II ოთახებს შორის; გასასვლელით კი უკავშირდება IV ოთახს. მოიცავს კვადრატებს: $26_{6-10}$, $26_{6}$; ფართობი - 18მ.[2] ჩრდილოეთი კედელი ნაგებია აგურით, ზემოდან ალიზი ადევს. იგი საერთოა I, III ოთახებთან. ეს კედელი არასწორხაზოვანია, რის გამოც კორიდორი არათანაბარი სიგანისაა (1,65-2,35)მ. სამხრეთი კედელი საერთოა II ოთახთან. ორივე კედელი შელესილია და ცოკოლად რიყის ქვის წყება გასდევს. დასავლეთი რიყის ქვის კედელი ძალზე დანგრეულია.

აღმოსავლეთით კორიდორი IV ოთახს უკავშირდება. შესასვლელი თაღოვანია. კორიდორისა და ოთახის იატაკის დონეები 0,5 მ-ით განსხვავდება. კორიდორი უფრო მაღლაა და კიბეებით უკავშირდება IV ოთახს. კორიდორის დასაწყისში დასავლეთ მხარეს, გამოვლინდა თავდაპირველი სასახლის კიბეები.

კორიდორის აღმოსავლეთ ნაწილში იატაკის ქვეშ, ისევე როგორც I და III ოთახში, აღმოჩნდა სხვა დონის და გეგმარების, უფრო ადრეული ნაგებობების რიყის ქვის კედლები. კორიდორში ისინი ერთმანეთზე გადადის. შემდგომი მუშაობა ბევრს ახალს და საინტერესოს მოგვცემს.

კორიდორში კედლის ნარღვევები არ გვხვდება, მაგრამ ყველაზე მეტი რაოდენობით აქ -IV ოთახის შესასვლელთან აღმოჩნდა სარკმლის ჩარჩოს ნატეხები.[2] ცხადია, ესენი დარბაზის სარკმლებს ეკუთვნოდა. აქვე იყო სამყურა რელიეფური ყვავილით შემკული, ღობეაკეცილი კრამიტი(04-75-2021), რომელიც ასე დამახასიათებელია განვითარებული შუა საუკუნეებისათვის.

კორიდორში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა მეტად მრავალფეროვანი და საინტერესოა -საქმე გვაქვს საუკეთესო ნიმუშებთან, რადგან აქ ძირითადად სასახლის

---

[1] სიღრ. -3,75 მ; შემორჩ. ს. -45 სმ.

[2] რ-61-4034; 04-75/2005, 2006.

აფეთქების შედეგად ოთახებიდან მომდინარე მასალაა გადმოყრილი. მონეტა სამია: ერთი -გაურკვეველი; მეორე - ლაშაგიორგის (რ-65-6566); მესამე - რუსუდანის, 1227 წლის (04-74-1882).

V ო თ ა ხ ი მდებარეობს IV ოთახის სამხრეთით, აღმოსავლეთი ზღუდის გასწვრივ. ოთახი ძირითადად 1975 წელს გაითხარა. იგი გამოვლინდა სასახლიდან აბანოში ჩასასვლელ კიბეებთან (ტაბ.IV).

IV ოთახთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, რომ გვიანდელი ხანის რიყის ქვის სენაკის ჩრდილოეთი კედლის აღებით გამოვლინდა IV ოთახის სამხრეთი კედელი (ტაბ.XII,1; XVII,1), რომელიც როგორც შემდეგ გაირკვა, V ოთახისათვის ჩრდილოეთ კედელს წარმოადგენს. თვით სენაკი, უფრო სამხრეთით, V ოთახში აღმოჩნდა ჩადგმული. სენაკის დასავლეთი კედლის (კვ.$27_{12,17}$) აღებით გაირკვა, რომ იგი კირხსნარიანი მოედნის ნაშთზე გადადის, რაც ადასტურებს, რომ სენაკი სასახლის განადგურების შემდეგაა ჩადგმული.

IV და V ოთახს საერთო კედელი აქვს. IV ოთახში ამ კედლის პირი კარგადაა შემორჩენილი, რასაც ვერ ვიტყვით V ოთახში გამოვლენილ შიდა პირზე (ტაბ. XVII,2); აქ არის აგურის კედლის ნარღვევების ვიწრო ზოლი[1] და დამწვარი ძელის ფრაგმენტები.

სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, აღმოსავლეთი ზღუდის პარალელურად, მისგან 6,8 მ-ის მანძილზე გამოვლინდა კიდევ ერთი პილონი (2,2x0,6x0,75 მ) იგი (კვ.$27_{22}$) სიღრმეში გრძელდება; ნაგებია დუღაბზე, ისევე როგორც სხვა პილონები. ამავე ნაწილში აღმოჩნდა რიყის ქვის კედლის ფრაგმენტები, რომელიც V ოთახის დასავლეთ კედელს წარმოადგენს. იგი ორ პილონს შორისაა ჩაშენებული. ჩრდილო-დასავლეთი დამუხლული პილონი საერთოა IV ოთახთან. სამხრეთ-დასავლეთ პილონში, აღმოსავლეთ მხარეს გამონგრეულია მართკუთხედის მოყვანილობის ნაწილი, რომელიც შევსებულია დიდი რიყის ქვებით და აგურით; შეკავშირებულია თიხით.

დასავლეთ რიყის კედელს[2] ძირში დიდი ყვითელი ქვიშაქვის ლოდები გაუყვება. გარეთა, დასავლეთი პირი ცუდადაა შემორჩენილი; დასავლეთი კედლის თავზე კირხსნარიანი მოედნის ნაშთია; აქ, კირხსნარიანი მოედნიდან 0,5 მ-ზე ორივე მხარეს ჩაღრმავებამ საკმაოდ არეული მასალა გამოავლინა.

აბანოში ჩასასვლელი, ზღუდეში ჩაჭრილი კიბეების ახლოს კარგად გამოიკვეთა აღმოსავლეთ ზღუდეზე პერპენდიკულარულად მიდგმული ქვითკირის კედელი, რომლის თავი ჯერ კიდევ 1965 წელს ჩანდა (კვ.$27_{22,23}$). იგი კირხსნარიანი მოედნიდან 0,6 მ სიღრმეზეა, დგას ნაყარზე და ნაწილობრივაა შემორჩენილი.[3] აქ სხვა კედელი არ ჩანს.

[1] სიგრ. -6,4 მ; შემორჩ. ს. -0,6 მ.
[2] სიგრ. -7 მ. სიგ. -0,8 მ. შემორჩ. ს. -0,9 მ.
[3] სიგრ. -4,2 მ. ს. -0,5-0,9 მ. სიგ. -0,5-0,6 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული კედელი ვერ აღვიქვით V ოთახის სამხრეთ კედლად, რადგან ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებთან შედარებით იგი 0,8 მ-ით უფრო მაღალ დონეზეა.

შემდგომმა გათხრებმა და დაკვირვებამ დაგვანახა, რომ კედლის გაგრძელების შემთხვევაში იგი უერთდებოდა სამხრეთ-დასავლეთ პილონში (კვ.$27_{22}$) გამონგრეულ მართკუთხედს. მისი და პილონში ჩაშენებული კედლის წყობა ერთნაირია, სიგრძე კი ისეთივეა, როგორც ჩრდილოეთი კედლისა -6,4 მ. ასე რომ, აღნიშნული კედელი V ოთახის მოგვიანო ხანაში გადაკეთებულ სამხრეთ კედელს წარმოადგენს.

V ოთახის აღმოსავლეთ კედელს (სიგრ. -6,2 მ.) ზღუდე წარმოადგენს. ზღუდის ამ მონაკვეთის ქვედა წყობაში მეტწილად დიდი ზომის რიყის ქვებია გამოყენებული, ნაკლებადაა ნაგლეჯი ქვები. აქ კედელი ცეცხლისაგან გაწითლებული და დამსკდარია. ზედა ნაწილში აგური (25X25X6 სმ) ჭარბობს. ამ წყობაზეა გამართული გაჯის ტიხრიანი ალიზის კვადრები. აბანოში ჩასასვლელი კიბის ჩრდილოეთი ფრთის გამოწმენდისას კარგად გამოჩნდა რომ იგი, ისე როგორც მისი სამხრეთი ფრთა, უფრო გვიანდელია, ვიდრე ზღუდე. ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა IX-XIII სს. მასალა.

***

ამრიგად, V ოთახი მდებარეობს IV ოთახის სამხრეთით. იგი მიდგმულია აღმოსავლეთ ზღუდეზე (ტაბ.IV). მოიცავს კვადრატებს: $27_{12-14,18,19,22,23}$ -ის ნაწილებს. ფართობი -50მ.$^2$

ოთახის ჩრდილოეთი კედელი საერთოა IV ოთახთან. კედლის შიდა პირს წყობა არა აქვს გამოკვეთილი; ძირში გაუყვება დამწვარი ძელი. დასავლეთი კედელი რიყის ქვისაა, ჩაშენებულია 2 პილონს შორის. ძირში გაუყვება დიდი ყვითელი ქვიშაქვის ლოდები. კედლის თავზე შემორჩენილია კირხსნარიანი მოედნის ნაშთი. სამხრეთი კედელი ჩაშენებულია სამხრეთ--დასავლეთი პილონის გამონგრეულ ნაწილში და ებჯინება აღმოსავლეთ ზღუდეს; შემორჩენილია ნაწილობრივ. აღმოსავლეთი კედელი ზღუდეს წარმოადგენს. ამ კედელში ჩაჭრილი კიბეებით სასახლე უკავშირდება ზღუდის გარეთ მდებარე აბანოს [3, გვ.224].

V ოთახში ყველაზე მრავლად მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკაა წარმოდგენილი. მათ შორის ჭარბობს XII-XIII სს-ზე უფრო ადრეული, IX-XI სს. ნიმუშები. მონეტა სამია, ვერც ერთი ვერ განისაზღვრა.

VI ო თ ა ხ ი მდებარეობს V ოთახის სამხრეთით აღმოსავლეთი ზღუდის გასწვრივ (ტაბ.IV). აღნიშნული ტერიტორია ძირითადად 1974, 1976 და 1981 წლებში გაითხარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვიცით, 1961 წელს X თხრილზე მუშაობა მიმდინარეობდა ჩრდილო-აღმოსავლეთ ზოლში. აბანოში ჩასასვლელი კიბეების სამხრეთ ფრთასთან გამოვლინდა იატაკისა და ალიზის კედლის შერწყმის კუთხე; კედელზე 25 სმ-ზე შემორჩენილი იყო გაჯით შელესილობა. ასეთივე კუთხე გამოვლინდა კედლის სამხრეთ გაგრძელებაზე; შელესილობა შემორჩენილი იყო 30 სმ-ზე. მოლესილი იატაკის დონეზე, მისგან დასავლეთით 1 მ-ის დაშორებით, შენობის ნანგრევის ქვეშ (დიდრონი ქვები, აგური, დამწვარი ძელი) გამოჩნდა 3 ადამიანის ჩონჩხი; აქვე იყო მრავალფერადი ჯამების, ღობეაკეცილი კრამიტების და რკინის საგნის ნატეხები.

$37_2(C_8)$ კვადრატში აღმოჩენილი პილონი[1] არის VI ოთახის სამხრეთ-დასავლეთი და ამავე დროს სასახლის კომპლექსის უკიდურესი, ჩამკეტი პილონი სამხრეთი მიმართულებით. იგი რუსული ,,Г"-სებური ფორმისაა და ზედა დონის კირხსნარიანი მოედნის ქვეშაა მოქცეული.

1973 წელს ციხის აღმოსავლეთი პერიმეტრის გამოვლენისას გაიწმინდა აღმოსავლეთი ზღუდის №3 ბურჯის შიგნით მოქცეული თავდაპირველი ზღუდის ოთხკუთხა კოშკზე დასავლეთი მხრიდან მიშენებული აგურით ნაგები კედელი. იგი წარმოადგენს აბანოში ჩასასვლელი სამხრეთი ფრთის გაგრძელებას; ნაგებია ბრტყელი აგურით (22X22X4,5 სმ). წყობაში გამოყენებულია რიყის ქვაც, მაგრამ მათ მონაცვლეობაში კანონზომიერება არ ჩანს. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს არის VI ოთახის აღმოსავლეთი კედელი. აგურის კედელი (ტაბ.XVIII,2) სამხრეთისაკენ მიემართება შემდეგ ქმნის საკმაოდ დაზიანებულ კუთხეს და უერთდება ზღუდის აღმოსავლეთ კედელს.

თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 0,6 მ სიღრმეზე გამოჩნდა ზედა დონის კირხსნარიანი მოედნის ნაშთი (ტაბ.XX,2).[2] მასზე გადადის ჩრდილო-სამხრეთი მიმართულების რიყის ქვის კედლის ფრაგმენტი, რომელიც სამხრეთ ჭრილში გრძელდება. კირხსნარიანი მოედანი დასავლეთის მიმართულებით თითქმის მთელ სიგრძეზე ჩანს. კედლის ძირი 20-30 სმ-ით მაღლაა, ვიდრე კირხსნარიანი ფენის, ამიტომ ისინი სხვადასხვა დონის უნდა იყოს. როგორც შემდეგ გაირკვა, ორივე გადადის სასახლის VI ოთახზე. ამ მოედნის ნაშთის ქვეშ ექცევა აღმოსავლეთ მხარეს, აგურის კედლის კუთხესთან აღმოჩენილი ქოცოც. პირის დონეების მიხედვით ქოცო და კედელი სხვადასხვა ხანისაა.

კირხსნარიანი მოედნები წინა წლებშიც სხვადასხვა დონეზე გვხვდებოდა. ახლად გამოვლენილი მოედნის ნაშთი ყველაზე მაღლაა. მოედნის ნაშთები (მიწის ზედაპირიდან 0,6 მ-ზე) აღმოსავლეთიდან დასავლეთით წყვეტილებით 8,5 მ-ზე არის შემორჩენილი.

---

[1] ეს ის პილონია (კვ.$C_8$), რომლის გამოც გ.ლომთათიძე თხრილის გაფართოებას სამხრეთით აპირებდა. პილონის ს. -1,3-1,4 მ.

[2] მისი ნაწილი 1965 წელსაც ჩანდა.

ალაგ- ალაგ კირხსნარის ორი ფენა ჩანს, ერთმანეთისაგან 8-10 სმ-ით დაშორებული. სიცარიელე ამოვსებულია რუხი ფერის ალიზით. მოედანზე ორ ადგილას, ერთმანეთისაგან 95 სმ-ით დაშორებული ფოსოებია; ახლა მათგან ნახევარწრეებია[1] შემორჩენილი. შესაძლოა ისინი ბოძების ჩასადგმელი იყო.

1974 წელს თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჩავედით II ოთახის აღმოსავლეთი კედლის გარეთ არსებული ქვედა დონის კირხსნარიანი მოედნიდან 20 სმ-ზე. კარგად გამოვლინდა $27_{22}$ კვადრატში მდებარე პილონი (საერთო V და VI ოთახებისათვის).[2] აგრეთვე გამოვლინდა პილონებს შორის ჩაშენებული რიყის ქვით ნაგები კედლის ნაშთები; ეს არის VI ოთახის დასავლეთი კედელი (სიგრ. -7,5 მ), რომელსაც ძირი გაუთავდა, ხოლო პილონები სიღრმეში გრძელდება. მთელ ამ ფართობზე $37_2$ კვადრატში შემორჩენილი კირხსნარიანი მოედნიდან 30-35 სმ სიღრმეზე ამოდიოდა XII-XIII სს. ადრეული მასალები.

პილონებს შორის ჩაშენებული კედლის გამოვლენისას ხელახლა გაიწმინდა 1965 წელს დაკონსერვებული იატაკისა და კედლის შერწყმის გაჯით შელესილი კუთხე. ამათ დონით შეესაბამება 1961 წელს აბანოს კიბეების სამხრეთ ფრთასთან გამოვლენილი ასევე შელესილი კედლისა და იატაკის შერწყმის კუთხე. ეს კედელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, V ოთახის სამხრეთი კედელია. იგი აღმოსავლეთ ზღუდეს ებჯინება, ხოლო დასავლეთით 4,2 მ-ის შემდეგ აღარაა შემორჩენილი. ხაზის გაგრძელებით იგი უერთდება ჩრდილო-დასავლეთი პილონის გამონგრეულ ნაწილში ჩაშენებულ წყობას. აღნიშნული კედელი VI ოთახისათვის ჩრდილოეთი კედელია.[3] იგი ნაგებია ქვიშაქვის ლოდებით და რიყის ქვით, შეკავშირებულია თიხით.

აბანოში ჩასასვლელის აგურით ნაგები ჩრდილოეთი ფრთა გამართულია იმგვარივე ქვიშაქვის ლოდებზე, როგორითაც ნაგებია ზღუდეზე პერპენდიკულარულად მიბჯენილი კედელი და საფუძველიც ერთ დონეზე აქვთ. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ისინი ერთდროულადაა აგებული.[4] ძირი გაუთავდა აღმოსავლეთ ზღუდეზე მიშენებულ აგურის კედელსაც, რომელიც აბანოში ჩასასვლელის სამხრეთი ფრთის გაგრძელებაა.

ამგვარად, ზემოთ განხილულ კედლებს ერთ დონეზე დაუმთავრდათ ძირი და შეიკრა ახალი სათავსო -VI ოთახი, რომლის აღმოსავლეთ კედელს წარმოადგენს ზღუდეზე მიშენებული აგურის კედელი; დასავლეთის კედელს-პილონებს შორის

---

[1] დმ -30 და 24 სმ; ს. -12 და 8 სმ.

[2] პილონის ზომები: (2,2X0,6X0,75 მ).

[3] სიგრ. -6,4; სიგ. -0,5-0,6 მ; ს. -0,5-0,9 მ.

[4] ამავე დროს შესაძლოა ეს კედელი (შემორჩ. სიგრ. -3,9 მ, ს. -0,3 მ, სიგ. -0,7 მ) ფუნქციონირებდეს ჩაჭრილ კიბეებზე ადრეც, რადგან მათი საძირკველი ექცევა აბანოში ჩასასვლელი დონის ქვემოთ. აქ მომოვებული მასალაც XII-XIII საუკუნეზე უფრო ადრეულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაშენებული რიყის ქვის კედელი; ჩრდილოეთისას კი–აღმოსავლეთ ზღუდეზე მიბჯენილი კედელი, რომელიც იწყება გამონგრეული პილონიდან და საერთოა V ოთახთან.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ VI ოთახის იატაკის ქვეშ (კვ.$37_2$) და II ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის გარეთ მდებარე კირხსნარიანი მოედნის ქვეშ ამოსული მასალები ერთნაირია: უმრავლესობას წარმოადგენს კეცზე ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული, ან ვარდისფერ ანგობზე მკრთალი ნაკაწრებითა და გაღვრილად მრავალფერად მოხატული, უფერო ჭიქურით დაფარული ჯამები. ესენი XII-XIII სს-ზე ადრეული ნიმუშებია.[1]

მოვხსენით ზედა დონის კირხსნარიანი მოედნის კუთვნილი ნაშთები, რომლებიც დიდ ფართობზე ფარავდა VI ოთახის სამხრეთ ნაწილს; მათ შორის რიყის ქვის სენაკი (№10), რომლის ჩრდილოეთი ნაწილი გადადიოდა VI ოთახზე. VI ოთახის სამხრეთ-დასავლეთ პილონზე კი გადადიოდა 1 მ სიმძლავრის XII-XIII სს. ნაყარი და გვიანდელი, მონღოლების შემოსევის შემდეგ დროინდელი დარბაზული ეკლესიის აბსიდის ნაწილი (ტაბ.XIX).

VI ოთახის აგურის კედლის ქვეშ, გასწვრივ და წინ მდებარე ფართობზე 1 მ ნაყარია, რომელიც შეიცავს აგურებს, ბათქაშებს, მრავალრიცხოვან და საინტერესო IX-XI და XII-XIII სს. მასალას. როგორც ვხედავთ, აქ არეულია ორი დონის მასალა: აგურის კედელი ქვედა დონის ნაყარზეა გამართული (როგორც II ოთახის აღმოსავლეთი მხარე) და როგორც ჩანს, ამას დაემატა აგურის კედლიანი VI ოთახის დანგრევის (1265 წ.) შედეგად წარმოქმნილი ფენა.

აგურის კედლის სამხრეთ ბოლოში ნაშალის ჩამოღებისას ისევ გამოჩნდა (ჩანდა 1973 წ.) ტეხილი, რომელიც ეკლესიის ქვეშ მდებარე პილონის (კვ.$37_2$) მოპირდაპირედაა აღმოსავლეთ ზღუდესთან. ამ ტეხილამდე აგურის კედლის სიგრძე -7,5 მ. ეს არის VI ოთახის აღმოსავლეთი კედლის სიგრძე (შემორჩ. ს. -1-1,3 მ.).[2] აქ კარგად ჩანს, რომ IX ს. პილონსა და XI ს. ნაყარზე გადადის XII ს. გადაკეთებული სასახლის VI ოთახის აღმოსავლეთი აგურის კედელი (ტაბ.XX,1). აღნიშნულ ტეხილსა და პილონს შორის უნდა ყოფილიყო VI ოთახის სამხრეთი კედელი, რომელიც არ არის შემორჩენილი.

---

[1] 04-74/1524-1544, 1594-1611; 04-76/2586-2596; 2331-2636.

[2] ახლა აგურის კედლის სიგრძე -6,4 მ. რესტავრატორების მუშაობის შემდეგ ორი ტეხილი გამოდის; თავის დროზე კი აღმოსავლეთ ზღუდესთან ერთი ტეხილი იყო.

***

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, VI ოთახი მდებარეობს V ოთახის სამხრეთით, აღმოსავლეთ ზღუდის გასწვრივ (ტაბ.IV) მოიცავს კვადრატებს: $27_{22,23}$ და $37_{2-4,7-9}$ ნაწილებს. ფართობი -48მ.[2]

აღმოსავლეთი კედელი აგურითაა ნაგები, მიშენებულია აღმოსავლეთი ზღუდის №3 ნახევარწრიულ ბურჯზე. დასავლეთი კედელი ჩაშენებულია ორ პილონს შორის; ნაგებია რიყის ქვით თიხაზე. დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლებზე შემორჩენილია კედლისა და იატაკის შერწყმის კუთხე შელესილობით. ჩრდილოეთი კედელი საერთოა V ოთახთან. იგი ჩაშენებულია ჩრდილო-დასავლეთი პილონის შუა ნაწილში და წყვეტილის შემდეგ ებჯინება აღმოსავლეთ ზღუდეს. ნაგებია ქვიშაქვის ლოდებით და რიყის ქვით თიხაზე.

ჩრდილო-დასავლეთი ოთხკუთხა პილონი საერთოა V ოთახთან; სამხრეთ-დასავლეთის რუსული „Г"-სებური ფორმის პილონი ამთავრებს სასახლის კომპლექსს. მის მოპირდაპირედ აღმოსავლეთი ზღუდე აკეთებს ტეხილს. ამ ჩამკეტ პილონსა და აღმოსავლეთ ზღუდესთან ტეხილს შორის უნდა ყოფილიყო სამხრეთი კედელი, რომელიც არ არის შემორჩენილი.

VI ოთახის კედლებს ძირი გაუთავდათ, პილონები კი სიღრმეში გრძელდება. ოთახი დგას 1 მ ნაყარზე, რომელიც სტრატიგრაფიულად და არქეოლოგიური მასალის მიხედვით, წარმოქმნილია XI ს. II ნახევარში თურქ-სელჯუკების შემოსევების შედეგად.

ამრიგად, VI ოთახის სახით სასახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლინდა კიდევ ერთი სათავსო, რომლითაც ამ მხარეს მთავრდება სასახლის კომპლექსი. ამ ნაწილში კიდევ ერთხელ კარგად გამოჩნდა თავდაპირველი სასახლისა და XII ს. განახლებული სასახლის შერწყმა.

VI ოთახში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სამშენებლო კერამიკა: აგურები, გვერდებაკეცილი და ღარისებრი კრამიტები: აღსანიშნავია შუბლიანი და წარწერიანი კრამიტები ე.წ. ანტეფიქსები (ტაბ.XXVI,34); ბევრია მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკა; მინისა და ლითონის ნაწარმი: დიდ-პატარა რკინის ლურსმნები; არის ბრინჯაოს ჩაქუჩი; ორი მონეტა: გიორგი III-ის და ლაშა-გიორგის -„ჯავახთ-უფალი". (04-81/2,113).

VII ო თ ა ხ ი ძირითადად გამოვლინდა 1976-1977 წლებში (ტაბ.IV). სასახლის III ოთახის დასავლეთით (კვ.$16_{21,22}$,$26_{1,2,6,7}$) გაფართოებისას ძირითადად ამოდიოდა განვითარებული შუა საუკუნეების მასალა. თანდათან გამოიკვეთა ჩრდილო-დასავლეთ მიმართულების რიყის ქვის კედელი, რომელიც ჩრდილოეთ ზღუდეს ებჯინებოდა. იგი აღმოჩნდა №1 სენაკის (1976 წლის ნუმერაციით) დასავლეთი კედელი. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს სენაკი ჩადგმული ყოფილა სასახლის VII ოთახში.

III ოთახის დასავლეთით გამოისახა ზედა დონის ბუხრიანი რიყის ქვის სენაკი, რომლის ჩაღრმავებისას, III ოთახის სამხრეთ-დასავლეთი პილონის გასწვრივ ზოლზე დასავლეთისკენ, გამოჩნდა წითელი და ყვითელი დაშლილი ქვების გროვა -პილონის თავის ნანგრევი (კვ.$25_{5,10}$; $26_{1,6}$ გადაკვეთაზე). მანძილი ამ ორ პილონს შორის 6,3 მ.; აქვე შეინიშნებოდა ძალზე დანგრეული კედლის ნაშთებიც. ასეთივე პილონი უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთ ალიზიანი ზღუდის გასწვრივ ზოლზეც (კვ.$15_{25}$,$16_{21}$ გადაკვეთაზე), სადაც გადანაყარი მიწის დიდი ზვინი იყო.

ამგვარად, იკვრებოდა სასახლის ახალი სათავსო -VII ოთახი.

მოტკეპნილი ალიზის მკვრივ მასაში ჩადგმული იყო ზედა დონის დიდი ქვევრი (კვ.$25_5$); შემორჩენილია თითქმის ნახევარი; ალიზის აღების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ახლად გამოვლენილი სამხრეთ-დასავლეთი პილონი ზედა დონის ბუხრიანი რიყის ქვის სენაკის შუაშია მოქცეული. თანდათან გამოიკვეთა, რომ პილონი საკმაოდ დიდია (2x1,75x1,25 მ) და აქვს რუსული „Г"-სებრი ფორმა, ისევე როგორც VI ოთახის სამხრეთ-დასავლეთ პილონს. როგორც ჩანს, ესენი ნაგებობის დამამთავრებელი პილონებია. პილონი ნაგებია ისევე, როგორც ყველა დანარჩენი და ესეც ღრმად ზის მიწაში.

ზემოთ აღნიშნული ქვევრისა და პილონის თავის ირგვლივ (ტაბ.XXI,2), აღმოჩნდა XII-XIII სს. მომდევნო ხანის მასალა (04-77/3200-3207); პილონის დასავლეთით კი მრავლად გამოვლინდა ისევ სასახლისეული ნანგრევი: დაბალღობიანი, დამწვარი კრამიტები, სქელი ოთხკუთხა აგურები, ბათქაშები და სხვ.

პილონის ჩრდილოეთით, მისი ფრთის გაგრძელებაზე გამოიკვეთა ასევე ნაგები, ალაგ-ალაგ ჩამონგრეული კედლის[1] ნაშთი (კვ.$25_5$,$26_1$) მისი აღმოსავლეთი პირი ძალზე დაზიანებულია; აკლია პერანგის ქვები (ტაბ.XXI,2). მას დასავლეთიდან მიშენებული აქვს მეორე კედელი, რომელიც რიყის დიდი ქვებით და აქა-იქ ქვიშაქვის ლოდებითაა ნაგები. როგორც ჩანს, ამ კედლის შემცველი სათავსო დასავლეთისკენ უნდა იკვრებოდეს. პილონზევე, დასავლეთი მხრიდან მიშენებულია სხვა, მომდევნო ხანის შედარებით სუსტად ნაგები ნალისებრი კონტრფორსი. ყველაფერ ამაზე კი ზემოდან გადადის ზედა დონის რიყის ქვის სენაკი, რომელიც კარგადაა შემორჩენილი (შესასვლელი, ბუხარი, ქვევრი). ეს სენაკი ავიღეთ; გადავწიეთ აგრეთვე ჩრდილოეთ ზღუდესთან ამონათხარი მიწის გროვა; დაღრმავებამ, ჯერჯერობით, ვერ გამოავლინა ოთახის ჩრდილო-დასავლეთი პილონი.

III ოთახის ძალზე ცუდად შემორჩენილი დასავლეთი კედლის აღების შემდეგ, პილონებს შორის დარჩა ალიზის კედლის რიყის ქვის საფუძველი; მაშინ VII ოთახის კონტური არ იყო გამოვლენილი. როგორც შემდეგ გაირკვა, III ოთახის დასავლეთი

[1] შემორჩ. სიგრ. -1,25 მ; სიგ. -0,7 მ, ს. -0,4 მ.

კედელი საერთო ყოფილა VII ოთახთან, რომლისთვისაც ის აღმოსავლეთ კედელს[1] წარმოადგენს.

VII ოთახის დასავლეთი კედელი[2] გამოვლინდა ბოლომდე, ჩრდილოეთ ზღუდემდე (კვ.$25_{4,5}$; $26_1$). აქვე უნდა იყოს სავარაუდო ჩრდილო-დასავლეთი კუთხის პილონიც, რომელსაც ალბათ მომავალი გათხრა გამოაჩენს.

VII ოთახში დონეების გასწორების მიზნით ჩაღრმავებისას, კარგად გამოიკვეთა ქვიშაქვის კედელი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ (საერთო III ოთახთან) და სამხრეთ-დასავლეთ პილონებს შორის იყო ჩაშენებული. ეს კედელი ნაწყვეტების სახით ადრეც ჩანდა, მაგრამ ახლა ხაზი შეიკრა, თუმც კედელი საკმაოდ დაზიანებულია-გადაზნექილია სამხრეთისაკენ; ეს არის VII ოთახის სამხრეთი კედელი (სიღრ. -6,3 მ).

***

ამგვარად, VII ოთახი მდებარეობს III ოთახის დასავლეთით, ჩრდილოეთი ზღუდის გასწვრივ (ტაბ.IV). მოიცავს კვადრატებს: $16_{21,22}$-ის სამხრეთ ნაწილს, $26_{1,2}$ და $26_{6,7}$-ის ჩრდილოეთ ნაწილს. ფართობი 34მ.$^2$ კედლები პილონებს შორისაა ჩაშენებული. აღმოსავლეთი კედელი ალიზისაა, საერთოა III ოთახთან. სამხრეთი კედელი ნაგებია ისევე, როგორც პილონები. ორივე კედელი ძალზე დაზიანებულია. დასავლეთი კედელიც ნაგებია, როგორც პილონები, შემორჩენილია წყვეტილებით. მისი სამხრეთ-დასავლეთი პილონი „Г"-სებრია. იგი ამთავრებს სასახლის კომპლექსს.

ჩრდილოეთი კედელი -ჩრდილო ალიზიანი ზღუდე იქნებოდა ორ პილონს შორის ჩაშენებული, ახლა დანგრეულია. არ არის გამოვლენილი ჩრდილო-დასავლეთი პილონიც; ჩრდილო-აღმოსავლეთი პილონი კი საერთოა III ოთახთან.

ოთახის სამივე პილონი ისევეა ნაგები, როგორც სხვები. ასევეა ნაგები სამხრეთი და დასავლეთი კედლებიც, შესაძლოა მეტი გამძლეობისა და სიმაგრისათვის, რადგან დასავლეთით VII ოთახით მთავრდება სასახლის კომპლექსი. სამხრეთ-დასავლეთ დიდ პილონს კი, როგორც ვიცით, ჩაუყვება თავდაპირველი სასახლის კიბეები.

VII ოთახში აღმოჩნდა სასახლის ნანგრევები: ღრმად ამოკვეთილი ღარებით შემკული ბათქაშის ნალესობა, კარნიზის ნაწილები, ცისფრად მოჭიქული პრიზმული შორენკეცების და სარკმლის მინის ნატეხები; მოუჭიქავი კერამიკის თითქმის ყველა სახის ჭურჭელია წარმოდგენილი, მაგრამ მცირე რაოდენობით; დიდი რაოდენობითაა მრავალფერად მოხატული და მოჭიქული ჯამები; არის ფაიანსის და მინის ჭურჭელი; ლითონის ნივთებიდან საინტერესოა ყალიბში დამზადებული ბრინჯაოს ლომის (?) გამოსახულება. სამი მონეტიდან ორი ვერ განისაზღვრა, ერთი -რუსუდანისაა, 1227 წელი.

VII ოთახში ძირითადად XII-XIII სს. მასალაა და ძალზე ცოტაა უფრო ადრეული ნიმუშები.

---

[1] სიღრ. -5,4 მ; შემორჩ. ს. -0,8 მ.

[2] სიღრ. -5,4 მ; შემორჩ. ს. -0,4 მ; სიგ. -75-85 სმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავი II

## ს ა ს ა ხ ლ ე შ ი  ა ღ მ ო ჩ ე ნ ი ლ ი  ა რ ქ ე ო ლ ო გ ი უ რ ი  მ ა ს ა ლ ა

სასახლის კომპლექსის თხრის დროს აღმოჩენილ მასალებში ხელოსნობის თითქმის ყველა დარგია წარმოდგენილი - კერამიკული, მინის, ლითონის, ძვლის წარმოება. სასახლის მშენებლობაში ორი ძირითადი სამშენებლო პერიოდია: IX-XI და XII-XIII სს. შესაბამისი საცხოვრებელი დონეებითა და არქეოლოგიური მასალით.

სასახლეში მოპოვებული მასალები საშუალებას არ იძლევა სრულად გავითვალისწინოთ იმ ხანის საზოგადოების მაღალი ფენის ყოფა-ცხოვრების დონე, რადგან როგორც ყველგან, რუსთავშიც თავდასხმების დროს უპირველეს ყოვლისა სასახლის მეპატრონეთა და მათი ქონების გახიზვნა, ხოლო ნაგებობის აღდგენა-შეკეთების დროს მისი ტერიტორიის გაწმენდა ხდებოდა. აქვე დავძენთ, ის მასალა, რაც აქ არის შემორჩენილი, საკმაოდ მაღალხარისხოვანია.

სასახლიდან მომდინარე მასალები მტრის მიერ ნაგებობის ძლიერი გადაწვა-აფეთქების გამო რიგ შემთხვევაში არეულია. ამის მიუხედავად სტრატიგრაფიული მონაცემები, აღმოჩენის პირობები და პარალელური მასალების გათვალისწინება მათი ქრონოლოგიური გამიჯვნის საშუალებას იძლევა. კერძოდ, სასახლის ტერიტორიაზე, ისე როგორც მთელ ციხეზე, კარგად ჩანს ორი ძლიერი განადგურების კვალი (1068 წ. და 1265 წ.). აღნიშნული ფენები მრავლად შეიცავს შესაბამისი ხანის მასალებს. რიგ შემთხვევაში ისინი აღებულია დამწვარი იატაკების დონეზე in situ.

სასახლეში აღმოჩენილი მასალის დიდ უმრავლესობას კერამიკა შეადგენს. გამოიყო ორი ჯგუფი: საყოფაცხოვრებო დანიშნულების და სამშენებლო კერამიკა. პირველ რიგში შევეხებით თვით სასახლის მშენებლობის ტექნიკას და სამშენებლო კერამიკას.

როგორც ვიცით, თავდაპირველი, IX-XI სს. სასახლის პილონები ნაგებია ე.წ. შერეული წყობით: დიდი ნაგლეჯი ლოდები, რიყის ქვა, აგური შეკავშირებული დუღაბით. პილონებს შორის ჩაშენებული კედლები ძირითადად ალიზისაა, რიყის ქვის საფუძვლით; ორ შემთხვევაში (VII ოთახი) კი ისევეა ნაგები, როგორც პილონები. ამ ხანის სასახლე ერთსართულიანი უნდა ყოფილიყო. შემდეგ XII ს. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში II სართულად შენდება დარბაზი, II ოთახი და აბანო, რომელიც ორ ზღუდეს შორისაა მოქცეული და სასახლეს ზღუდეში ჩაჭრილი კიბეებით უკავშირდება. დარბაზი, II ოთახი, აბანო მთლიანად აგურითაა ნაგები. სხვა ოთახების კედლების უმრავლესობა ისევ ალიზისაა; ზოგი კედელი მთლიანად რიყის ქვისაა, თევზიფხური წყობით; ზოგჯერ რიყის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვებს აგურიც ურევია; ხან კი ერთ ოთახში კედლები სხვადასხვაგვარადაა ნაგები, რაც არა ერთგზის შეკეთება-გადაკეთების კვალი უნდა იყოს.

## §1. ს ა მ შ ე ნ ე ბ ლ ო  კ ე რ ა მ ი კ ა

ს ა მ შ ე ნ ე ბ ლ ო  კ ე რ ა მ ი კ ა წარმოდგენილია აგურების, კრამიტების, მილების შორენკეცების სახით.

ა გ უ რ ი. სასახლის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ბრტყელი, კვადრატული ფორმის ე.წ. ქართული აგური. ეს არცაა გასაკვირი, რადგან შენობის ნაწილი აგურითაა ნაგები. აგურები[1] სხვადასხვა ზომისაა (21x21x4,5), (22x22x5), (23x23x4), (24x24x4), (25x25x5) და (26x26x5 სმ). ყველაზე გავრცელებულია (23x23x4 სმ) და (25x25x5 სმ) ზომის აგურები. ხშირია ერთ კედელში სხვადასხვა ზომის აგურის გამოყენება. გვაქვს დიდი ზომის რამდენიმე აგური; ისინი იატაკის უნდა იყოს. ორ მათგანს გამოწვამდე ერთ მხარეს, ნაპირთან მრგვალი ამონაჭერი აქვს.[2] ბევრია ცეცხლისაგან დამწვარი და დე- ფორმირებული აგურები.

კვადრატული აგურის გარდა გვაქვს სამკუთხედის მოყვანილობის ფიგურული აგურებიც. ისინი მოვარდისფრო-მოწითალოდაა გამომწვარი; განიერი ნახევარწრიული კიდე ღრმადაა დაკბილული, აქვს 3,4 ან 5 კბილანა. შემორჩენილია 6 ცალი,[3] ზოგი მთელი (ტაბ.XXV,2), ზოგი მცირედ ნაკლული. ანალოგიური აგურები არსად გვეგულება. დმანისში ნაპოვნია ტრაპეციის ფორმის აგურები, მწვანედ მოჭიქული ზედაპირით; მათ გვერდები ამოღრმავებული აქვთ, კედელში ქვითკირით უკეთ დამაგრებისათვის [40, გვ.399, სურ.49].

რვაკუთხა აგურები ნაპოვნია არეშის გათხრებისას; იგი სამეკლესიანი ბაზილიკის კანკელის სვეტების ამოსაყვან აგურებადაა მიჩნეული [75, გვ.80, ტაბ.LIX$_1$]. რუსთავში აღმოჩენილ ფიგურულ აგურებს დეკორატიული დანიშნულება უნდა ჰქონოდათ და როგორც ჩანს, კარნიზის ან სვეტების ამოყვანისას გამოიყენებოდა. თითქმის ყველა ასეთი აგური ნაპოვნია IV ოთახში, რომლის თავზეც გამართული იყო სასახლის დარბაზი.

კ რ ა მ ი ტ ი დიდი რაოდენობით გვხვდება; გვაქვს ორი ტიპი. ღარისებრი და ბრტყელი, გვერდებაკეცილი; ჭარბობს ეს უკანასკნელი. შესაძლოა ეს გამოწვეული იყოს იმით, რომ ნაგებობა დაბურული იყო ბრტყელი კრამიტის წაღმა-უკუღმა დაწყობით,

---

[1] რ-61/4062, 4097, 4115,4127; რ-65/6207, 6487; 04-74-1757; 04-81-395 და სხვა.

[2] 04-74-958; 04-75-2190; ზომები: (35X35X4), (36X36X3,5), (36X36X4) და (37X37X5 სმ).

[3] 04-74/1517,1702,1725,1846,1965; ს.-27 სმ; ძირთან სიგ. -9 სმ; გაგანიერებულ ნაწილში 24 სმ; სისქე - 4,5 სმ.

როგორც ეს დმანისის ნაგებობების გადახურვისას ჩანს [40, გვ.352]. ღარისებრი კრამიტები კი უთუოდ გარკვეულ ადგილებში (მაგ. კეხი) იყო გამოყენებული. ღარისებრი კრამიტის ზომები არ დგინდება. ჩანს, ისინი[1] ერთი ბოლოსკენ ვიწროვდებოდნენ; ზოგ მათგანზე შემორჩენილია გარდიგარდმო ლილვაკი (ტაბ.XXV,4) გვხვდება განივ და სიგრძივ წიბოიანი კრამიტები, რომელსაც სიგრძივ წიბოზე დატანებული აქვს სალურსმნე ხვრელი.[2] ღარისებრი კრამიტების უმრავლესობა VI თიხიდან მომდინარეობს. ყურადღებას იქცევს ორი ანტეფიქსი (ტაბ.XXVI,3,4). მათ შუბლზე არაბული შრიფტით ამოკაწრული აქვთ წარწერა; ერთ მათგანზე იკითხება „ბარაქამ".[3] ორივე ნაპოვნია VI თიხში XII-XIII სს. იატაკის დონის ქვეშ. რუსთავში აღმოჩენილ სხვა ანტეფიქსებზე რელიეფური ჯვარია გამოსახული. წარწერიანი ანტეფიქსები შუა საუკუნეების მასალებზე საქართველოში საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი. წარწერები უმეტესად შესრულებულია ასომთავრულ-მრგვლოვანით, იშვიათად ნუსხურით [84, გვ.238]. არაბული დამწერლობით რუსთავს გარდა არსად გვეგულება.

ბრტყელი კრამიტი[4] რაოდენობრივად გაცილებით მეტია; ამასთან ერთად იგი მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. გვხვდება დაბალღობიანი, გვერდებჩაჭრილი კრამიტები;[5] ასევე დიდი ზომისაა გვერდებაკეცილი კრამიტი, რომელსაც სიგრძეზე შუაში სამი კლაკნილი საწვიმარი ღარი გასდევს (რ-61-4033). არის კრამიტები, რომელთაც სალურსმნე ნახვრეტი აქვთ (ტაბ.XXV,3). ერთ კრამიტს ქვედა ზედაპირზე თითების ანაბეჭდი ეტყობა (04-74-1002). გვერდებაკეცილი კრამიტების დიდ ნაწილს ვიწრო მხარეს ჩაჭრილი გვერდები აქვს; ხოლო გაგანიერებულ ბოლოში გარდიგარდმო დაბალი ღობე,[6] წვიმის წვეთების სახურავში გაჟონვის შესაფერხებლად, რაც შუა საუკუნეების კრამიტების დამახასიათებელ ნიშნადაა მიჩნეული [83, გვ.99].

ბრტყელი კრამიტებიდან რამდენიმეს[7] გაფართოებული ბოლოს ზედაპირზე სამფურცლოვანი ყვავილის რელიეფური გამოსახულება ამშვენებს (ტაბ.XXV,1). ასეთი კრამიტები XII-XIII სს. მშენებლობისათვის და ქართული კერამიკული წარმოებისათვის დამახასიათებლადაა მიჩნეული [28, გვ.128]. ამგვარი გამოსახულებიანი კრამიტები ნაპოვნია ნადარბაზევის სასახლის თხრისას, სამღერეთში (დიდი ,,საბერო" ანუ მონასტერი). ასევე თბილისში (განჯისკარის კერამიკული სახელოსნო); თბილისის ნიმუშები მწვანედაა მოჭიქული [71, გვ.105; 27, ტაბ.II; 20, გვ.152-153]. გამოთქმულია მოსაზრება,

[1] რ-61/3437,4085; 04-74/748,1278,1279,1908; 04-81/251,310,580.
[2] 04-74/1044,1231; 04-81/144,226.
[3] წარწერა ამოიკითხეს ისტ. მეც. კანდიდატებმა ნ.ყანჩაველმა და რ.გვარამიამ.
[4] რ-61/4049,4063,4082,4116; რ-65-6651; 04-74/614,982,1726,1281,1340,1823; 04-75-2347; 04-81/227,259.
[5] რ-65-6209; ზომა: (33X24X19X3 სმ).
[6] ზომები: (31X21X26,5X3) და (33X27X22X4,5 სმ).
[7] რ-65/6256,6257,6259; 04-74-1726; 04-75-2021.

რომ ასეთი კრამიტები სახურავის გამოსაჩენ ნაწილში უნდა დაეწყოთ, რაც ლამაზსა და სიმეტრიულად გადაბმულ ორნამენტს შექმნიდა [22, გვ.152]. იციციშვილის აზრით, რელიეფურად გამოყვანილი სამყურა ბალახისა თუ ფოთლის გამოსახულებიანი კრამიტის გამოწვა სახელმწიფო მონოპოლიას წარმოადგენდა [69, გვ.227].

თ ი ხ ი ს  მ ი ლ ი რამდენიმე ნატეხითაა წარმოდგენილი. მათი ზომები არ დგინდება. ყველა მათგანი ცალ მხარეს შევიწროებულია და ირგვლივ ლილვაკი ან რელიეფური წიბო დაუყვება.[1] არც ერთი მათგანი წყალგაყვანილობას არ უკავშირდება. შესაძლოა ისინი სავენტილაციოდ იყო გამოყენებული.

შ ო რ ე ნ კ ე ც ი 14 ერთეულითაა წარმოდგენილი (ტაბ.XXVI,1,2). ყველა სამწახნაგოვან-პრიზმულია; უმეტესობას თითო წახნაგი აქვს მოჭიქული,[2] ორს კი-ორ-ორი წახნაგი.[3] ისინი ცისფრადაა მოჭიქული. ორგვერდმოჭიქული შორენკეცები, ალბათ, კედლების კუთხეების მოსაპირკეთებლად იყო გამოყენებული. მკვლევართა აზრით, ნაგებობათა შორენკეცებით შემკობა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან არის შემოსული და საქართველოში ფართოდ გავრცელდა რუსთაველის ეპოქაში, როგორც საერო, ისე საკულტო მშენებლობაში [83, გვ.98]. მოჭიქული შორენკეცები გვხვდება როგორც განათხარ მასალებში (თბილისი, დმანისი), ასევე ამ ხანის არქიტექტურულ ძეგლებზე (ტიმოთეს უბანი, კაბენის წმინდა გიორგის ეკლესია და სხვ.).

როგორც ცნობილია, ჩვენში ნაგებობათა კერამიკული დეტალებით შემკობა მხოლოდ ცალკეული აქცენტების სახით არის გამოყენებული [32, გვ.205], რითაც უნდა აიხსნას განათხარში შორენკეცების რიცხობრივი სიმცირე.

ს ა რ კ მ ლ ი ს  ჩ ა რ ჩ ო. საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ სასახლის კომპლექსის თხრისას აღმოჩენილი სარკმლის ჩარჩოს ნატეხები, სულ 6 ერთეული.[4] დარბაზის სარკმლების კუთვნილი ეს ნატეხები IV ოთახისა და კორიდორის (თაღიან შესასვლელთან) ნაყარში გამოირჩა.

მოყვითალო-მოვარდისფრო საამშენებლო თაბაშირისაგან დამზადებულ [14, გვ.73-77] სარკმლის ჩარჩოს სხვადასხვა ზომის მრგვალი ამონაჭრები აქვს. ერთ-ერთ მათგანში მწვანე სარკმლის მინის კიდის ნატეხია ჩარჩენილი (ტაბ.XXVII,1).[5] მართალია, XII-XIII სს. ზოგიერთი ტაძრის (კაბენის ღვთისმშობლის, ყინწვისის, საფარაში წმ. საბას, ხოფის მონასტრის, ტიმოთეს უბნის, ერთაწმინდის) სარკმლებზე შემორჩენილია ჩარჩოები ამგვარი ამონაჭრებით [65, გვ.81,82; აქვე იხ. ლიტ-რა], მაგრამ რუსთავის საერო

---

[1] რ-65-6652; 04-74/748,1044,1232,1338,1484,1752,1926.

[2] რ-61/3009,3133,3281; რ-65-5961; 04-74/913,611,1116; 04-76-2349. მთელი ნიმუშის ზომაა (19X7X6სმ).

[3] რ-61-3453; 04-75-2320.

[4] რ-61-4034; 04-75/2005,2006.

[5] გამოფენილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ,,საქართველოს IV-XVIII სს. მატერიალური კულტურა.“

სასახლეში მინიანი თუ უმინო სარკმლის ჩარჩოს ნაწილების აღმოჩენა პირველი შემთხვევაა განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს ნაქალაქართა ისტორიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ერთხელ აღვნიშნავდით, რომ სასახლის ნანგრევებს შორის აღმოჩნდა დიდი ზომის კედლის ნარღვევები, აგურით ნაგები მობათქაშებული და მოხატული ან ამოკაწრული ორნამენტით შემკული; არის არქიტექტურული დეტალები, გორელიეფი და სხვ. ღრმად ამოკაწრულ ორნამენტიან ნატეხებზე[1] გამოსახულია ურთიერთგადამკვეთი ხაზები, მრავალკუთხედები, სხივები, წნულები, ყვავილოვანი სახეები (ტაბ.XXII,2). ერთი ნარღვევის (04-74-1733) მოლესილ ბათქაშზე ამოჭრილია რთული ორნამენტი: ექვსქიმიანი ვარსკვლავი ჩახატულია წრეში, რომლის ირგვლივ მარყუჟებია; შემდეგ, წყვილი ფართე წითელი სალტეებით გამოყვანილია წნული.[2] ასეთივეა ექვს ნატეხად წარმოდგენილი კედლის ნარღვევი (04-74-1736), ოღონდ ზომებშია განსხვავება.

ორ ნარღვევზე (04-74/1734,1951) ღრმა კვეთის ტექნიკით მრგვალად ამოჭრილია ბრტყელი, წითლად შეღებილი სალტე; ცენტრში რელიეფური „გუნდაა", რომლის ორნამენტი არაა შემორჩენილი (ტაბ.XXIII,1). ზოგიერთ ნატეხზე ამოკვეთილია მცენარეული სახეები, ან ხოლისებური ურთიერთგადამკვეთი ხაზების ბადე.

განსაკუთრებით ერთი ნარღვევი (04-74-1236), რომლის მოლესილ ბათქაშზე ამოკაწრულია მხედრის ფიგურა: შავ ცხენზე მჯდომი მამაკაცი წითელ სამოსშია გამოწყობილი; ზედა ნაწილი (მხრები, თავი) არაა შემორჩენილი; სამ ნატეხზე (04-74-1003) ამოკაწრულია ცხოველის გავა, ორი ფეხით, კუდით და ფალოსით.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ გორელიეფი, რომელზედაც შემორჩენილია ადამიანის მოხრილი მკლავი ხელში საცერისებური ნივთით. ფიგურის ფონი შევსებულია მრგვალი მედალიონებით. მოხატულია წითელი, ლურჯი და შავი საღებავით (ტაბ.XXII,1).

მოხატული ბათქაშების მოზრდილი ნატეხები აღმოჩენილია იყალთოში, ერთ-ერთი ნაგებობის ცენტრალური დარბაზის შიგნით [44, გვ.87,88]. გეგუთისა და გუდარეხის სასახლეების შესახებ აღნიშნავენ, რომ ისინი თაღებით შემკული, შელესილი და მოხატული ყოფილა [68, გვ.9,10; 41, გვ.86,87]. გ.ლომთათიძე თვლის, რომ ნადარბაზევის სასახლეს - აღნაგობით მდიდრულ და საზეიმო ნაგებობას, კედლები შელესილიც უნდა ჰქონოდა და მოხატულიც [27, გვ124; 31, გვ.33].

რუსთავის სასახლეში მოხატული კედლის ნარღვევები ძალიან დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი, გამოირჩევა შესრულების მაღალი დონით და მათი საგანგებო შესწავლა აუცილებელია.სასახლის ნანგრევებს შორის არის ერთი ნატეხი ბათქაშისა, რომლის ზედაპირზე სომხური ასოებით ამოკაწრულია სიტყვები: „ეს ზაქარიას (?) დროს ან ზეობაში" (ტაბ.XXIII,2).[3]

---

[1] რ-61/3395,3435,4029; 04-74/1004,1237,1570,1576,1684.

[2] საერთო ზომა (18X22) სმ; ვარსკვლავის წრის დმ. -9,5-12 სმ. სალტეს სიგ.-7,5 სმ.

[3] წარწერა წაიკითხა ზ.ალექსიძემ. იხ. აგრეთვე [123, გვ.25,26,76].

## §2. საყოფაცხოვრებო დანიშნულების კერამიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მოუჭიქავი კერამიკა

საყოფაცხოვრებო კერამიკაში გამოიყო მოუჭიქავი და მოჭიქული კერამიკა. მოუჭიქავ კერამიკაში კეცის მიხედვით ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: წითელი და ღიაფრად გამომწვარი კერამიკა. უმრავლესობა წითელ ან მოწითალო კეციანია. მათი თიხა მსხვილმარცვლოვანია და შეიცავს სხვადასხვა მინარევებს. ღიაფრად გამომწვარ ჭურჭელს კარგად დამუშავებული, თითქმის ყოველთვის განლექილი კეცი აქვს.

როგორც ზემოთ ითქვა, სასახლის მშენებლობის ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად IX-XI სს. მიჩნეული. თხრის პროცესში აშკარა გახდა, რომ იგი იდგა უფრო ადრეული ხანის კულტურულ ნაშთებზე. ამან გამოხატულება კერამიკულ მასალაშიც ჰპოვა. კერძოდ, აქ ნაპოვნია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის შავად გამომწვარ, ზედაპირ გაცვილული ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი და საკმაო რაოდენობით ადრეული შუა საუკუნეების (VI-VIII სს.) კერამიკა.

სასახლეში IX-X სს. კულტურული ფენა სტრატიგრაფიულად გამოყოფილი არ არის. ამიტომ ხშირად ამ დროის კერამიკის დათარიღება პარალელური მასალით ხდება. უკეთაა წარმოდგენილი XI და XII-XIII სს. ფენები. I, II, III, IV, VI ოთახებსა და კორიდორში შემორჩენილია ამ ხანის იატაკის ნაშთები.

სასახლეში აღმოჩენილი განვითარებული შუა საუკუნეების კერამიკა დანიშნულების მიხედვით შემდეგ ჯგუფებად გაიყო: სამზარეულო, საოჯახო-სუფრის, სამეურნეო „მსხვილი ჭურჭელი“ და საგანგებო მოხმარების თიხის ნაწარმი.

### სამზარეულო კერამიკა

სამზარეულო კერამიკა წარმოდგენილია ქვაბ-ქოთნების, ქოთნების, სარქველების, კეცების, ბადიების, საწურის, ქილების სახით. უმეტეს ნაწილს ცეცხლზე სადგამი ჭურჭელი შეადგენს. იგი საგანგებოდ გამჭლევებული კვარცნარევი, ცეცხლგამძლე თიხისაგანაა დამზადებული. გამომწვარია მოწითალოდ ან მოყავისფროდ.

ქვაბ-ქოთნები ძირითადად ერთი ტიპისაა. მათ აქვთ ნახევრად სფერული მუცელი, მცირედ შევიწროვებული პირი, ბრტყელი, შიგნით დაქანებული ბაკო, იშვიათად სწორი პირი, მომრგვალებული და ბრტყელი ძირი. მხარი მკვეთრადაა გამოყოფილი. მასზედ ნახევრად ვერტიკალურად მიძერწილია ბრტყელი, მრგვალნახვრეტიანი ორი სამკუთხა ყური, იშვიათად კი -ოთხი. ზოგჯერ გარდიგარდმო, ყურებს შორის

თითო სამკუთხა შვერილი ან წყვილი მორჩი აქვს.[1] იშვიათად პირის ქვემოთ მილა დატანებული.[2] მხარისა და მუცლის გადაბმის ადგილას რელიეფური წიბო შემოუყვებათ, რომელიც მეტწილ შემთხვევაში მაღალკუწუბოებიანი ან გრეხილია. მხარი და ყურები შემკული აქვთ ჭდეებითა და ნაჩხვლეტებით, ზოგჯერ წიწვოვანი ორნამენტით (ტაბ.XXVIII,7).

ამგვარი ტიპის ქვაბ-ქოთნები ფართოდაა გავრცელებული რუსთავში. მრავლადაა იგი საქართველოს სხვა ნაქალაქარებშიც (თბილისი, დმანისი, უჯარმა) [80,20; გვ.111; 9, გვ.127;8]. ასევე სომხეთში [114, გვ.199], აზერბაიჯანში [94, გვ.190-191; 110, გვ.59; 126, ტაბ.I,1].

განხილული ტიპის ქვაბ-ქოთნები რუსთავში ძირითადად XII-XIII სს. ფენებში გვხვდება, ამავე ხანით არიან ისინი დათარიღებული აზერბაიჯანში.

ქ ო თ ნ ე ბ ი საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი. ისინი მრავალფეროვნებითაც გამოირჩევიან. ძირითადად სამი ტიპია წარმოდგენილი. ზოგიერთი მათგანი რამდენიმე ქვეტიპსაც მოიცავს.

I ტიპი. ყელდაბალია, პირგადაკეცილი, მაღალი თანაბრად გამობერილი მუცლით და ბრტყელი ძირით. მხარზე მიძერწილი აქვთ ოდნავ მაღლა აზიდული ყური.[3] ამ ტიპის ქოთნების ერთ ნაწილს ზედაპირი ჩარხისმიერი ზოლებით აქვთ დაშტრიხული.[4] ისინი სხვებთან შედარებით უფრო ადრეულები ჩანს, რადგან რუსთავში დაშტრიხულ ზედაპირიანი ჭურჭელი, რომელიც მრავლადაა ადრე შუა საუკუნეებში XII-XIII სს. კერამიკაში აღარ გვხვდება. ამასთან ერთად მათი ფორმაც ნაწილობრივ განსხვავებულია. აქვთ მაღალი ტანი და ძალზედ დაბალი ყელი. ვფიქრობთ, რუსთავის ქოთნები X-XI სს. ნაწარმი უნდა იყოს.

დაბალ ყელიან ქოთნებს შორის ყურადღებას იქცევს მოყავისფროდ გამომწვარი, თითქმის უყელო ორი ჭურჭლის პირ-კედლის ნატეხები.[5] მთლიანი ფორმა არ დგინდება. მათ გადაკეცილი პირი და გამობერილი მუცელი აქვთ. ტანზე მოკლე ბრტყელი ყურია მიძერწილი. ზედაპირი და ყური მოხატულია წერნაქის ფართო ზოლებით. შედარებით მთელი ჭურჭელი ნაპოვნია I ოთახში, XIII ს. იატაკის დონეზე (ტაბ.XXIX,6).

II ტიპი. მომაღლო ყელი, გადაშლილი პირი, მრგვალი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვთ.[6] პირთან ერთად ამოყვანილია ბრტყელი ყურები. ზოგ მათგანს ზემოდან რკალისებური დანაძერწი ან კოპი აზის, ხოლო ძირში - ნათითური ფოსო. ყელი

---

[1] 04-74/1367,741,1000,446; 04-77-3301 da sxva.
[2] 04-74/1796,1320; რ-65-6492.
[3] 04-74-1916; 04-75-2103.
[4] 04-75/2140, 2235; 04-81-158; 04-85-38.
[5] რ-65-6204; 04-75-2271.
[6] რ-65-6117; 04-74/742,770,1350; 04-75-2234.

მეტწილად შემკულია ირიბი ნაჩხვლეტებით. ქოთნების უმრავლესობა ამ ტიპისაა (ტაბ.XXX,1-3). იგი გამოირჩევა მრავალფეროვნებითაც. ანალოგიური ქოთნები ნაპოვნია თბილისში (კერამიკული სახელოსნო, ერეკლე II-ის სახ. მოედანი),[1] დმანისში,[2] გუდარეხში,[3] უჯარმაში.[4] ქოთნების ეს ტიპი ფართოდაა გავრცელებული მთელი XI-XIII სს. მანძილზე, განსაკუთრებით კი XII-XIII საუკუნეში.

III ტიპი. აქვს მაღალი ყელი, ქობიანი პირი, განიერი მხრები, ყელზე ნაწიბური. ოვალურგანივკვეთიანი ყური მოთავსებულია ყელსა და მხარს შორის.[5] იგი ორყურა უნდა ყოფილიყო. ქოთნის მხოლოდ პირ-კედლის ნატეხებია ნაპოვნი XIII ს-ის II ნახევარში განადგურებულ სათავსოში.

კ ო ჭ ბ ე ბ ი იმეორებენ ქოთნების ფორმებს. მათში გამოიყოფა ყელდაბალი, პირგადაშლილი, თანაბრად გამობერილი მუცლის მქონე, ბრტყელძირა კოჭობი, რომელსაც მხარსა და მუცელს შორის ბრტყელი, მორკალული ყური აქვს მიძერწილი, ხოლო ზედაპირი ჩარხისმიერი ზოლებითაა დაფარული. იგი ნაპოვნია III თახის XI საუკუნეში განადგურებულ იატაკზე (ტაბ.XXXI,5). არის ასევე ოდნავ პირგადაშლილი, ყელდაბალი, მუცელგამობერილი, ბრტყელძირა კოჭობი, რომელსაც ოვალურგანივკვე-თიანი ყური მხარსა და მუცელს შორის აქვს მიძერწილი.[6] იგი XII-XIII სს. თარიღდება.

ს ა რ ქ ვ ე ლ ე ბ ი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. გამოყენებული იყო ქვაბ-ქოთნების, ქოთნების თუ ქილების თავზე დასახურად. მოყვანილობის მიხედვით გამოიყო:

I -დისკოსებური ფორმის შუაში სახელურით. მათ ზედაპირი თითქმის ყოველთვის კონცენტრული ღარებით აქვთ დაფარული, ნაპირები დაკეჭნილი, ხოლო სახელურის თავის ირგვლივ ჭდეებია. ისინი დიდ-პატარა ზომისანი არიან[7] (ტაბ.XXXI,1).

II -სარქველები მრგვალია, გულამოღარული, შუაში მაღალი, შანდლისებური სახელურით. ზოგ მათგანს ნახვრეტიც აქვს ორთქლისათვის.[8] სარქველების უმეტესობა ამ ტიპისაა. ისინი ქვაბ-ქოთნებისთვის უნდა იყოს განკუთვნილი.

ანალოგიური სარქველები დიდი რაოდენობით გვხვდება საქართველოს თითქმის ყველა ნაქალაქარში (თბილისი, დმანისი, თელავი, ახალქალაქი, ჟინვალი) [80;8; 59, გვ.48; 78, გვ.65, 36, გვ.118.,18, ტაბ.XLVIII] და ასევე სომხეთ-აზერბაიჯანში [94, გვ.207; 115;ტაბ.XIX; 136, გვ.135; 113, ტაბ.II,3].

---

[1] სსმ, ფონდი, №1-54/833,3406.
[2] სსმ, ფონდი, №22-37-78.
[3] სსმ, ფონდი, №2-58-259.
[4] სსმ, ფონდი, №2-57-110.
[5] 04-74-1698.
[6] 04-74-1932.
[7] 04-74-/1323,1365,1544; 04-76-2919; 04-81-141; 04-85-126.
[8] რ-65/6642,6649; 04-74-2117; 04-75-2240; 04-85/15,27.

კ ე ც ე ბ ი რამდენიმე ნატეხითაა წარმოდგენილი. ბრტყელძირა, დაბალკედლიანი, ზოგი პირისკენ ოდნავ გადაშლილი, ბაკოზე ნათითურებით ან ნაპირდაკეჭნილია.[1] ერთ მათგანს ძირზე სიგრძივი ზოლები აქვს, ცხობის დროს სინოტივის შესაწოვად.[2] კეცების ერთი ნაწილი ხელითაა ნაძერწი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთავში აღმოჩენილ კეცებს პარალელები ეძებნებათ საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში (თბილისი, თელავი, ახალქალაქი, ერწოთიანეთი, სოფ. მატანი და სხვ.) მოპოვებულ მასალაში, სადაც ისინი XI-XIII სს. არიან დათარიღებული [59, გვ.49; 78, გვ.65; 46, გვ.144; 82, გვ.81].

სასახლის ტერიტორიაზე გვხვდება სამზარეულოთ დანიშნულების ისეთი ჭურჭელი, რომელიც უშუალოდ ცეცხლზე არ იდგმება. ასეთებია: საწური, ბადიები, საშუალო და პატარა ზომის ქილები. მათი თიხა „საბოლველი" ჭურჭლებისაგან განსხვავებით შედარებით წვრილმარცვლოვანია, ნაკლებად „გამჭლევებული" და კარგად დამუშავებული. გამომწვარი არიან ძირითადად მოწითალოდ.

ს ა წ უ რ ი. ამ ტიპის ჭურჭელი რუსთავში სულ სამი ერთეულია აღმოჩენილი. ამათგან ერთი სასახლეშია ნაპოვნი და სრულადაა შემონახული. აქვს მაღალი, პირისაკენ გადაშლილი კედელი, გამოყოფილი, ოდნავ მომრგვალებული ნახვრეტებიანი ძირი. კედელს გარშემო ნათითური ფოსოები აქვს, რომლებიც შიგნიდან დაბალ კოპებს ქმნიან. ბრტყელი, მაღლა აზიდული ყური მიძერწილია პირსა და ძირს შორის.[3] იგი აღმოჩნდა სასახლის I ოთახში XIII საუკუნის 60-იან წლებში განადგურებულ ფენაში.

რუსთავის გარდა საწურის ნატეხები აღმოჩენილია უჯარმაში,[4] დმანისში.[5] რუსთავში აღმოჩენილი საწური ფორმითა და ზომით დიდ სიახლოვეს იჩენს შუა აზიაში (კარაბულაკი) აღმოჩენილ ჭურჭელთან, რომელიც XII ს. არის დათარიღებული [97, გვ.37,65].

ბ ა დ ი ე ბ ი პირ-კედლის რამდენიმე ნატეხია. მთლიანი ფორმა არ დგინდება. იგი ლანგრისებური ტიპის პირფართო, ძირისაკენ შევიწროვებული ჭურჭელია. ერთ მათგანზე ტუჩის ნაწილიცაა შემორჩენილი. ბრტყელი, განიერი, ორმხრივ გადმოშვებული ბაკო გადმოსაღვრელ, მაღლა აზიდულ ტუჩში გადადის.[6] ბადიების ნაწილს ბრტყელი ბაკო გარეთ აქვთ გადმოშვებული და ზოგჯერ ნაჩხვლეტებითაა შემკული.[7] ზოგიერთ ბადიას პირთან ახლოს დაბალი ნაწიბური შემოუყვება.[8]

---

[1] რ-65-6440; 04-74-1381; 04-75-2084.
[2] 04-65-6115.
[3] 04-75-2084 ს. -7 სმ, პირის დმ. -18 სმ, ძირის დმ. -14,5 სმ, ყურის ს. -7 სმ.
[4] სსმ ინვ. №2-57-52.
[5] სსმ ინვ. №22-37:162.
[6] 04-74-1300.
[7] 04-75-2222, რ-65-6525.
[8] 04-74-1581,1754.

ბადიები სულხან-საბას განმარტებით „დიდი ჯამები“ [42] ფართოდაა გავრცელებული მთელ ამიერკავკასიაში. განსაკუთრებით ბევრია იგი ადრეულ შუა საუკუნეებში, მაგრამ გვხვდება განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოშიც (თბილისი, დმანისი, თელავი, მატანი) [8; ტაბ.$25_{59}$, გვ.42; 46, გვ.144].

ქ ი ლ ე ბ ი გვხვდება საშუალო და პატარა ზომისა. არის როგორც ყელდაბალი, პირგადაკეცილი, ბრტყელბაკოიანი, მხრებში განიერი, ტანმაღალი ქილის ნატეხები,[1] ისე ყელმაღალი, პირგადაკეცილი, ქობიანი, ტანმაღალი, ბრტყელძირა ქილებიც, რომელთა მხარი კონცენტრული ღარებითა და კლაკნილი ხაზებითაა შემკული.[2] ერთ მათგანს ყელსა და მხარს შორის ყურები აქვს მიძერწილი, ხოლო პირთან პაწია ტუჩი[3] (ტაბ.XXXI,7). ამ ტიპის თითქმის მთელი ქილა ნაპოვნია III თახში XI საუკუნეში განადგურებულ იატაკზე. (ტაბ.XXXI,9). ქილების ფორმა მყარია და თითქმის უცვლელია მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. მათ პარალელები ეძებნება რუსთავშივე, ასევე საქართველოს სხვა ნაქალაქართა მასალებში (თბილისი, დმანისი, თელავი და სხვ.) [80, ტაბ. I,2-4. 59, გვ.47].

## სათჯახო სუფრის ჭურჭელი

იგი სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ ჯგუფში გვხვდება როგორც წითლად, ასევე ღიაფრად გამომწვარი ჭურჭელი.

წითლად გამომწვარი ჭურჭელი წარმოდგენილია კოკების, ჩაფების, დოქების, კათხების, ჯამების, სამარილეების სახით.

კ ო კ ე ბ ი ძირითადად ერთი ტიპისაა. აქვთ სწორი, ზოგჯერ ქიმიანი პირი, ძირისკენ გაგანიერებული ყელი, განიერი მხრები. მაღალი ტანი და ბრტყელი ძირი. პირთან ერთად ამოყვანილი ბრტყელი ყური. ყური მხარზე ბოლოვდება. ყელი და მხარი შემკულია კონცენტრული და კლაკნილი ხაზებისაგან შედგენილი სარტყლით.[4] ეს ორნამენტი ძალზედ გავრცელებული ჩანს რუსთავში. ანალოგიური ორნამენტითაა შემკული დმანისში, თბილისსა და უჯარმაში აღმოჩენილი კოკები, მხოლოდ მათ რუსთავისაგან განსხვავებით სწორი, ცილინდრული ყელი აქვთ.[5]

განხილული კოკები სტრატიგრაფიული მონაცემებით XI ს. ფენაში უკვე გვხვდება. უფრო მრავლადაა ისინი XII-XIII საუკუნეებში.

---

[1] რ-65-6526; რ-76-2894; 04-85-107
[2] რ-65-6643; 04-74/1389,1488; 04-85-138.
[3] რ-61-4056
[4] 04-74/1018,1941; 04-75-2047; 04-85-175.
[5] სძ №22-37-111; 1-54-2630, 2-57:308/304.

ჩ ა ფ ე ბ ი. ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინებით ჩაფებისათვის დამახასიათებელია განიერი პირ-ყელი. მას უკეთდება ტუჩიც (კახეთი, ქართლი). გვხვდება სწორპირიანი ჩაფებიც (იმერეთი) [6, გვ.64; 13, გვ46].

სასახლეში აღმოჩენილია ფართო პირ-ყელის მქონე, ტუჩიანი ჩაფების რამდენიმე ნატეხი, რომლებსაც კოკების მსგავსად ყელზე კლაკნილი ზოლების სარტყელი შემოუყვებათ.[1] არის ერთი მთელი ნიმუში (ტაბ.XXVIII,2). მას სწორი, განიერი პირი, მაღალი გამობერილი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ბრტყელი გაკუთხული ყური პირსა და მხარს შორისაა მიძერწილი.[2] ნაპოვნია XIII ს-ის II ნახევარში განადგურებული სასახლის I ოთახში, ალიზის კედლის ნანგრევებს შორის.

ანალოგიური ჩაფები ნაპოვნია თბილისსა[3] და დმანისში [18, ტაბ. 40,4].

დ ო ქ ე ბ ი ს რამდენიმე ტიპია წარმოდგენილი.

I ტიპი - ვიწრო, საშუალო სიმაღლის ყელი, ქობიანი პირი, მსხლისებური ტანი და ბრტყელი ძირი. მორკალული ოდნავ მაღლა აზიდული ყური შეზმულია ყელსა და მუცლის შუა ნაწილს შორის. მუცელზე ყველა მათგანს კონცენტრული ღარი შემოუყვება[4] (ტაბ.XXXII,3).

დოქების ფორმა სტანდარტულია; განსხვავება მეტ-ნაკლებად მხოლოდ ზომებშია. რუსთავში ყველაზე გავრცელებული დოქის ეს ტიპი ჩანს. ეტყობა ისინი სერიულად იწარმოებოდა.

ანალოგიური ტიპის დოქები გვხვდება თბილისში, უჯარმასა და გუდარეხში.[5] [80, ტაბ.LXIX,6]. საქართველოს გარეთ ისინი არ ჩანს. რუსთავში აღმოჩენილი ნიმუშები განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს თბილისურ დოქებთან, როგორც კეცით, ასევე ფორმით, რაც შესაძლოა მათი ერთი სახელოსნოდან მომდინარეობით აიხსნას. ასეთად კი რუსთავი მიგვაჩნია, რადგან სადღეისოდ მათი რიცხვი აქ გაცილებით მეტია.

მსხლისებური ფორმის დოქები XI ს. ფენაშიც დასტურდება, ხოლო XII-XIII სს-ში კი იგი უფრო გავრცელებულია.

II ტიპი -აქვთ სწორი პირი, მაღალი კვერცხისებური ტანი და ბრტყელი ძირი. ბრტყელი ყური მიძერწილია პირსა და მხარს შორის[6] (ტაბ.XXX,4). აღმოჩენის პირობების

---

[1] 04-74-1297; 04-75-2233; 04-85-192.

[2] 04-75-2142. ჩაფის ს.-38 სმ, მუცლის დმ-28 სმ, ძირის დმ-13 სმ, ყელის ს.-6 სმ, ყურის ს.-12 სმ.

[3] სსმ ინვ. №1-54-2335.

[4] რ-61-4028; რ-65-6527; 04-74-1910,743,2241,1928. ს.-20 სმ, პირის დმ.-3 სმ, მუცლის დმ. -10 სმ; ძირის დმ. -8 სმ, ყურის ს.-9 სმ.

[5] სსმ ინვ. №22-37-19; 2-57-61; 2-58-263.

[6] 04-74-1927; 04-75-2133.

მიხედვით ისინი XII-XIII სს. თარიღდებიან. ანალოგიური დოქები ნაპოვნია დმანისსა და უჯარმაში[1] [31, ტაბ.XXVIII,1].

ელექტრონული ბიბლიოთეკა

III ტიპი -აქვთ ვიწრო, წაკვეთილი კონუსის ფორმის ქობიანი პირი, მაღალი წიბოიანი ყელი და მხრებიდანვე გაგანიერებული მუცელი. ბრტყელი ყური ყელის შუა ნაწილში იწყება და მხარზე ბოლოვდება. ყელი და მუცელი შემკულია კონცენტრული ღარებით (ტაბ.XXXII,6). არც ერთის ძირის ნაწილი შემორჩენილი არ არის.[2] ისინი ნაპოვნია XII-XIII სს. ფენაში. ანალოგიური დოქები გვხვდება დმანისსა [18, ტაბ.XVII,4] და ორენ-ყალაში [94, გვ.214]. ამ უკანასკნელში იგი XI-XII სს. არის დათარიღებული.

IV ტიპი. აქ გაერთიანებულია სხვადასხვა ზომის ტუჩიანი დოქები. მათ მაღალი ქობიანი პირ-ყელი, გამობერილი მუცელი და ფართო, ბრტყელი ძირი აქვთ. ყური მიძერწილია პირსა და მხარს შორის.[3] ერთი მთელი დოქი (ტაბ.XXXI,8) ნაპოვნია III თახში XI ს. დამწვარ იატაკზე. ანალოგიური ნატეხები XIII ს-ის განადგურებულ ფენაშიც გვხვდება. ტუჩიანი დოქების ერთ ნაწილს შედარებით განიერი პირ-ყელი აქვთ. ყური ყელსა და მხარს შორისაა მოთავსებული. ძირი ვიწრო და ბრტყელია. ერთი მათგანი XIII ს. ფენაშია დადასტურებული.

ყურადღებას იქცევს ტუჩიანი დოქების სამიოდე ნიმუში. მათგან მხოლოდ პირ-ყელის ნაწილებია შემორჩენილი. აქვთ საშუალო სიმაღლის ყელი და ყელზე მიძერწილი, მაღლა აზიდული ყური. ტუჩი გამოყვანილია-პირის ორი მოპირდაპირე კიდე ერთმანეთთან შეერთებულია და ზემოდან პატარა სალტითაა დამაგრებული (ტუჩგასკვნილი).[4] ასეთი პირიანი დოქები XII-XIII სს. მოჭიქულ კერამიკაშიც გვხვდება. (თბილისის კერამიკული სახელოსნო).

ტუჩიანი დოქები ფართოდაა გავრცელებული როგორც საქართველოში, ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანში.

ჯ ა მ ე ბ ი მცირე რაოდენობითაა ნაპოვნი. მათ აქვთ სწორი პირი, დაქანებული კალთა და ვიწრო ამოღარული ქუსლი.[5] ზოგ მათგანს ბაკო დაღარული აქვს. ისინი იმეორებენ XII-XIII სს. მოჭიქული ჯამების ფორმას.

მოუჭიქავი ჯამები მცირე რაოდენობით გვხვდება სხვა ნაქალაქართა განათხარშიც: თბილისი, დმანისი, თელავი. შედარებით მეტია მათი რიცხვი გუდარეხში. ორენ-ყალაში ისინი მხოლოდ IX-XI სს. ფენებშია აღმოჩენილი, შემდეგ კი მათ მთლიანად ხდევნის მოხმარებიდან მოჭიქული ჯამები [94, გვ.211]. გარნისში პირიქით, ქუსლმაღალი, წითელპრიალა ჯამები XIII ს-ის II ნახევარი -XIVს. ფენებში გვხვდება [136, გვ.135].

---

[1] სსმ ინვ. 22-37-61.
[2] რ-65-6650; 04-74-1907; 04-75/2343,2020; 04-81-207.
[3] 04-74/1987,1602; 04-81/358; 04-85/135,136.
[4] რ-61-3132; 04-74/759,1376.
[5] რ-61-4067,4090,4099; რ-65-5590; 04-74-1560; 04-75-2031 და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსთავის სასახლეში ნაპოვნი მოუჭიქავი ჯამები აღმოჩენის პირობების მიხედვით XIII ს-ის II ნახევრით თარიღდება.

კ ა თ ხ ე ბ ი. აქვთ სწორი, ფართო პირი, ძირისაკენ შევიწროებული ტანი და ბრტყელი ძირი. ტანის ნაწილში მიძერწილია გრძელი, მილისებრი სახელური. ეს ჭურჭლები პატარა ზომისაა.[1] ისინი მრავლადაა აღმოჩენილი XII-XIII სს. ფენებში, ფორმითა და ზომით სტანდარტულნი არიან. რამდენიმე ასეთი კათხა ნაპოვნია თბილისის კერამიკულ სახელოსნოში. საქართველოს გარეთ ასეთი ჭურჭელი არა ჩანს. იგი ადგილობრივი ჭურჭელი უნდა იყოს.

ს ა მ ა რ ი ლ ე პირისაკენ გადაშლილი, ბრტყელი, გარეთ დაქანებული ბაკო და ვიწრო, ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ძირი აქვს. სასახლეში ერთი ცალია ნაპოვნი (ტაბ.XXIX,1) და საერთოდაც რუსთავში მცირე რაოდენობითა გვხვდება, ისევე როგორც სხვა ნაქალაქარებში. როგორც ვიცით, ამ ხანაში ძალზედ ბევრია ანალოგიური ფორმის მოჭიქული სამარილეები.

## ღიაფრად გამომწვარი ჭურჭელი

კერამიკის ეს ჯგუფი აერთიანებს მოთეთრო, მოვარდისფრო და მოყვითალოდ გამომწვარ ჭურჭელს. მათთვის დამახასიათებელია წვრილმარცვლოვანი, სუფთა, მეტწილად კარგად განლექილი კეცი. ამ ჯგუფის ჭურჭელი გამოირჩევა თხელკედლიანობით, თუმცა გვხვდება შედარებით სქელკეციანიც.

სასახლის ტერიტორიაზე ამგვარი კერამიკა საკმაოდ მრავალრიცხოვანია. წარმოდგენილია დოქების, ხელადების, ჭინჭილების, სასმისების სახით. გვხვდება პატარა ქილების-კოჭობების ორიოდე ნატეხიც

ღიაფრად გამომწვარი ჭურჭლის ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელია მოვარდისფრო ან მოყვითალო, წმინდა სტრუქტურის კეცი. მათი ზედაპირი დაფარულია თეთრი ანგობის ხსნარით და შემდეგ წითელი და შავი საღებავით არის მოხატული. თეთრი ფონი ორნამენტის აღქმას აადვილებს და ჭურჭელს მოხდენილს ხდის. ვ.ჯაფარიძე ამ ჯგუფს წითელი თიხებიდან ღია ფერის თიხებისაკენ გარდამავალ საფეხურად მიიჩნევს [80, გვ/21]. სასახლეში გვხვდება თეთრად გამომწვარი განლექილ კეციანი ჭურჭელიც, რომელიც მოხატულია შავ-თეთრი საღებავით.

მოხატული კერამიკა უმთავრესად დოქების სახით არის წარმოდგენილი. ძირითადად მათი პირ-კედლის ნატეხებია შემორჩენილი. მოხატულია ყელის და მხრის

[1] რ-65-6066.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილები; გვხვდება ზოლები, კლაკნილი სახეები, სპირალები, რკალები. ზოგჯერ ამავე იმ ფერის ზოლი ყურსაც დაუყვება. წითელი და შავი საღებავი ერთმანეთს ენაცვლება.

დ ო ქ ე ბ ი ს ნაწილს მაღალი პირ-ყელი და მაღლა აზიდული, აჭრილი ტუჩი აქვთ. ყური ყელსა და მხარს შორისაა მიბმული[1] (ტაბ.XXXII,4). ესენი მსგავსებას იჩენენ თბილისა და დმანისში აღმოჩენილ ჭურჭელთან[2] [80, ტაბ.IX,3].

დოქების მეორე ნაწილს ვიწრო, მაღალი ყელი და პირთან ერთად ამოყვანილი ბრტყელი ყური აქვს, რომელიც მხარზე ბოლოვდება.[3] ისინი საშუალო ზომისაა. არის მოყვითალოდ გამომწვარი, ანგობით დაფარული ჭინჭილის პირ-კედლის ნატეხებიც, რომელსაც ვიწრო პირ-ყელი და პირთან ამოყვანილი ყური აქვს. მოხატულია ყელი და მხარი.[4] გვხვდება ასევე მოყვითალოდ გამომწვარი, ანგობზე წითელი და შავი საღებავით მოხატული სასმისის პირ-კედლის ნატეხებიც.[5] მათ დაბალი სწორი პირი, გამობერილი მუცელი და ბრტყელი ყური აქვს. არის მოყვითალოდ გამომწვარი, ანგობზე მოხატული, ყელდაბალი, პირგადაშლილი ქილის პირ-კედლის ნატეხებიც.[6]

წითელი და შავი საღებავით მოხატული ჭურჭელი მრავლადაა აღმოჩენილი რუსთავშივე [73, გვ.105], ასევე საქართველოს სხვა ნაქალაქარებში - თბილისი, დმანისი, ვედარეხი, თელავი, არეში და სიონის სამაროვანზე [80, გვ.20; 59, გვ.51; 75, გვ.37; 9, გვ.128; 45, გვ.95]. მათი თარიღი ყველგან XI-XIII სს. არის განსაზღვრული. მ.სინაურიძის აზრით, ანგობითა და ფერადი საღებავით მოხატული ჭურჭელი ადრეული შუა საუკუნეების დასასრულს ჩნდება და შემდეგ ფართოდ ვრცელდება [49, გვ.78]. ც.ჩიკოიძე მათი წარმოშობის ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად XI ს. მიიჩნევს [59, გვ.51]. მ.მიწიშვილი რუსთავის ნაციხვარზე აღმოჩენილ ანალოგიურ ჭურჭელს სავარაუდოდ IX-X სს. მიაკუთვნებს [38, გვ.30].

ღიაფრად გამომწვარი კერამიკის მეორე ჯგუფს შეადგენს ძალზე სუფთად განლექილი თიხის ჭურჭელი, რომელთა კეცი მოთეთრო-მოყვითალო, მოთეთრო-მოვარდისფრო ან მოყვითალოა. ღია ფერის კეცის მიუხედავად ზოგს თეთრი ანგობი უსვია. ყველა მათგანი ჩარხზეა მოჭრილი. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ ჯგუფს „ფერმკრთალ" ჭურჭელსაც უწოდებენ [60, გვ.160-176]. იგი გამოირჩევა თხელკედლიანობით (2-3 მმ). თუმცა გვხვდება შედარებით სქელკეციანი დოქები.

სასახლეში აღმოჩენილ „ფერმკრთალ" ჭურჭლებში გვხვდება დოქები, ხელადები,

---

[1] 04-74-1724,1375; 04-81-80.
[2] სსმ ინვ. №22-37-14.
[3] 04-75-2179; 04-76-2560;
[4] რ-65-6299.
[5] 04-85-191.
[6] 04-75-2 179, 04-76-2560.

სასმისები, ჭინჭილა, მცირე რაოდენობით ქილებიც. ეს ჭურჭლები საშუალო და პატარა ზომისაა, ფორმებით მრავალფეროვანია და დახვეწილი. ზედაპირი [illegible] გაპრიალებული და გაცვილული აქვთ.

დოქების რამდენიმე ტიპია: ყელმაღალი, პირფართო, პირგადაშლილი, მსხლისებური ტანით, დაბალი ბრტყელი ქუსლით. პირთან ერთად ამოყვანილი ყური შუა მუცელზე მთავრდება;[1] მცირედ პირგადაშლილი, ვიწროყელიანი, ბიკონუსური ტანით;[2] მილ-ნისკარტიანი დოქები, ქობიანი პირითა და გამობერილი მუცლით, ყელსა და მხარს შორის მიძერწილი ბრტყელი, კონუსურდანაძერწიანი ყურითა და ბურთისებური ტანით, მხარზე მოთავსებული მილნისკარტით. ზოგიერთს ბოლოში მაღალი წიბო აქვს შემოვლებული.[3]

მოთეთრო-მოვარდისფროდ გამომწვარი მილ-ნისკარტიანი დოქები ნაპოვნია რუსთავშივე, [60, გვ.167]. ასევე დმანისში [80, გვ.22], თბილისში [8, გვ.63]. საქართველოს გარეთ აზერბაიჯანში (ორენ-ყალა, კაბალა, განჯა, შემახა) და სომხეთში (დვინი, გარნისი) [94, გვ.214.,110, გვ.56; 104, ტაბ.II,1; 114, გვ.187; 136, გვ.162], სადაც ისინი XI-XIII სს. თარიღდებიან. ეს ტიპი საერთოდ ფართოდაა გავრცელებული მუსლიმანურ სამყაროში, როგორც სარიტუალო დანიშნულების ჭურჭელი. ჩვენში აღმოჩენილი ასეთი ჭურჭელი სადვინედ ან წყლისათვის იყო განკუთვნილი. ანალოგიური ჭურჭელი მოჭიქულ კერამიკაშიც დასტურდება.

სასახლეში ნაპოვნია საწურმგიდიანი დოქის ყელ-კედლის ნატეხიც.[4] ისინი რუსთავში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. ლ.ჭილაშვილი მათ სამაჭრე ჭურჭლად მიიჩნევს [73, გვ.108], გამოიყენებოდა სითხის გასაწურადაც [104, გვ.31.,60, გვ.166]. საწურმგიდიანი დოქები საკმაოდ გავრცელებულია საქართველოში (დმანისი, უჯარმა, თბილისი). იგი არის აზერბაიჯანში (ორენ-ყალა, შემახა) [94, გვ.214; 110, გვ.56] და მახლობელი აღმოსავლეთის კერამიკაში [149, გვ.33]. რუსთავში აღმოჩენილი საწურმგიდიანი ხელადების უმეტესობა XII-XIII სს. ფენებშია ნაპოვნი. ორენ-ყალაში იგი XI-XII სს. არის დათარიღებული [91, გვ.214].

სასახლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია აგრეთვე მაღალი, ცილინდრულ ყელიანი დოქის თუ ხელადის ნატეხები, რომელთაც ყელზე ნაწიბური აქვთ.[5] ყურადღებას იქცევს მოყვითალო-მოთეთრო კედლის ორი ნატეხი, რომელთა ზედაპირი დატვიფრული ორნამენტითაა შემკული.[6] ორნამენტი ყალიბითაა მიღებული. ფრაგმენტულობის გამო

---

[1] 04-75-2634.
[2] 04-74/1043,1887.
[3] 04-74/1886,1641,1025; 04-75-105.
[4] 04-74-1877.
[5] 04-75/2012,2015,2196.
[6] 04-75/2012,2015,2196.

ძნელია ითქვას იგი მათარისაა თუ დოქის; უფრო დოქის ჩანს, რადგან მათ ორნამენტი სწორედ მხარზე შემოუყვებათ. ვ.ჯაფარიძე ამ ტიპის ჭურჭელს ქართული კერამიკისთვის დამახასიათებლად არ მიიჩნევს. ისინი მართლაც მცირე რაოდენობითაა ნაპოვნი ჩვენში (თბილისი, დმანისი) [80, გვ.22]. ამგვარი ჭურჭელი მრავლად გვხვდება აზერბაიჯანში, XII-XIII სს. ფენებში [94, გვ.218], ასევე შუა აზიაში [97, სურ.37]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთი ორნამენტიანი დოქები მზადდებოდა ორ ნაწილად: ზედა-ყალიბში, რომელზედაც ორნამენტი იყო ამოკვეთილი, ხოლო ქვედა -ჩარხზე. შემდეგ ხდებოდა მათი გადაბმა [94, გვ.218]. შუა აზიაში ნაპოვნია მათი დასამზადებელი ყალიბები [121, გვ.291].

სასახლეში აღმოჩენილია ასევე სამფეხა ჭურჭლის, ხელადის ტიპის ძირის სამიოდე ნატეხი. ორი თეთრად, ერთი მოყვითალოდ გამომწვარი. ამ უკანასკნელს თეთრი ანგობი უსვია. მათ ბრტყელი ძირი და შვეული კედლები აქვთ.[1] მსგავსი ნატეხები ნაპოვნია რუსთავშივე, XIIს. ნაგებობებში [60, გვ.168]. გვხვდება აგრეთვე თბილისის კერამიკულ სახელოსნოში, უჯარმაში [79, გვ.22; 20, ტაბ.XXX,1], ორენ-ყალაში XII-XIII სს. მასალებში [94, გვ.216]. სასახლის ტერიტორიაზე რამდენიმე ნატეხია ტოლჩისებური ჭურჭლისა.[2] თხელკედლიან სასმისები აქ ორი ტიპია წარმოდგენილი.

I ტიპის სასმისის ფორმის დადგენა პარალელური მასალების მიხედვით ხერხდება. იგი მსხლისებურია, სწორი ყელი და ბრტყელი ძირ-ქუსლი აქვს. პირსა და მხარს შორის მაღალი ყურია; გაპრიალებული ზედაპირი კანელურებითაა შემკული.[3] ისინი გვხვდება რუსთავშივე [60, გვ.170], აგრეთვე თბილისში, დმანისში, უჯარმაში [80, გვ.21], სიონის სამაროვანზე [45, გვ.94]; განსაკუთრებით მრავლადაა იგი გუდარეხში, XIII ს. ფენაში [41, გვ.123]. რუსთავში იგი XII-XIII სს. ფენაში გვხვდება. მკვლევართა აზრით, კანელურებიანი სასმისი ქართულ ტიპადაა მიჩნეული და გაბატონებულია XII ს, უფრო კი XIII ს. ქართულ „ფერმკრთალ" კერამიკაში [60, გვ.172]. აზერბაიჯანში ასეთი სასმისები არ არის, სომხეთში კი გამონაკლისის სახით გვხვდება.

II ტიპში გაერთიანებულია ფინჯნისებრი სასმისები. მას აქვს სწორი პირი, ფართო დაბალი ყელი, გამოშვერილი მუცელი; პირთან მიძერწილი მრგვალი, ზოგჯერ ოვალურგანივკვეთიანი მაღლა აზიდული ყური მუცელზე ბოლოვდება. ტანი შემკულია შიგნიდან გამოყვანილი კოპებით.[4] კოპები სხვადასხვა სიმაღლისაა. ზოგი სასმისის ზედაპირი გაპრიალებულია.

---

[1] რ-61-4076; 04-74-1839; 04-76-2593.
[2] 04-75-2220; 04-85-40.
[3] 04-74-331.
[4] 04-74-1751; 04-75/2034,2144; 04-76-2893; 04-85-63.

ფინჯნისებური, კოპებიანი სასმისები აღმოჩენილია რუსთავშივე [60, გვ.171], აგრეთვე, დმანისში, თელავში, სიონში [80, გვ.21; 59, გვ.50; 45, გვ.43]. მათ ძირი გოფრირებული აქვთ და ყველგან XI-XIII სს. არიან დათარიღებული.

ამრიგად, სასახლეში აღმოჩენილი „ფერმრკთალი“, კარგად განლექილ კეციანი ჭურჭელი საკმაოდ მრავალფეროვანი და მაღალხარისხიანია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მათ დამზადებაზე ცალკეული ხელოსნები ოსტატდებოდნენ და იგი შეძლებულთათვის იყო ხელმისაწვდომი [60, გვ.175; 89, გვ.175].

### სამეურნეო დანიშნულების „მსხვილი“ ჭურჭელი

სასახლეში ამგვარი ჭურჭელი შედარებით ცოტაა. იგი წარმოდგენილია ქვევრების, დერგების, დიდი ზომის ქილების, სადღვებლის, თონის ნაშთების სახით.

ქ ვ ე ვ რ - ქ ო ც ო ე ბ ი ს უმეტესად პირ-კედლისა და ძირის ნატეხებია შემორჩენილი. გამომწვარია მოწითალოდ, კეცი მსხვილმარცვლოვანია, მინარევებით. აქვს ბრტყელი, განიერი, გადმოწეული ბაკო, რომელზედაც ზოგჯერ გრეხილი ორნამენტი ან ტალღური ხაზი შემოუყვება.[1] სრული ფორმის აღდგენა მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოხერხდა. I ოთახში აგურფენილ იატაკზე აღმოჩნდა ნახევრად ჩადგმული ქვევრი, რომელიც სასახლის უკანასკნელი განადგურების (1265 წ.) დროს იყო ჩალეწილი. მას აქვს ფართო პირ-ყელი, მაღალი, გამობერილი რგალებიანი ტანი და ბრტყელი ძირ-ქუსლი, ბაკოზე გამოწვამდე ამოკაწრულია ნიშანი (ტაბ.XXVIII,6). ძირთან სავენტილაციო ნახვრეტი აქვს დატანებული, დმ. -1,5 სმ. აშკარაა, რომ იგი მარცვლეულის შესანახი ჭურჭელია. ქვევრ-ქოცოების უმრავლესობა კი ცხადია საღვინედ არის გამოყენებული.

დ ე რ გ ე ბ ი ძირითადად ორი ტიპისაა.

I ტიპი -ყელმაღალი, ფართოპირიანი, გამობერილმუცლიანი და ბრტყელი, წიბოიანი ძირ-ქუსლის მქონე დერგებია, რომელთაც ორი ან ოთხი სპირალური დანაძერწებით დამშვენებული ყური აქვთ. ყურები ყელსა და მხარს შორისაა მოთავსებული. დერგების ერთი ნაწილი წერნაქითაა მოხატული და ზოგჯერ ამოტვიფრული ორნამენტითაა შემკული.[2] გვხვდება ამ ტიპის სადა, უწერნაქო ნიმუშებიც.[3] პირველი ჯგუფი XII-XIII სს. თარიღდება, ხოლო ეს უკანასკნელი -XI საუკუნით [2, გვ.132]. დერგების ეს ტიპი ფართოდაა გავრცელებული როგორც საქართველოში (თბილისი, რუსთავი, დმანისი, უფლისციხე,) [80, ტაბ.IV-VI; 8, ტაბ.27, 123, გვ.14], ასევე სომხეთსა (დვინი, ანისი,

---

[1] რ-65-5750; რ-61-4081; 04-74/981,1384,1258,1699; 04-85-345.

[2] რ-61-3456,4050,4110; 04-74-1317; 04-75-2187,2083; 04-77-3159 და სხვ.

[3] 04-74/650,1407; 04-82-57; 04-85-131.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარნისი) [114, ტაბ.V-VII,115, გვ.15; 90, გვ.85; 136, გვ.135] და აზერბაიჯანში (ორენ-ყალა, ძველი განჯა, ბაქო) [94, ტაბ.V-VII; 119, გვ.85-131], სადაც ისინი ზოგადად XI-XIII სს. არიან დათარიღებული; მხოლოდ გარნისის დერგები თარიღდებიან XII-XIV სს.

II ტიპის დერგები ყელ-დაბალია, პირ-ფართო, მხრებიდანვე გაგანიერებული და ძირისკენ შევიწროვებული მუცლით. აქვს ბრტყელი ბაკო და გრეხილი ან სადა სარტყლით შემკული ზედაპირი [ტაბ. LXVI,4,5). ყურადღებას იქცევს III ოთახში XI ს. გადამწვარ იატაკზე აღმოჩენილი დერგის ნატეხები, რომელსაც მხარზე ოთხკუთხა შვერილი (ყური) - აქვს მიძერწილი.[1] დერგის შიდა და გარე პირი დაღარულია; გარედან -ჩარხის წმინდა ხაზებით, ხოლო შიგნიდან -ღრმად, სპეციალური იარაღით. ამგვარი შემკობის ტრადიცია ჩანს ადრეული შუა საუკუნეებიდანვე გადმოდის. XII-XIII სს. კერამიკაზე იგი აღარ გვხვდება.

ქ ი ლ ე ბ ი. გამოიყო ორი ტიპი.

I ტიპის ქილებს აქვთ ფართო, შესქელებული პირი, დაბალი ყელი, მაღალი ტანი და ბრტყელი ძირი. მხარზე ერთმანეთის მოპირდაპირედ ორი ბრტყელი ყურია მიძერწილი. მხარზე და ძირთან ახლოს გრეხილი წიბო შემოუყვებათ (ტაბ.XXVIII,1).[2] მთელი ქილა აღმოჩენილია XIII ს-ის II ნახევრის ფენაში, III ოთახში გამოვლენილი ამავე ხანის კერასთან.

II ტიპის ქილები შედარებით უფრო პატარა ზომისანი არიან. მაღალი ყელი, ფართო პირი და განიერი მხრები აქვთ.[3] ერთი, შედარებით სრულად შემორჩენილი ქილა ორყურაა. ყურები ბრტყელია, ზემოდან მორკალული დანაძერწებით და მოთავსებულია ყელსა და მხარს შორის. ყელი და ყურები წერნაქითაა მოხატული. ამგვარი ქილები რუსთავში XI-XIII საუკუნეებში გვხვდება.

ს ა დ ღ ვ ე ბ ლ ე ბ ი მცირე რაოდენობითაა. მთლიანი ფორმა არ დგინდება. შემორჩენილი ნატეხების მიხედვით მათ აქვთ მაღალი, სწორი, ვიწრო ყელი. ქობიანი პირი, განიერი მხრები (ტაბ.XXVIII,3). მხარზე ჰორიზონტალურად მიძერწილია ბრტყელი სარყევი ყური, რომლის სიახლოვეს კედელში ნახვრეტი -„საშუშუტეა" დატანებული. მისი საშუალებით ხდებოდა ჰაერის გამოშვება დღვების დროს. ყელი და მხარი შემკულია კონცენტრული კლაკნილი სწორხაზოვანი სარტყლებით. რუსთავში აღმოჩენილი სადღვებლების დიდი უმრავლესობა ასეთივე ფორმისა და შემკულობისაა. ნაციხარზე და ნაქალაქარზე მოპოვებული ნატეხების მიხედვით, სასახლეში აღმოჩენილ სადღვებლებს ძირზე, შიდა მხრიდან რამდენიმე (3-5) შვერილი უნდა ჰქონოდათ. ეს შვერილები

[1] 04-85-129.

[2] მთელი ნიმუშის მიხედვით (04-74-1920) მისი ზომებია: ს. -34 სმ, პირის დმ. -18 სმ, მუცლის უდიდესი დმ. -32,5 სმ. ძირის დმ. -18 სმ, ყურის ს. -91 მ.

[3] 04-74/1389,1988; 04-76-2968; 04-81-299.

აჩქარებს კარაქის გამოყოფას და განსაზღვრავს მაქსიმალურ გამოსავალს [86, გვ.26-27]. ასეთივე ტიპის სადღვებლები გვხვდება დმანისში, ჟინვალში, უჯარმაში [81; გვ.57-74; 134, გვ.105-119; 48, გვ.61;31, ტაბ.XLI,1].

რუსთავში აღმოჩენილი სადღვებლები ზოგადად XI-XIII სს. თარიღდებიან, ასევე უჯარმასა და ჟინვალში. რაც შეეხება დმანისს, გ.ჯაფარიძე, ნაქალაქარზე XV შენობაში აღმოჩენილ დიდი ზომის მთელ სადღვებელს XII-XIII სს, ხოლო ჯ.კოპალიანი დმანისის შიდა ციხეზე მოპოვებულ ამავე ტიპის ჭურჭელს IX-XI სს. მიაკუთვნებს [134, გვ.105-119; 18, გვ.126].

თ ო ნ ე ე ბ ი. სასახლის არცერთ ოთახში მისი თანადროული თონე არ აღმოჩენილა. ორი თონე, რომელიც აქ გაითხარა, უკავშირდება სასახლის საბოლოო განადგურების შემდგომ, მის თავზე მალევე გამართულ ნაგებობებს. ამათგან ერთი საქარიანია, მეორე კი დახშული. კორიდორში კი აღმოჩნდა XI ს. რელიეფურწიბოიანი თონე (ის.ზემოთ).

## საგანგებო დანიშნულების თიხის ნაწარმი

ამ ჯგუფიდან სასახლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია: სასაკმევლის, კოტოშის, სფეროკონუსის და კვირისტავების ნატეხები.

ს ა ს ა კ მ ე ვ ლ ე დ მიჩნეულია პატარა, ლამბაქისებრი ჭურჭელი.[1] ისინი[2] გამომწვარია მოწითალოდ. საკმაო რაოდენობით გვხვდება როგორც ციხეზე, ასევე ნაქალაქარზე (ტაბ.XXIX,2). ანალოგიური სასაკმევლეები ნაპოვნია დმანისსა და თბილისში, თარიღდებიან XII-XIII საუკუნეებით.

კ ო ტ ო შ ე ბ ი. სასახლეში აღმოჩენილია მაღალი, ცილინდრულტანიანი და ფართოდ გადაკეცილი, ბრტყელბაკოიანი პირის მქონე ჭურჭელი.[3] იგი ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით საკვნე ჭურჭლად არის მიჩნეული [80, გვ.25] და დიდი რაოდენობით გვხვდება XI-XIII საუკუნეში. მათი უმრავლესობა შიდა მხრიდან მოჭიქულია. მოუჭიქავი კოტოშები კი ცოტაა. გვხვდება რუსთავშივე, თბილისში [8, ტაბ.XXXI] და არის ორენ-ყალაში [94; ტაბ.XII].

ს ფ ე რ ო კ ო ნ უ ს ი ს ორი ნატეხია.[4] გამომწვარია მონაცრისფრო-მომწვანოდ. კეცი მკვრივია, რაც დამახასიათებელია ამგვარი ჭურჭლისათვის. ზედაპირი სადაა. ერთ მათგანს შემორჩენილი აქვს ვიწრო, მაღალი ქიმიანი თავი. სფეროკონუსები

---

[1] პირის დმ. -5-7 სმ; ძირის დმ. -4,5 სმ, ს. -2,5 სმ.
[2] რ-65-6630; 04-76-2532.
[3] 04-81-499.
[4] რ-61-3244; რ-65-6297.

აღმოჩენილია თბილისში [29, გვ.111;8, ტაბ.23,31], დმანისში [80, ტაბ.IX]. სომხეთ-აზერბაიჯანთან შედარებით საქართველოში გაცილებით ცოტაა ნაპოვნი.

კ ვ ი რ ი ს ტ ა ვ ე ბ ი. ისინი ძალზედ დახვეწილადაა გამოჭრილი, წრიულად გამომწვარი, ზოგჯერ მოჭიქული ჭურჭლის კედლებისაგან და შემდეგაა გახვრეტილი.[1] ცხადია, ისინი საფეიქრო წარმოებასთან დაკავშირებული ნივთებია.

## მოჭიქული კერამიკა

მოჭიქული კერამიკა წარმოდგენილია ეროფრად და მრავალფრად მოჭიქული ჭურჭლით. ჭარბობს მრავალფერადი ჭურჭელი. გვხვდება ჯამები, ქილები, საწვნეები, სასმისები, ლანგრები, ხელადები, თეფშები, სამარილეები, კალათები, სავანგებო დანიშნულების ნივთები: ჭრაქები, სამელნეები, კოტოშები.

ქრონოლოგიურად მათში გამოიყო IX-XI, XI და XII-XIII საუკუნეების ნაწარმი.[2]

ჯ ა მ ე ბ ი. სასახლეში აღმოჩენილ მოჭიქულ ჭურჭელთა შორის უადრესია შიშველ კეცზე თეთრი ანგობით მოხატული („ყვავილები", რგოლები, ხაზები) და მწვანედ მოჭიქული ჯამები,[3] იშვიათად სასმისები - ყურიანი კათხები.[4] ასევე ფერადი (თეთრი, მწვანე, ბადრიჯნისფერი) ხაზებითა და უფერო გამჭვირვალე ჭიქურგადავლებული ჯამები.[5] მათთვის დამახასიათებელია კარგად დამუშავებული მოყვითალო-მოვარდისფრო კეცი, გაშლილი მაღალი კალთა, მცირედ გადმოკეცილი პირი; ზოგჯერ დაბალი კალთა, ოდნავ ჩაკეცილი პირი. არის სწორპირიანებიც. მათ აქვთ დაბალი, განიერი ბორბლისებური ქუსლი (დმ -9-9,5 სმ) და ბრტყელი ძირი (ტაბ.XXXIV,4).

მსგავსი ჯამები მრავლადაა აღმოჩენილი როგორც რუსთავში, ასევე საქართველოს სხვა ნაქალაქარებში (თბილისი, დმანისი, ახალქალაქი, უჯარმა, გუდარეხი, თელავი, ძველი გაგაზა) [37, გვ.14-16; 39, გვ.27-28; 80, ტაბ.XXXII,1,2; 31, ტაბ.XXXII,1; 58, გვ.31;8, ტაბ.XXXXI; 74, გვ.29,39; 78, გვ.51]. ამგვარი ტექნიკით შემკული ჯამები გვხვდება აგრეთვე სომხეთსა (დვინი, გარნისი) [115; ტაბ.I,II; 142, გვ.28] და აზერბაიჯანში (ორენ-ყალა, ბაქო, შემახა, კაბალა) [146, ტაბ.I; 120, გვ.37; 110, გვ.62]. განხილული ჯგუფის ჯამები ყველგან IX ან IX-X სს. არის დათარიღებული [37, გვ.14-16; 39, გვ.66; 146, გვ.231,236; 110, გვ.62].

---

[1] 04-74-1807; 04-75-2254; რ-65-6388.

[2] მასალის კლასიფიკაციის დროს ძირითადად ვეყრდნობით მ.მიწიშვილის ნაშრომს [37], აგრეთვე გათვალისწინებულია ვ.ჯაფარიძის ნაშრომი [8].

[3] რ-65/6203,6249,5894; 04-74/630,1256,1480,1519; 04-75-2175.

[4] 04-74/1022,1527; 04-75/2260,2283.

[5] 04-74-739; 04-75-2127; რ-65/6203; 04-74-630; 04-75-2191.

სასახლეში გვხვდება შიშველ კეცზე ანგობის თეთრი ზოლებით მოხატული ჯამებიც, ზოლებზე ბადრიჯნისფერი და მოცისფრო ჭიქურის ნაღვენთებით, დაფარული უფერო, გამჭვირვალე ჭიქურით.[1] მათი კეცი მოწითალოა, სუფთა, მაგრამ არა განლექილი. ერთ მათგანს განიერი, ბორბლისებური ქუსლი და ბრტყელი ძირი აქვს,[2] ხოლო მეორეს -ვიწრო, ამოღარული. ორნამენტის შესრულების ტექნიკის მიხედვით ისინი თანადროულნი ჩანან; მათი ქუსლები განსხვავებულია IX-X სს. და XI-XII სს. ჯამების ქუსლებისაგან. ვფიქრობთ, აღნიშნული ჯამები X-XI სს. უნდა მივაკუთვნოთ. ისინი გარდამავალ ჯგუფს უნდა წარმოადგენდეს ბორბლისებური ქუსლიდან -ვიწრო, შეღარულ ქუსლებიან ჯამებზე. შესაძლოა, გარკვეულ პერიოდში ისინი ერთდროულადაც იყვნენ ხმარებაში.

ამავე ხანის მოჭიქული ჯამების მეორე ჯგუფი წარმოდგენილია თეთრ ანგობზე ფერადი ნაღვენთებით (მწვანე, ყვითელი, ბადრიჯნისფერი), გაღვრილად შემკული რამდენიმე ჯამით[3] და მრგვალმუცლიანი ჭურჭლის კედლისა (ტაბ.LXX,1) და ყურის ნატეხით.[4] ჯამებისათვის დამახასიათებელი გაშლილი კალთა, დაბალი პირი, ფართო ბორბლისებური ქუსლი და ბრტყელი ძირი; კეცი მოვარდისფრო-მოყვითალოა, წვრილმარცვლოვანი, სუფთა.

ანალოგიური ჯამები აღმოჩენილია დმანისში, უჯარმაში, თბილისში, თელავში, არეშში, გუდარეხში [37, გვ.17;80, ტაბ.XXXIV,1,2; 59, გვ.31; 75, გვ.38]. საქართველოს გარეთ - ორენ-ყალაში, დვინში, ხორეზმში, სამარაში [145, გვ.214; 98, გვ.185-186; 150, გვ.1499-1501;]. ისინი ყველგან IX საუკუნითაა დათარიღებული.

სასახლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ჯამები, რომელთა ზედაპირი შემკულია მკრთალი ნაკაწრებითა და ფერადი ჭიქურის (მწვანე, ყვითელი, ბადრიჯნისფერი) ნაღვენთებით. ორნამენტი გამოყვანილია უმეტესად ვარდისფერ და თეთრ ანგობზე. გადავლებული აქვს გამჭვირვალე ჭიქური. კეცი კარგადაა დამუშავებული. აქვს დაბალი ბორბლისებური ქუსლი, ბრტყელი ძირი, სწორი პირი და დაქანებული კალთები. თეთრი ანგობით დაფარულ ჯამებზე მეტწილად პალმეტებია მოხაზული, რომლებიც ფერადი ჭიქურის საღებავის ლაქებითა და ხალებითაა შევსებული. გადავლებული აქვს უფერო, კრიალა, გამჭვირვალე ჭიქური.[5]

ვარდისფერი ანგობით დაფარულ ჯამებში ორი ჯგუფი გამოიყოფა. ერთ ნაწილს, როგორც ზემოთ აღწერილ თეთრ ანგობიანებს, კარგად დამუშავებული კეცი, ბორბლისებრი ქუსლი, ბრტყელი ძირი, სწორი პირი ან ოდნავ აკეცილი კიდე აქვთ.

---

1 რ-65-543; 04-75-2064.
2 04-74-1710 დმ.-9 სმ, ქუსლის ს. -1,2 სმ.
3 04-74-1568; 04-75-2111; 04-76-2406.
4 რ-61-4123; 04-75-2261.
5 04-74/993,1102,1569; 04-75/2304,2263; 07-76-2362.

მკრთალი ნაკაწრებით გამოყვანილია სწორი ხაზები, მარყუჟები, ზოგჯერ პალმეტები. შემკულნი არიან მწვანე, ყვითელი და ბადრიჯნისფერი ჭიქურის ნაღვენთებით და ხალებით[1] (ტაბ.XXXIV,2). ამათგან ყურადღებას იქცევს ჯამის პირ-კედელი.[2] მას წითელი, სუფთა კეცი აქვს. პირის კიდე ოდნავ შიგნით გადაკეცილი. ვარდისფერ ანგობზე მკრთალი ნაკაწრებით და ბადრიჯნისფერი ჭიქუროვანი საღებავის ფართო ზოლებით გეომეტრიული ორნამენტია გამოყვანილი, თითქოს სამკუთხედებია მოხატული; გაღვრილად კი ცისფერი ლაქებია. მკრთალად ამოკაწრულ ჯამებზე ცისფერი ჭიქურის გამოყენება ძალზე იშვიათია.

ვარდისფერ ანგობიანი ჯამების მეორე ჯგუფს მსხვილმარცვლოვანი კეცი, მაღალი, ვიწრო ამოღარული ქუსლი და ოდნავ ამობურცული ძირი აქვთ. მათი შიდა პირი მკვეთრად ამოკაწრული ორნამენტით (ხაზები, მარყუჟები) და ცისფერი, მწვანე, ზოგჯერ კი ცისფერი და ბადრიჯნისფერი ჭიქურის საღებავის ლაქებითაა შემკული. გადავლებული აქვთ უფერო ჭიქური.[3] ისინი კეცისა და ქუსლის გამო ვარდისფერ ანგობიან ჯამთა შორის ყველაზე გვიანდელად არის მიჩნეული [37, გვ.19].

ვარდისფერი ანგობით დაფარული და ანალოგიური ხერხით შესრულებული ორნამენტის მქონე ჯამები რუსთავს გარდა გვხვდება დმანისში, თბილისში, უჯარმაში, გუდარეხში [80, ტაბ.XXXVI], ძველ გაგაზში [74, გვ.41], ასევე აზერბაიჯანში (ორენ-ყალა, განჯა) [146, გვ.244; 120, გვ.39].

მკრთალი ნაკაწრებითა და ფერადი ნაღვენთებით ჭურჭლის შემკობის ტექნიკა ამიერკავკასიაში IX საუკუნიდან ვრცელდება [146, გვ.244-245] და იგი ქართულ კერამიკაშიც გვხვდება [37, გვ.18,94].

ვარდისფერ ანგობზე მკვეთრად ამოკაწრული ორნამენტით და ფერადი ლაქებით გაცოცხლებული ჯამები XI ს. უნდა დათარიღდეს. ადრეულებისგან განსხვავებით მათი კეცი მსხვილმარცვლოვანია და ვიწრო, ამოღარული ქუსლი აქვთ, რაც ასე დამახასიათებელია სწორედ XI-XIII სს. ჯამებისათვის. XII-XIII საუკუნეებში ვარდისფერ ანგობიანი ჯამები აღარა გვხვდება.

სასახლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი IX-X სს. მოჭიქულ კერამიკას შორის არის მწვანედ მოჭიქული ჯამების რამდენიმე ნატეხი ძირ-ქუსლისა და პირ-კედლისა.[4] მათ სუფთა კეცი, დაბალი, ბორბლისებური ქუსლი და ბრტყელი ძირი აქვთ; კალთა დაქანებულია, პირის კიდე ოდნავ აწეული. მოჭიქულია უანგობოდ, ჭიქური კრიალაა.

მწვანედ მოჭიქული ჯამების ერთი ნაწილი, რომელთაც ასევე განლექილი კეცი, ბორბლისებური ქუსლი და ბრტყელი ძირი აქვთ, შემკულია მკრთალი ამონაკაწრებით,

[1] 04-73-121; 04-74/1259; 1473,1345; 04-75/2256,2216.
[2] 04-74-1637.
[3] 04-73-120; 04-74/768,1356,2050; 04-75-2243.
[4] 04-74-1474; 04-76/2358,2589.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სწორი და კლაკნილი ხაზებით.[1] ერთ მათგანს ძირ-ქუსლზე ცენტრიდან გამომავალი წყვილი ხაზებით სხივისებური ორნამენტი აქვს გამოსახული.

ჩვენი დაკვირვებით ასეთი ჯამები X საუკუნის ნაწარმი უნდა იყოს. სასახლის გათხრისას მრავლად აღმოჩნდა შიშველ კეცზე თეთრი ანგობით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჯამის ნატეხები.[2] იშვიათად გვხვდება სხვა სახის ჭურჭელიც (საწვნე, ქილა, ლანგარი, დოქის ყური).[3]

ჯამების შიდა პირზე ანგობით გამოყვანილია „მოძრაობის ხაზები“, ბრტყელი სალტეებისაგან შედგენილი რკალები, რგოლები, იშვიათად „ყვავილები“.[4] ზოგჯერ ჯამს თეთრი ანგობის ზოლებზე ბადრიჯნისფერი ხალები აქვს და შემდეგაა ცისფრად მოჭიქული.[5] მათთვის დამახასიათებელია სწორი პირი, დაღარული ბაკო, დაქანებული კალთები. ერთერთ ლანგარს ბრტყელი ბაკოს ირგვლივ დაკეჭნილი წიბო შემოუყვება.[6] ჯამების უმრავლესობას აქვს ვიწრო, მაღალი, ამოღარული ქუსლი და ოდნავ ამობურცული ძირი. გვხვდება დაბალი, ფართო, ბორბლისებური ქუსლიანი ბრტყელი ძირის მქონე ორიოდე ნიმუშიც. ორივე ტიპის ჯამებს მსხვილმარცვლოვანი კეცი აქვთ.

ანალოგიური შემკულობის და ფორმის ჯამები რუსთავს გარდა აღმოჩენილია დმანისში, თბილისში [37, გვ.28; 38, გვ.29; 80, ტაბ.XIV,12; XII,5], ძველ გავაზში [74, გვ.39], ახალქალაქში [78, გვ.63], არახლოში [137, ტაბ.XIV] მცირე რაოდენობითაა იგი სომხეთ-აზერბაიჯანში.

შიშველ კეცზე თეთრი ანგობით მოხატულ და ცისფრად მოჭიქულ ჭურჭელს მ.მიწიშვილი აღმოსავლეთ საქართველოს კერამიკისათვის დამახასიათებლად მიიჩნევს და XI საუკუნით ათარიღებს [37, გვ.29-30]. მისი აზრით, ჯამების ამ ჯგუფში შერწყმულია ჭურჭლის დამზადების ძველი და ახალი ხერხები. კერძოდ, შიშველ კეცზე მოხატვა, რაც IX-X სს. ნაწარმისათვის არის დამახასიათებელი და მსხვილმარცვლოვანი მოწითალო კეცი, მაღალი ქუსლი, ოდნავ ამობურცული ძირით, რომელიც ტიპურია XI-XII სს. ამოკაწვრით, მოხატული და ერთფრად მოჭიქული ჯამებისათვის [37, გვ.29-30]. გარკვეულ მონაკვეთში მათ თანაარსებობას რუსთავის სასახლის განათხარიც ადასტურებს.

სასახლეში დიდი რაოდენობით არის მოპოვებული XI-XIII სს. ერთფრად და მრავალფრად მოჭიქული კერამიკა. მათ უმრავლესობას, ისევე როგორც ადრეულ ხანაში, ჯამები შეადგენს. ბევრია სხვა სახეობის ჭურჭელიც. ცხადია, მოჭიქული ჭურჭლის ასეთი

---

[1] 04-75/2291,2268; 04-76-2361.

[2] 04-74/1100,1869,694,1518; 04-73-141; 04-75/2167; 04-76/2861.

[3] რ-65-5576; 04-74/2204; 04-76-2633.

[4] რ-65-6110; 04-75-2280.

[5] 04-74-1600.

[6] 04-85-10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალფეროვანი, შესაბამისად მრავალრიცხოვანი და მაღალხარისხოვანი ნაწარმი განპირობებულია იმ დროის საქართველოს ეკონომიკური სიძლიერით.

ერთფრად მოჭიქულ ჭურჭელში წამყვანი ადგილი ამოკაწრული ორნამენტითა და ფერად ჭიქურით დაფარულ ჯამებს ეკუთვნის. მცირე რაოდენობითაა სადა, ერთფრად მოჭიქულები.[1] ამოკაწრულ ჯამებს შორის გვხვდება ცისფრად, მწვანედ და ბადრიჯნისფრად მოჭიქულები. დიდ უმრავლესობას ცისფერი ნაწარმი შეადგენს (ყველაზე მრავლად IV,VII ოთახებში და კორიდორშია).[2] საკმაო რაოდენობითაა მწვანედ მოჭიქულები,[3] ბადრიჯნისფერი კი ცოტაა.[4] ფერთა ასეთი თანაფარდობა სხვა სახეობის ჭურჭელზეც შეინიშნება.

ამოკაწრული ორნამენტითა და ერთფრად მოჭიქულ ჯამებს ერთნაირად დამუშავებული კეცი (მოწითალო, მსხვილმარცვლოვანი) და ფორმა აქვთ - სწორი პირი, მაღალი ქიმი, ზოგჯერ დაღარული ბაკო, დაქანებული კალთები, ვიწრო, მაღალი გამოყვანილი ქუსლი და ამობურცული ძირი.[5]

ანგობირებულ ზედაპირზე ამოკაწრულია მარყუჟები, ექვსქიმიანი ვარსკვლავი („დავითის ფარი"), რგოლები, ხაზები. ზოგ მათგანს შედარებით მკრთალი ნაკაწრები აქვს.[6] ისინი ალბათ უფრო ადრეულები უნდა იყვნენ. ცისფრად მოჭიქული ჯამების სამ ნიმუშზე ფრინველია ამოკაწრული.[7]

ერთფერჭიქურიან ჯამებზე ფრინველის გამოსახვა ჩვენში გავრცელებული არაა. ეტყობა იგი წინამორბედია მრავალფერად მოჭიქული ფრინველიანი ჯამებისა. ერთფრად მოჭიქული ფრინველის გამოსახულებიანი ჯამები აღმოჩენილია რუსთავის ციხეზე (ფრინველი, ფრინველის თავიანი ჩიტი -სირინოზი) [37, ტაბ.XVIII], თბილისში [80, ტაბ.XXV; 39, გვ.44]; უჯარმაში [37, გვ.28; 31, ტაბ.XXXIII,2]. არის აგრეთვე ორენ-ყალას მასალაში [146, გვ.278].

მრავლადაა მოპოვებული მარყუჟებითა და ხაზებით შემკული ამოკაწრული, ერთფრად მოჭიქული ჯამები საქართველოს ნაქალაქარებსა და ნასოფლარებში, ისინი გვხვდება აგრეთვე სომხეთში, აზერბაიჯანში, ყირიმსა და შუა აზიაში. საქართველოში აღმოჩენილი ამოკაწრული ორნამენტით შემკული და ერთფრად მოჭიქული ჯამები XI-XII საუკუნეების ნაწარმად არის მიჩნეული [37, გვ.27]. XII-XIII საუკუნეებითაა დათარიღებული ორენ-ყალის მასალა [146, გვ.278]. XI-XII საუკუნეებით კი - შუა აზიისა

---

1 04-75-1954; 04-76-263 (თითქმის მთელია); 04-76/2588,2620; 04-73-123; 04-74-1834; 04-75-2244; 04-74-1934 და სხვ.

2 04-74/991,1871,1358,1520,1400 (მთელია); 04-75/2202,2030; 04-76/2590 და სხვ.

3 04-75/2119,2201; 04-74/1951,879; 04-76-2722; 04-76-2361 და სხვ.

4 04-74/985,1870,753,1652; 04-75/2255; 04-85/31,692.

5 დმ. -6-7,5 სმ., ქუსლის ს. -1-1,2 სმ.

6 04-75/2213,2268,2292; 04-85-53.

7 რ-65-5532; რ-65-6403; 04-75-2138.

და ყირიმის [145, გვ.195; 103, გვ.107-108]. როგორც ჩანს, მათი მასიური წარმოება XI-XII საუკუნეებში ხდება; თუმცა ისინი არსებობას XIII საუკუნეშიც განაგრძობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასახლეში ჯამების გარდა საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი XI-XIII სს. ერთფრად მოჭიქული სხვადასხვა სახეობის ჭურჭელი: დოქები, ქილები, საღვინეები, თეფშები, სასმისები, კალათა, სამარილეები. აგრეთვე ჭრაქები, საწელნეები, კოტოში. მათ შორის ყველაზე ბევრია ქილები, საწვნეები, სამარილეები. ისინი მოჭიქულია ცისფრად, მწვანედ, ბადრიჯნისფრად (ტაბ.XXXIX, XXXVIII, 1,2).

ლ ა ნ გ რ ე ბ ი სულ საშიოდე ნატეხია. აქვთ ფართო გადაშლილი პირი, ბრტყელი ბაკო და დაქანებული კალთები. ერთ მათგანს პირთან შეწყვილებული მილნისკარტი აქვს მიძერწილი,[1] მეორეზე შიდა პირზე ფრინველია გამოსახული, ხოლო ბაკოზე - წნული. მას აქვს ფართო ბრტყელი ბაკო, მომრგვალებული კალთა და დაბალი, განიერი, ამოღარული ქუსლი. გარედან მწვანე და შავი ზოლები დაუყვება, გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.[2] იგი აშკარად შემოტანილი უნდა იყოს. ლანგრები ორმხრივაა მოჭიქული: ორი მწვანედ, ერთი -ცისფრად.

თ ე ფ შ ე ბ ი. სულ ორი ერთეულია ნაპოვნი.[3] დაბალია გადაშლილი პირით სადა, მოჭიქულია ცისფრად და მწვანედ.

დ ო ქ ე ბ ი. პირ-ყელისა და კედლის ათიოდე ნატეხითაა წარმოდგენილი.[4] უმრავლესობა მწვანედაა მოჭიქული. ერთ შემთხვევაში მთლიანი ფორმა დგინდება. ესაა მწვანედ თუ ცისფრად (დამწვარია) მოჭიქული ზოომორფული დოქი. მისი პირ-ყელი სტილიზებული რქოსანი ცხოველის, -ირმის თავს გამოხატავს. აქვს სითხის გადმოსაღვრელი ორი ნახვრეტი, ცხოველის პირისა და ყელის ბოლოში. ყური მიძერწილია ცხოველის თავის მოპირდაპირედ ყელსა და მხარს შორის. მხარზე ამოკაწრული ორნამენტი შემოუყვება (ტაბ.XXXIII,6). დოქი ნაპოვნია III ოთახში, XI საუკუნეში დამწვარ იატაკზე. ზოომორფული პირ-ყელის მქონე მოჭიქული IX-X სს. დოქები ნაპოვნია შუა აზიაში; იქ ხარის გამოსახულებაა [143, გვ.72], სომხეთში, რომელიც სტილიზებულ ცხვარს გამოხატავს, დათარიღებულია IX-XI საუკუნეებით [115, გვ.157], ხოლო მეორე, რომელიც თითქოს ხარს გამოხატავს, დათარიღებულია XII-XIII სს [115, გვ.138].

სასახლეში ნაპოვნია აგრეთვე მწვანედ მოჭიქული მილნისკარტიანი დოქის ნატეხი, რომლის მსგავსია თბილისში [79, ტაბ.XXXI].

---

[1] 04-81-79.
[2] 04-81-357.
[3] 04-76-2589; 04-81-167.
[4] რ-65-5533; 6236; 04-73-144; 04-81-341; 04-85-41.

სასმისები მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. ყურადღებას იქცევს III ოთახში, XI საუკუნის დამწვარ იატაკზე ნაპოვნი ნიმუში.[1] იგი მთლიანად აღსდგა. ფორმა დახვეწილია -პირგადაშლილი, ყელთან ნაწიბურით, ტანი ოდნავ ბიკონუსურია, ამოღარული ქუსლითა და ბრტყელი ძირით. ოვალურგანივკვეთიანი მორკალული ყური ყელზე იწყება და ძირთან ახლო ბოლოვდება. ტანის ზედა ნახევარზე კანელურები დაუყვება, ხოლო ყელთან და ძირთან ახლოს -ფოსოები. მოჭიქულია ბადრიჯნისფრად (ტაბ.XXXIII, 4). იგი ერთგვარად ემსგავსება XII-XIII სს. ფერმკრთალად გამომწვარ კანელურებიან სასმისებს.

საწვნეები. მათთვის დამახასიათებელია სწორი პირი, შვეული კედლები და ფართო ამოღარული ძირ-ქუსლი. ზოგ მათგანს პირთან მიძერწილი აქვს მრგვალი, ბრტყელი ყურები. ზოგს პირთან წყვილი ღარი ან დაბალი რელიეფური წიბო შემოუყვება, ზოგს კი პირს ქვემოთ -ირგვლივ ფოსოები ან ირიბი ხაზები. მოჭიქულნი არიან გარედან. ძირსა და ქუსლზე ჭიქური არ უსვიათ; ზოგი მათგანი შიდა მხრიდან ნაწილობრივ უფერო ჭიქურითაა დაფარული, გვხვდება ცისფრად, მწვანედ და ბადრიჯნისფრად[2] მოჭიქული საწვნეები. დიდი უმრავლესობა ცისფერია, იშვიათად მწვანე და ბადრიჯნისფერი.

აღნიშნული საწვნეები XI ს-ში უკვე გვხვდება. ერთ-ერთი მათგანი უშუალოდ XI საუკუნის დამწვარ იატაკზეა ნაპოვნი (ტაბ.XXXIII,7). ისინი არსებობას განაგრძობენ მომდევნო ხანაშიც. ანალოგიური ფორმის საწვნეები გვხვდება რუსთავშივე, თბილისში, დმანისში, უჯარმაში [37, გვ.55; 39, გვ.34].

ქილები სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობისაა. ზოგ მათგანს აქვს მაღალი პირ-ყელი, განიერი მხრები, გამობერილი მუცელი. ისინი დიდი ზომის ქილებია და „საყვავილეებად“ არის მიჩნეული. მათ მხარზე ამოკაწრული ორნამენტი ან ფოსოები შემოუყვებათ.[3] გვხვდება პატარა ზომის პირქობიანი, დაბალყელიანი, ცილინდრულტანიანი ქილებიც, რომელთაც ბრტყელი ძირ-ქუსლი აქვთ (ტაბ.XXXIX,1). არის სწორპირიანი, მუცელგამობერილი, ამოღარულქუსლიანი ქილებიც (ტაბ.XXXIII,3). ქილების დიდი ნაწილი მოჭიქულია ცისფრად, არის მწვანეჭიქურიანიც, ერთი კი ბადრიჯნისფერია. ყურადღებას იქცევს საშუალო ზომის მწვანედ მოჭიქული ქილა (ტაბ.XXXIII,5). იგი ცალყურაა, ყელმაღალი, მაღალტანიანი, მხრებგანიერი, ამოღარული დაბალი ძირ-ქუსლით. ყელზე ყურის მოპირდაპირე მხარეს დაძერწილი აქვს სამი დიდი რკალი - დეკორატიული დანიშნულების. ნაპოვნია III ოთახში, XI საუკუნეში დამწვარ იატაკზე. ამგვარად, შემკული ქილა სხვაგან არ გვეგულება. ანალოგიური „საყვავილეები“ და

[1] 04-85-117.
[2] 04-74/927,928,1905; 04-76-2359; 04-74-1874; 04-75/2246,2159.
[3] 04-74-2359; 04-75-2260; 04-82/23,45; 04-85-122.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ზომის ქილები გვხვდება რუსთავშიც, თბილისსა და დმანისში [37, გვ.56; 80, ტაბ.XXVI,XXVII,XXX,2].

კ ა ლ ა თ ა ს აქვს სწორი, ოდნავ მოყრილი პირი, შვეული, ძირისკენ შევიწროვებული კედლები და ამოღარული ძირ-ქუსლი.[1] პირთან შებმულია მრგვალგანივკვეთიანი ყური. მოჭიქულნი არიან ცისფრად, მწვანედ, ბადრიჯნისფრად. ორი ნიმუში მთლიანად აღსდგა (ტაბ.XXXIII,1,2). ნაპოვნია III ოთახის XI ს-ის დამწვარ იატაკზე, გვხვდება IV ოთახშიც -XIII საუკუნეში განადგურებულ ფენაში. კალათა ნაპოვნია რუსთავის ნაქალაქარზე, განვითარებული შუა საუკუნეების სამარხში [19, გვ.193;]. საქართველოს გარეთ ასეთივე ფორმის კალათა ნაპოვნია ორენ-ყალაში [37, გვ.59], იგი გვხვდება აგრეთვე ირანის კერამიკაშიც [151].

ს ა მ ა რ ი ლ ე ე ბ ი ერთი ფორმისები არიან -ფართო პირი, ვიწრო, ბრტყელი ბაკო, სწორი კედლები და ბრტყელი ძირი.[2] ზოგ მათგანს ბაკო დაკეჭნილი ან ამოკაწრული ორნამენტით აქვს შემკული (ტაბ.XXXIX,3). მოჭიქულნი არიან მწვანედ და ცისფრად.

სამარილეები მრავლად გვხვდება საქართველოს სხვა ნაქალაქარებშიც: თბილისი, დმანისი, უჯარმა, თელავი, გაგაზი, ახალქალაქი [29, გვ.98-99; 80, ტაბ.XXXII; 37; 74, გვ.42; 59, გვ.64; 78, გვ.63; 31, ტაბ.XXXIX,1], სიონის სამაროვანზე [45, გვ.97]. მცირე რაოდენობითაა სომხეთ-აზერბაიჯანში.

საგანგებო დანიშნულების თიხის ნაწარმი წარმოდგენილია ჭრაქების, სამელნეების და კოტოშების სახით.

ჭ რ ა ქ ე ბ ი -ყველაზე ბევრია, ფორმით ერთნაირია - ნიჟარისებური. ტუჩის მოპირდაპირე მხარეს მოგრძო, მაღლა აზიდული და ჩაკეცილი ყური აქვთ (ტაბ.XXXIX,2). ზოგჯერ ზომაშია სხვაობა. ზოგ მათგანს მთლად ჩამოყალიბებული ნიჟარის ფორმა არა აქვს.[3] ასეთია III ოთახის XI საუკუნეში დამწვარ იატაკზე აღმოჩენილი ჭრაქი.[4] შესაძლოა ისინი უფრო ადრეულები იყოს. მოჭიქულნი არიან ცისფრად, მწვანედ, ბადრიჯნისფრად. ჭარბობს ცისფერი. ერთფრად მოჭიქული ნიჟარისებური ჭრაქები ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში, მცირე რაოდენობითაა სომხეთში.

ს ა მ ე ლ ნ ე. სასახლეში სულ სამი ცალია ნაპოვნი.[5] მათ აქვთ ბრტყელი, ფართო, გადმოშვერილი ბაკო, სწორი კედლები და ვიწრო ძირი. ბაკო შემკულია

---

[1] 04-74/633,610,1803; 04-85/115,118.

[2] 04-74/68,609; 04-74/2289; 04-85/47,68.

[3] 04-75-2215.

[4] 04-85-114.

[5] 04-76-2892,1872; 04-81-136.

ამოკაწრული ორნამენტით (ტაბ. XXXIV,4). ორი მწვანედაა მოჭიქული, ერთი კი მრავალფერადია.

სამელნეები აღმოჩენილია რუსთავშივე [37], ასევე დმანისში [80, ტაბ.XXXII; 81, გვ.61]; თბილისში [39, გვ.68]; ახალქალაქში [78, ტაბ.XV,8]. თითო-ოროლა ნაპოვნია აზერბაიჯანში (ორენ-ყალა) და სომხეთში (დვინი, ანისი) [37, გვ.58].

კ ო ტ ო შ ი. სააკვნე ჭურჭელია, სულ ხუთი ერთეულია სასახლეში. მათ აქვთ მაღალი სწორი, ვიწრო ტანი, განიერი ბაკო და ბრტყელი ძირი.[1] მოჭიქულია შიდა მხრიდან ცისფრად ან ბადრიჯნისფრად. აღმოჩენილია რუსთავშივე, დმანისში, თბილისში, თელავში [80, ტაბ.LXVI,2; 39, გვ.63; 39, გვ.64].

XII-XIII საუკუნეების ჭურჭელი სასახლეში ძირითადად მრავალფერად მოჭიქული ჯამებითაა წარმოდგენილი. ერთადერთია მრავალფერადი სამელნე. ამ ჯამებში შემკულობის მიხედვით ორი ჯგუფი გამოიყო. ერთზე, უმრავლესობაზე, ორნამენტი ამოკაწრის ხერხითაა შესრულებული, მეორე -მცირე ნაწილზე კი იგი ფუნჯითაა გამოყვანილი. კეცი და ფორმა ორივე მათგანს ერთნაირი აქვს, ზოგჯერ სტანდარტულიც: სწორი პირი, ან შიგნით დაქანებული ღარიანი ბაკო, მაღალი კალთები, ვიწრო ამოღარული ქუსლი და ოდნავ ამობურცული ან „ჭიპმოჭრილი" ძირი. ყველა მათგანი მოჭიქულია შიდა მხრიდან. ქიმი გარედან თეთრი ანგობითაა დაფარული, რომელზედაც ზოგჯერ შავი საღებავით კლაკნილი ხაზები ან რკალები შემოუყვება.
ამოკაწრულ ორნამენტიანი, სხვადსხვა ფერის ჭიქუროვანი საღებავებით მოხატული და უფერო გამჭვირვალე ჭიქურ გადავლებული ჯამები სიმრავლის გარდა მრავალფეროვნებითაც გამოირჩევიან. მათზე გვხვდება თითქმის ყველა ის ორნამენტი, რაც გავრცელებულია იმ ხანის მოჭიქულ ჭურჭელზე. მცენარეული, გეომეტრიული, ადამიანის, ფრინველის თუ ცხოველის გამოსახულებანი.

გეომეტრიული ორნამენტიდან ხშირია ჭადრაკული, ცენტრიდან გამომავალი სხივები, ვარდულები, წნულები (ტაბ.XXXIV,3; XXXVI-XXXVIII 3,5). ხშირად მცენარეული და გეომეტრიული ორნემენტი ავსებს ერთმანეთს. გამოყენებულია ძირითადად ორი ფერი -მწვანე და ყვითელი, იშვიათად ბადრიჯნისფერი. ორნამენტში მონაწილეობს თეთრი ანგობიც. ჯამებზე ორნამენტი დახვეწილია. ჩანს მაღალი პროფესიონალი მხატვარ-კერამიკოსთა ხელიც.

სიუჟეტური გამოსახულებიდან ყველაზე მეტია - ფრინველი. ისინი გამოსახულია მცენარეული - რტო-ყლორტოვანი ორნამენტის ფონზე.[2] ასეთივე შექმნილი ფონი აქვს

---

[1] რ-65/5762; 6646; 04-74/932,681,1992.
[2] რ-65/5959,6482; 04-74/868,935; 04-75-2116; 04-76/2407;



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოველებსაც.[1] ცხოველის გამოსახულებიანი ჯამები უფრო ცოტაა და ფრაგმენტულად არის შემორჩენილი.

ადამიანის გამოსახულება სასახლიდან მხოლოდ ორ ჯამზეა დადასტურებული. ერთ ჯამზე - ქალის სახეა შემორჩენილი.[2] ყურადღებას იქცევს მეორე ჯამი, რომელიც I ოთახში აღმოჩნდა.[3] იგი ნაკლულია, რის გამოც ორნამენტი მთლიანობაში ვერ იკითხება. ჯამის ცენტრში ერთმანეთის გვერდით გამოსახულია ქალისა და მამაკაცის ფიგურა - ,,ნეფე-დედოფალი". მათი სახეები ძალზედ რეალისტურია, გამოკვეთილია ყველა ნაკვთი. ორივეს აქვს მრგვალი პირისახე, ფართო ნუშისებური თვალები, მამაკაცს -ულვაშები. თავზე ახურავთ ოთხკუთხა, კიდეებდაშვებული ქუდი. მამაკაცისა ორ ნაჭრიანია, მწვანე და ყვითელ ფერთა შეხამებით. ზემოდან ადგას სამად განშტოებული ბუმბულიანი ფრთა. ქალის თავსაბურავი უფრო დაბალია და შუბლთან შემკულია რგოლებით. ტანთ აცვია მრგვალად ამოჭრილი (დეკოლტირებული) მწვანე კაბა. მარცხენა მოხრილ ხელში უჭირავს ყვავილი. მამაკაცის ჩაცმულობა უფრო სქემატურია, მომწვანო და მოყვითალო ხალებით შემკული. მარცხენა ხელი მოხრილი აქვს იდაყვში. ხელში უჭირავს მაღალტანიანი, პირგადაშლილი სასმისი. მხარზე თითქოს ფრინველი აზის. სასმისი ძალიან ჰგავს ე.წ. მინის ძაბრისებრ სასმისებს, რომლებიც მეტად გავრცელებულია ამ პერიოდში.

წყვილად გამოსახული ადამიანის ფიგურები საქართველოში სადღეისოდ არსად გვხვდება. XII-XIII საუკუნის მოჭიქულ ჯამებზე ჩვენში ყოველთვის ადამიანთა თუ ცხოველთა და ფრინველთა თითო ფიგურაა გამოსახული. გამონაკლისია რუსთავის ციხეზე აღმოჩენილი ერთი ჯამი, რომელზედაც ორი ფრინველია: დიდი ზომის ფრინველს -დედას, ზურგზე აზის პატარა ბარტყი [30, ტაბ.VI,1]. სიუჟეტური გამოსახულებით შემკული ჯამები გვხვდება საქართველოს ამ ხანის ნაქალაქარებში.

ანალოგიური ჯამები საქართველოს გარეთ ნაპოვნია სომხეთ-აზერბაიჯანში (ორენ-ყალა, განჯა, დვინი, ანისი) [114, გვ.271; 95, სურ.42,44; 146, ტაბ.VI,IX; 120, გვ.21]; ყირიმში [145, ტაბ.36-39] და სხვ. ისინი ძირითადად დათარიღებულია XII-XIII საუკუნეებით.

სასახლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ფერადი საღებავით, ფუნჯით მოხატული ჯამები. მათი რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე წინა ჯგუფისა. კეცითა და ფორმით ისინი არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათში ორი წყება გამოიყო: I -თეთრ ანგობზე მწვანე, ყვითელი და ბადრიჯნისფერი საღებავით მოხატულნი და თხელი, გამჭვირვალე ჭიქურგადავლებული ჯამები (ტაბ.XXXV). მათი ორნამენტის კონტურები ბადრიჯნისფერი საღებავითაა მოხატული, შიდა არე ფერადი საღებავითაა შევსებული, მეტწილად

---

[1] რ-65-600; 04-74/679,1820,2041; 04-75-2101; 04-81-142.
[2] რ-61-3157.
[3] რ-85-18.

გეომეტრიული ორნამენტია. გვხვდება ცხოველის[1] და ფრინველის გამოსახულებაც [37, ტაბ.XLVI].

II ჯგუფის ჯამებზე, შიდა პირზე, თეთრ ანგობზე ბადრიჯნისფერი საღებავით მოხატულია კლაკნილი ხაზები, სხივები, რგოლები, ზოლები, წერტილებით გამოყვანილი ვარდულები, გადავლებული აქვს უფერო გამჭვირვალე ჭიქური.[2]

ამგვარი ჯამები ნაპოვნია სხვა ნაქალაქარებშიც. ფუნჯით მოხატულ მრავალფერად ჯამებს მ.მიწიშვილი ამოკაწრულ ორნამენტიან მრავალფერად მოჭიქული ჯამების თანადროულად თვლის და მათ XII ს-ის ბოლო XIII ს-ის I ნახევრის ნაწარმად მიიჩნევს. თეთრ ანგობზე ბადრიჯნისფერი საღებავით მოხატულთ კი XIII საუკუნის I ნახევარს მიაკუთვნებს [37, გვ.94]. ც.ჩიკოიძის აზრით, ეს უკანასკნელი ჯგუფი XIII ს-ის II ნახევრიდან ჩნდება [59, გვ.64]. ფუნჯით მოხატული ჯამების ორივე ჯგუფი, რუსთავში, XIII საუკუნის II ნახევრის განადგურებულ ფენაშია ნაპოვნი. როგორც აღინიშნა, მათი რაოდენობა ცოტაა. ორნამენტს აკლია სინატიფე, სიმსუბუქე, გამოსახულება ტლანქია. ეტყობა, რომ იგი მართლაც ხელოსნური წარმოების, კერძოდ მეთუნეობის დაქვეითების ხანის, XIII ს-ის უკანასკნელი მეოთხედის ნაწარმი უნდა იყოს.

სასახლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია მრავალფერად მოჭიქული ჯამების კიდევ ერთი ჯგუფი, რომელთაც უფერო გამჭვირვალე ჭიქური არა აქვთ გადავლებული. ერთ ნაწილს თეთრ ანგობზე ამოკაწრული ორნამენტით შემკული ჯამები შეადგენს.[3] შემკულობა მეტწილად გეომეტრიულია (სამკუთხედები, წრეები, რგოლები). გამოყენებულია მწვანე, ყვითელი, ზოგჯერ ყავისფერი ჭიქუროვანი საღებავები. ჯამების მეორე ნაწილზე, თეთრ ანგობზე ფუნჯით მრავალფერადი (მწვანე, ყვითელი) ჭიქუროვანი საღებავით მოხატულია რგოლები, ურთიერთ გადამკვეთი ზოლები და ლაქები.[4]

განხილული ჯგუფის ჯამები აღმოჩენილია რუსთავის ციხის სხვა უბნებზეც. ასევე სიონში, ჟალეთსა და იყალთოში [44, გვ.85-89], ძველ გავაზში [74, გვ.26]. რუსთავისაგან განსხვავებით სიონში აღმოჩენილ ჯამებს ორნამენტი შიშველ კეცზე აქვთ ანგობით მოხატული, ხოლო ჭიქურის ხალები აქა-იქაა დაღვენთილი.

სასახლეში აღმოჩენილი ჯამები უფრო მეტ სიახლოვეს იჩენს გავაზში მოპოვებულ ჯამებთან. იქაც ორნამენტი თეთრ ანგობიან ზედაპირზეა გამოყვანილი ფერადი საღებავით. უფერო, გამჭვირვალე ჭიქურის თხელი ფენა მხოლოდ ალაგ-ალაგ შეიმჩნევა [74, გვ.98]. ზემოთ აღნიშნულ ჯამებს მ.მიწიშვილი ნახევარფაბრიკატებს უწოდებს [37, გვ.59-61].

---

[1] 04-74-881.
[2] რ-61/4101; 4036; რ-65/5761, 6625; 04-75/235; 04-81/242; 04-85-79.
[3] რ-61-4120, 4021; რ-65-6387; 04-75-2239; 04-81-137; 04-85-87.
[4] რ-61-4101; რ-65-6064; 04-74-749; 04-82-10.

შედარებით დაწინაურებულ პირთა სამარხეულ კომპლექსებში და საქართველოს სხვადასხვა პუნქტებს (მათ შორის რუსთავშიც) კულტურულ ფენაში მათი აღმოჩენა რ.რამიშვილს ავარაუდებინებს, რომ ასეთ ჯამებს პრაქტიკული, ყოველდღიური გამოყენება უნდა ჰქონოდათ და ისინი XII-XIII სს. ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს [45, გვ.98-99]. ლ.ჭილაშვილი ასეთ ნაწარმს მოჭიქული ჭურჭლის იმიტაციას უწოდებს; ამგვარი კერამიკის წარმოებას ქვეყნის ეკონომიკურ დაქვეითებას უკავშირებს და მათ XIII ს-ის II ნახევრისა და XIV საუკუნით ათარიღებს [74, გვ.26]. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს.

როგორც დავინახეთ, რუსთავში და საქართველოს სხვა პუნქტებში საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი მოჭიქული ჯამები, რომელთა ზედაპირი უფერო გამჭვირვალე ჭიქურით არ არის დაფარული. საცხოვრებელ ნაგებობებში მათი აღმოჩენა ადასტურებს, რომ ისინი ნახევარფაბრიკატებს კი არ წარმოადგენს, არამედ ყოველდღიურ ხმარებაში არიან და მათი არსებობა გარკვეულ ქრონოლოგიურ პერიოდს უკავშირდება. ასეთ ხანად, ვფიქრობთ, XIII ს-ის II ნახევარი -XIV საუკუნე უნდა მივიჩნიოთ.

სავარაუდოა, რომ ამ ჯგუფში შემავალი ჯამებიდან, ამოკაწრული ორნამენტით შემკულნი ასაკით წინ უნდა უსწრებდნენ ფუნჯით მოხატულ ჯამებს.

## ფაიანსის ნაწარმი

სასახლის ტერიტორიაზე ფაიანსის ნაწარმი მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი: 22 ნატეხი ჭურჭლისაა, 6 - მძივია, 1 - მედალიონი და 1 ღილი.

ჭურჭელი ძალიან პატარა ნატეხებითაა წარმოდგენილი.[1] ისინი სადაა, ორმხრივ ცისფრად მოჭიქული, იშვიათად - ლურჯად. კეცი მოთეთრო ან მოყვითალოა. ორი ყურის ნატეხია, ერთს შვერილი აქვს შემორჩენილი.[2] აღსანიშნავია ერთი ძირ-ქუსლი, მოყვითალო კეცით; ქუსლი დაბალია და გამოყვანილი, ძირი კი - ბრტყელი. ორმხრივ მოჭიქულია მწვანედ.[3]

ფაიანსის ჭურჭლის ნატეხები ყველაზე მეტი რაოდენობით II ოთახში აღმოჩნდა. შედარებით სახიანი ნიმუშებია - I ოთახიდან.

ერთი - პატარა ქილისებური ჭურჭლის ნატეხია, ლურჯად მოჭიქული. შემკულია ჩაღარული ზოლებით -კანელურებით (ტაბ.XXII,4). კანელურებიანი ფაიანსის ჭურჭლის კიდევ სამი ნატეხია.[4] მსგავს ჭურჭელს XII-XIII სს. ათარიღებენ [34, გვ.112-113].

---

[1] 04-74/1347, 1354, 1287; 04-75/2052, 2181, 04-81-119; 04-82-35.
[2] 04-74-1713; 04-75/2332.
[3] 04-82-34.
[4] 04-74-920, 1104; 04-75-2286.

მეორე ხელადის ყელის ნატეხია. თეთრკეციანი, მსხლისებური ფორმის. ყელი და მუცელი ლუსტრითაა მოხატული. ზედ ცხოველია გამოსახული (ტაბ.XXII,1). ამგვარი ნიმუში XII-XIII სს. თარიღდება და რეის სახელოსნოს ნაწარმადაა მიჩნეული [33, გვ.194].

XII-XIII საუკუნეების საქართველოში მეტად გავრცელებულია ფაიანსის მძივები და მძივსაკიდები [112, გვ.19]. სასახლის ტერიტორიიდან სამი ფაიანსის კასრისებური მძივია.[1] ორი მოზრდილი მძივი კი ორნამენტირებულია.[2] ერთი ცალი -პაწია „მუჭია", რომელსაც ყუნწიც ჰქონია.[3] ყველა მოჭიქულია ცისფრად.

II ოთახიდან გვაქვს ფაიანსის საკიდი - მედალიონი (ტაბ.XII,11) - ცისფრად მოჭიქული. მსგავსი მედალიონი რუსთავში ადრეცაა აღმოჩენილი [19; 73]. გვხვდება იგი გავაზშიც [74, გვ.68-70].

აღმოჩნდა აგრეთვე ცისფერი ფაიანსის ორნახვრეტიანი ღილი, რომელიც მრგვალბრტყელია.[4] ძალიან ჰგავს თანამედროვე ღილს.

## §3. მ ი ნ ი ს ნ ა წ ა რ მ ი

სასახლის ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს შორის, კერამიკის შემდეგ, ყველაზე მრავალრიცხოვანი მინის ნაწარმია. მისი შესწავლის შედეგად დანიშნულების მიხედვით გამოიყო სამი ჯგუფი: ჭურჭელი, სამკაული, სარკმლის მინა. ეს უკანასკნელი მინის ნაწარმის მთელი რაოდენობის (641 ნატეხი) სამ მეოთხედს წარმოადგენს, რაც არ არის გასაკვირი - სასახლე ხომ ვიტრაჟებით იყო შემკული.

სასახლეში აღმოჩენილი მასალა ძირითადად განვითარებულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. მხოლოდ მინის ჭურჭელში გამოიყო ადრეული შუა საუკუნეების 2 ნატეხი, რომელიც სასახლის კუთვნილი არ არის. ისინი შემთხვევითაა მოხვედრილი ზედა ფენაში; ამიტომ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ორივე მეტად საინტერესო სასმისებია: ერთი - ე.წ. „ხალიან" სასმისს (IV-VI სს.) და იმპორტს წარმოადგენს [64, გვ.19-21]; მეორე კი - ადგილობრივია, ლურჯი ძაფებით შემკული (VIII-IX სს.) [64, გვ.24-25].

### მინის ჭურჭელი

განვითარებული შუა საუკუნეების მინის ჭურჭელში დანიშნულების მხრივ გამოიყო 4 ჯგუფი: 1. სუფრის ჭურჭელი; 2. ფლაკონი; 3. ლამპარი; 4. შიბაქი. ყველა დამზადებულია თავისუფალი ბერვით. სუფრის ჭურჭელში მრავალფეროვნებით გამოირჩევა ს ა ს მ ი ს ე ბ ი. აქ წარმოდგენილია ხუთივე ტიპი, რომელიც გვხვდება განვითარებული შუა საუკუნეების, კერძოდ, XI-XIII სს. საქართველოში [64, გვ.35-41].

---

[1] რ-65-6562; 04-74/1868, 1888.
[2] 04-75/2068, 2075.
[3] 04-81-495.
[4] 04-81-349.

I ტიპი -სასმისი ცილინდრული, სადაა. პირი სწორი აქვს, მცირედ შესქელებული, გვერდები ძირთან ამომრგვალებული; ძირი შედრეკილი (ტაბ.XL,1). ამგვარი სასმისის ძირის 3 ნატეხია;[1] მათი მინა მომწვანოა, მრგვალბუშტულებიანი, კრიალა, მცირედ გამოფიტული. აღმოჩენის ვითარებით ისინი XII-XIII სს. თარიღდება (II, III ოთახი, კორიდორი).

ამგვარი სასმისები მრავლადაა როგორც რუსთავში (ნაქალაქარი, ნაციხარი), ისე სხვა ნაქალაქარებში (დმანისი, გუდარეხი, უჯარმა) [64, გვ.35]; არის აგრეთვე ლამაზ გორაზე [66, გვ.134] და იგრის სიონში [45, გვ.101, ტაბ.XXXII,46], მაგრამ იგი დამახასიათებელია თბილისისათვის. ეს ტიპი გვხვდება როგორც ამიერკავკასიაში,[2] ისე შუა აზიაში [85, გვ.104; 88, გვ.92,100].

II ტიპში 3 ქვეტიპია გამოყოფილი [64, გვ.36,37]; ისე როგორც საერთოდ, სასახლეშიც ყველაზე მრავლრიცხოვანი მე-2 ქვეტიპია.

II, 1 ტიპი -პატარა ძირია (დმ.-2,5 სმ), ოდნავ შედრეკილი; კედლები ამომრგვალებით ადის ზემოთ (04-81-172).

II, 2 ტიპი -სასმისი, პირი მცირედ გაშლილია, ტანი ქვემოთკენ თანდათან ვიწროვდება; მცირედ შედრეკილ ძირზე სადა სარტყელი შემოუყვება. ამგვარი სასმისის 13 ნატეხია, უმეტესად ძირების (ტაბ.XL, 2-7).[3] მინა მწვანეა, უმეტესად მუქი, ხან მოყვითალო, კრიალა, ბუშტულებიანი, მცირედ გამოფიტული.

II, 2 ტიპის თითო ნიმუში ყველა ოთახიდანაა; I და IV ოთახში კი ისინი XIII ს. აგურფენილი იატაკის დონეზე აღმოჩნდა.[4] ეს ქვეტიპი მრავლად გვხვდება რუსთავის ნაქალაქარზე და ნაციხვარზე, თბილისში, დმანისში, უჯარმაში, გუდარეხის სასახლეში [64, გვ.36].

II, 3 ქვეტიპი -მე-2 ქვეტიპისაგან განსხვავებით, ამას სარტყელი დაკეჭნილი აქვს; ზოგჯერ ტანიც სწორი ან ზიგზაგური ძაფებითაა შემკული. ასეთი ძირის ერთი ნატეხია აბანოდან (რ-59-1384).

II ტიპის სასმისები გვხვდება ჩრდილო კავკასიაში: ჩმისა და ზმეისკის კატაკომბები, თხაბა-ერდი და სხვ. [118, გვ.102, 115, სურ.3₂; 117, გვ.115,117; სურ.43₃; 101, გვ.50], სომხეთში [107, კატ. №№45-47; ტაბ.XII,1,2,4-12; XIII,5,7], აზერბაიჯანში,[5] შუა აზიაში [99, გვ.64, ტაბ.IX; 105, გვ.13, სურ.2₁], კორინთოს XI-XII სს. მინის სახელოსნოში [147, გვ.107,111,114; სურ.12,12a, №689,724; სურ.14, ტაბ. 58, №744], ჩრდილო აპულიაში (იტალია) XII-XIII სს. მასალებს შორის [148, გვ.73,76, სურ.2,16,18].

---

[1] 04-76-2507; 04-77-3189; 04-85-4. ძირის დმ. -3,2-4,2 სმ.

[2] ბაქოსა და ერევნის მუზეუმების ფონდებში დაცული მასალების მიხედვით.

[3] რ-61-4052; 04-74/1896, 1309; 04-77-3213; 04-81-117 და სხვ. ძ. დმ. -2-6 სმ; უმეტესად 4-4,5 სმ.

[4] 04-75/2188, 2191.

[5] ასიმ, გამოფენა, ფონდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ტიპი განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპია. იგი ექსპორტის საგანსაც წარმოადგენდა, მაგალითად, ჩრდილო კავკასიაში [118, გვ.102, 115; 117, გვ.116,117].

III ტიპი. სასმისი, პირი ფართოა, ოდნავ ტალღური, ტანი ძირისკენ თანდათან ვიწროვდება და დგას სხვადასხვა სიმაღლის ძირ-ქუსლზე; ქუსლი ფართოდაა გაშლილი და ხშირად შემომტვრეულია (ტაბ.XLI,1,2). სასახლეში ამ ტიპის 6 ნატეხია;[1] მათი მინა თხელკედლიანია, უფერული, მომწვანო ან მოყვითალო, გამჭვირვალე, კრიალა; III ტიპი წარმოდგენილია I-IV ოთახებში და კორიდორში. IV ოთახიდან 2 საუკეთესო ნიმუში XIII ს. ნაყარში აღმოჩნდა, ერთი კი -I ოთახის XIII ს. იატაკზე.[2] II ოთახში ერთ დონეზე აღმოჩნდა II და III ტიპი.[3]

აღსანიშნავია, რომ რუსთავის ნაქალაქარზე ეს ტიპი არ აღმოჩენილა; ნაციხვარზე მრავლადაა; არის დმანისში და გუდარეხის სასახლეში [64, გვ.38]. იგი კარგადაა წარმოდგენილი ივრის სიონის სამარხებში [45, გვ.101; ტაბ.XXXII].

ამ ტიპის თითო ძირ-ქუსლი არის დვინში და ანისში.[4] ეს უკანასკნელი იმდენად მსგავსია რუსთაულისა, რომ იგი საქართველოდან, კერძოდ, რუსთავიდან უნდა იყოს გატანილი. მსგავსი ტიპი გვხვდება უზგენშიც [85, გვ.104].

III ტიპი დამახასიათებელია XII-XIII სს. საქართველოსათვის. რუსთავის სასახლეში აღმოჩენილი ნიმუშები კი XIII ს. თარიღდება.

IV ტიპი. სასმისი, პირი ძაბრისებრ გაშლილია, მაღალი და ვიწრო ტანი დგას მრგვალ-ბრტყელ ქუსლზე; ტანი შემკულია წვრილი ძაფებითა და სიმეტრიულად განლაგებული ხვეული კოპებით, ზოგჯერ ფერადით. მინა პირთან ოდნავ ტალღურია, თხელკედლიანი, უფერული ან მომწვანო, გამჭვირვალე, მცირედ გაშოფიტული.

სასახლიდან სულ 16 ნატეხია; 4 ძირ-ქუსლის (ტაბ.XLI,3-5), დანარჩენი პირ-კედლის;[5] ისინი უმეტესად IV და VII ოთახებიდანაა. ერთი ძირ-ქუსლი გამოირჩევა თავისი სიდიდით (ტაბ.XLI,3).

ეს ტიპი გვხვდება რუსთავში (ნაქალაქარი, ნაციხვარი, სამაროვანი), თბილისში (კერამიკული სახელოსნო, ერეკლე II მოედანი, დედაციხე), უჯარმაში, გუდარეხის სასახლეში, მცხეთაში, იყალთოში [64, გვ.38,39], სიონში, სამაროვნის იმ უბნიდან, რომელიც მიჩნეულია ქონებრივად დაწინაურებული ფენის კუთვნილებად [45, გვ.56-58,100; ტაბ.XXXII,9]; სოფ. მატანის (ახმეტის რ-ნი) მლაშეების გორის მარნიდან [46, გვ.144-145], სოფ. დევებიანზე [48, გვ.62] და სხვ.

---

[1] 04-74-1307; 04-75-2250; 04-85-97. ძირ-ქუსლის დმ. -6-7 სმ; ძირის დმ. -3,2-3,5 ს. -12-13 სმ.

[2] რ-61-4111; 04-75/2061, 2169;

[3] 04-74/1307, 1309.

[4] სსიმ, გამოფენა.

[5] 04-74/1391,1818; 04-81-212; 04-82-29 და სხვ.

როგორც დავინახეთ, საქართველოში ეს ტიპი მრავლადაა. იგი დამახასიათებელია XII-XIII სს, უფრო კი XIII საუკუნისათვის. მსგავსი მოყვანილობისა და შემკულობის სასმისები გვხვდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში, მაგრამ საქართველოში მათგან განსხვავებული, დახვეწილი, ქართული ტიპია შექმნილი [64, გვ.38-40; აქვე იხ. ლიტერატურა]. იგი ექსპორტის (სომხეთში) საგანსაც წარმოადგენდა [45, გვ.56-58,100; 62, გვ.146; 109, გვ.14, ტაბ.XL].

V ტიპი. სასმისი მცირედ პირგადაშლილი, მაღალი, გამოყვანილი ყელით, გაფართოებული ტანი, რომელიც ქვემოთკენ ვიწროვდება, დგას დაბალ ფეხზე და მრგვალ, გამოყვანილ ქუსლზე. დამახასიათებელია სასმისის მაღალი, ფიგურული ყური. იგი არის ბრტყელგანივკვეთიანი, 3 ღრმა ჩანაღარით, მონახარში შვერილი აქვს. იგი XII-XIII სს. უფრო კი XIII ს. თარიღდება [64, გვ.40-41, ტაბ.VIII,1].

განსახილველ მასალაში არის ამ ტიპის 3 ფიგურული ყურის და ძაფებით შემკული კედლების ნატეხები.[1] მინა მწვანე ან მომწვანო-მოყვითალოა. ისინი აღმოჩნდა VI ოთახში, IV-ის XIII ს. იატაკზე და VII ოთახში ძაბრისებრ სასმისებთან ერთად.

ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ეს ტიპი ქართული, კერძოდ, რუსთავული მინის წარმოებისათვის არის დამახასიათებელი. რუსთავში იგი გვხვდება ნაქალაქარზე, ნაციხარზე, სამაროვანზე. სხვა პუნქტებიდან (თბილისი, დმანისი, იყალთო) თითო-ოროლა ნატეხია; იყალთოში აღმოჩენილი ყური მინითა და ნახელავით ისე ჰგავს რუსთავულ ნიმუშებს, რომ იგი რუსთავის მინის წარმოებას უნდა მივაკუთვნოთ [64, გვ.41].

როგორც საერთოდ, რუსთავის სასახლეშიც ყველაზე მრავლად II და IV ტიპის სასმისები გვხვდება. IV ტიპი უფრო შეძლებულთა კუთვნილია, რასაც მოწმობს მათი აღმოჩენა სასახლეებში და სამარხებში. იგივე შეიძლება ითქვას III ტიპის სასმისებზე, რომლებიც შედარებით მცირერიცხოვანია. III და IV ტიპი დამახასიათებელია XII-XIII სს, უფრო კი XIII ს. სასახლეში ისინი აღმოჩნდნენ XIII ს. განადგურებულ და დამწვარ ფენაში, ამ ხანის აგურფენილ იატაკზე; ასე რომ ეს ნიმუშები შეიძლება კონკრეტულად XIII ს. დათარიღდეს.

ფ ლ ა კ ო ნ ი ს რამდენიმე ნატეხი გვაქვს: შვერილიანი ყური (ტაბ.XLI,6), რომელიც კორიდორში, XIII ს. თიხატკეპნილ იატაკზე აღმოჩნდა და პირ-ყელის ნატეხები (ოთახი IV,VII).[2] ეს ნატეხები ეკუთვნის განვითარებული შუა საუკუნეების I ტიპს, რომელიც ზოგადად XII-XIV სს. თარიღდება [64, გვ.44-45, ტაბ.X]. სასახლეში აღმოჩენილი ნიმუშები XIII საუკუნეს განეკუთვნება.

---

[1] 04-82-30; 04-85-695; 04-74-1975; 04-81-83.

[2] 04-74/1468,1592; 04-77-3363 და სხვა.

ლ ა მ პ ა რ ი. განვითარებულ შუა საუკუნეებში არსებობას განაგრძობს პატარა ყურებიანი ჩამოსაკიდებელი ლამპრები [63, გვ.33]. ადრეული შუა საუკუნეების ამგვარი ლამპრებისაგან განსხვავებით ისინი უმეტესად მწვანე მინისაგანაა დამზადებული, ყურები კი უფრო დიდი და ხშირად განსხვავებული ფერისაა. პირი გადმოკეცილი აქვთ.

მინის ლამპრის ნატეხები[1] I, IV, VI ოთახებიდან და აბანოდან. ანალოგიური ნიმუშები აღმოჩენილია თბილისში, დმანისში, ლამაზი გორის სამონასტრო კომპლექსში [64, გვ.47; 66, გვ.134].

შ ი ბ ა ქ ი ს - საკვნე მოწყობილობის 6 ნატეხია[2] (ოთახი II,VII, კორიდორი) თითქმის ყველა XIII ს. დამწვარი ფენიდან მომდინარეობს. შიბაქი მრავლად გვხვდება განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში. მათ ანალოგები ეძებნებათ აზერბაიჯანსა და შუა აზიის XII-XIII სს. მასალებს შორის [85, გვ.129].

## მინის სამკაული

სასახლეში მინის სამკაული წარმოდგენილია სამაჯურებით და მძივებით.
რუსეთისა და საქართველოს მინის სამკაული შესწავლილი აქვთ ტექნოლოგიური ჯგუფების გამოყოფით (ტექნიკისა და სხვა დამატებითი ხერხების საფუძველზე) არქეოლოგიური მინის ისეთ მკვლევარებს, როგორიცაა ზ.ლვოვა, ი.შჩაპოვა, მ.პოლუბოიარინოვა, რ.დოლაბერიძე [122, გვ.307-332; 144, გვ.102-133; 138; 112]. ჩვენც ვიზიარებთ კვლევის ამ მეთოდებს.

ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი. მინის სამაჯურების დამზადების ტექნოლოგიის შესახებ მეტად მდიდარ და ხელშესახებ მასალას გვაძლევს საქართველოში ნ.უგრელიძის მიერ გათხრილი ორბეთისა და ნატბეურის მინის საწარმოებში აღმოჩენილი სამაჯურები [52,53,54].

რუსთავის მინის სამაჯურების შესწავლისას გამოვყავით 4 ტექნოლოგიური ჯგუფი: 1.სამაჯურები, რომლებიც დამზადებულია მრავალგანივკვეთიანი ღეროს გაჭიმვით; 2.სამაჯურები, რომელთა გაჭიმვა ხდებოდა სიბრტყეზე მოთავსების შემდეგ; 3.სამაჯურები ფიგურული ღეროთი და 4.გრეხილი სამაჯურები.

საერთოდ, რუსთავში აღმოჩენილი მინის სამაჯურები ადრეულ და განვითარებულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. დიდ უმრავლესობას წარმოადგენს განვითარებული შუა საუკუნეების სამაჯურები. IX-XIII სს. სასახლეში აღმოჩენილი სამაჯურები ზოგადად ასევე თარიღდება. 55 ნატეხიდან I ოთახში არის -9 ცალი; II - 7; III - 4; IV - 13; V - 2; VI - 6; VII - 6; კორიდორში - 8. თითქმის ნახევარი შავი მინისაგანაა დამზადებული.

---

[1] რ-59-1137, რ-61-4026; 04-77-2914; 04-81-115.
[2] 04-74-1306, 04-76-2691, 04-77-3378, 04-85-71. მილის დმ. -1,5-1,7 სმ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანარჩენი არის სხვადასხვა ელფერის მწვანე -9, ლურჯი -5, დახშული ცისფერი -2, მოყვითალო -3.

ზემოთ აღნიშნული 4 ტექნოლოგიური ჯგუფიდან სასახლის სამაჯურებში წარმოდგენილია ოთხივე.

I ჯ გ უ ფ ი. სამაჯურები, რომლებიც დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროს გაჭიმვით. შემკულობის მიხედვით გამოყოფილია ტიპები.

I,1. - მრგვალგანივკვეთიანი სადა სამაჯურები -33 ნატეხი. ეს ტიპი (ტაბ.XLII, 1,2,4,6,8,9) გვხვდება ყველა ოთახში, უფრო მეტად კი I, IV ოთახში და კორიდორში. შავი მინის 16 ნატეხია,[1] სხვადასხვა ელფერის მწვანე -6[2] და ლურჯი -4;[3] დახშული ცისფერი, რომელიც იშვიათად გვხვდება საქართველოში -2;[4] მოყვითალო -3;[5] წვრილი ღეროთი გამოირჩევა ორი -მწვანე და ლურჯი ნატეხი.[6]

მრგვალგანივკვეთიანი სადა სამაჯურები საქართველოში სხვა ტიპებთან შედარებით ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება. ასეთი ვითარებაა კავკასიაში, ძველ რუსეთში, უფრო შორეულ ქვეყნებშიც. ამგვარი სამაჯურები აღმოჩნდა XII-XIII სს. ნასახლარ იზიასლავში [127, გვ.273,274]; აგრეთვე, სელიტრენის ("ოქროს ურდოს" დედაქალაქი სარაი-ბათუ) ნაქალაქარზე, ამ ბოლო ხანებში, გათხრილ XII-XIV სს. მინის სახელოსნოში [100, გვ.213-215, 218].[7]

I,2. -მრგვალგანივკვეთიანი სადა სამაჯურები, რომლებიც შეერთების ადგილას დაკბილულია. ასეთია ერთი, შავი სამაჯურის ნატეხი (ტაბ.XLII,3). შემკობის ეს ხერხი ქართული მინის სამაჯურებისათვის XII-XIII სს. არის დამახასიათებელი [11, გვ.106].

I,3. -მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურები, შემკული ჩვეული ძაფებით. ასეთი 4 ნატეხია; 3 შავღეროიანია, რელიეფურად და არასიმეტრიულად გადახვეული აქვს თეთრი დახშული მინის ძაფი (IV ოთახი).[8] იშვიათი შემთხვევაა, როცა ღეროც და ძაფიც ფერადია; ასეთი ერთი ნიმუშია (II ოთახი): ღერო - ღია მწვანე, გამჭვირვალე, თანაბარი ინტერვალებით გადახვეულია 3-3 ბადრიჯნისფერი ძაფი.[9]

შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ძაფებით შემკული მინის სამაჯურები დამახასიათებელია რუსთავისათვის. იგი მრავლადაა ნაციხარზეც და ნაქალაქარზეც; გვხვდება აგრეთვე დმანისში [11, გვ.107, ტაბ.I,4]; ნადარბაზევის სასახლეში [27, გვ.128-

---

[1] რ-61-4025, რ-65-5529; 04-74/917, 1411; 04-77/3371; 04-81/698, 173 და სხვ.
[2] რ-65-6561, 6654; 04-75/2200, 2334; 04-76-2505; 04-77-3200 და სხვ.
[3] რ-65-6219; 04-85/8, 44.
[4] რ-65-6561; 04-74-1411.
[5] 04-74-1950; 04-81-73; 04-85-6.
[6] 04-75-2334; 04-77-3200.
[7] ავტორის თქმით, კლასიფიკაცია რ.დოლაბერიძის მიხედვით აქვს გაკეთებული.
[8] რ-61/4025, 4068, 4124.
[9] 04-74-1305.

129]; ძველ გაგაზში [74, გვ.58, სურ.22,1]; არეშში [75, გვ.116,117]; ციხისძირში,[1] სვანეთში (მარგიანალის ეკლესიიდან) [58, გვ.53, ტაბ.XXXIII]; არის წმ. კვირიკეს ეკლესიაში, კალაში. როგორც ჩანს, ესენი შეწირულია. ამგვარი სამაჯურები გვაქვს სელიტრენის ნაქალაქარზე გათხრილ მინის საწარმოდანაც [100, გვ.219, სურ.3, №29].

II ჯ გ უ ფ ი. სამაჯურები, რომელთა გაჭიმვა ხდებოდა სიბრტყეზე მოთავსების შემდეგ. მათ შიდა პირი ბრტყელი აქვთ, ზედაპირი კი ამობურცული; ზედაპირის შემკულობის მიხედვით გამოყოფილია ტიპები და ქვეტიპები [11, გვ.107-109]. სასახლიდან გვაქვს მხოლოდ I ტიპის 1-ლი ქვეტიპი -სადა ზედაპირიანი სამაჯურები (ტაბ.XLII,10). შესაძლებელია ერთი ნიმუშის თარიღის დაზუსტება: ეს არის შავი მინის მოზრდილი სამაჯურის ნატეხი,[2] რომელიც აღმოჩნდა კორიდორის XIII ს. იატაკის ქვეშ; ასე რომ იგი XII ს-ზე გვიანდელი არ იქნება.

III ჯ გ უ ფ ი. სამაჯურები ფიგურული ღეროთი. ღერო მიიღება სამკუთხა ყალიბში გატარებით, ამიტომ სამაჯური ჭრილში სამკუთხედია. ასეთი ნატეხია (ტაბ. XLII,7) ლურჯი მინისა, ძალიან დაბალი ქედით. იგი აღმოჩნდა VI ოთახში, სადაც ერთმანეთშია არეული XI ს. (1065წ.) და XIII ს. (1265 წ.) განადგურების შემდეგ მიღებული ნანგრევ-ნაყარი. სამაჯურის ეს ტიპი თითქმის არ გვხვდება XII-XIII სს. ასე რომ აღნიშნული ნატეხი უფრო X-XI სს. უნდა ეკუთვნოდეს.

IV ჯ გ უ ფ ი. გრეხილი სამაჯურები. ისინი სადა, მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურების შემდეგ ყველაზე უფრო გავრცელებულია. გვხვდება მრავალგვარად გრეხილი სამაჯურები.

I ტიპი -ყალიბში გატარებული მრგვალი, დაღარული ღეროს დაგრეხით მიღებული სამაჯურები. იგი იყოფა ქვეტიპებად, იმის მიხედვით, თუ როგორ არის ღერო დაღარული და დაგრეხილი.

I,1 ტიპი -წვრილად და მჭიდროდ გრეხილი სამაჯურები. ასეთი მხოლოდ 1 ნატეხია, შავი მინის (რ-65-6003).

I,2 ტიპი -წვრილად და გაშლილად გრეხილი სამაჯურები. ასეთი 6 ნატეხია შავი და სხვადასხვა ელფერის მწვანე მინისა (ტაბ.XLII,14)[3] , ზოგი (ოთახი IV) ძალიან ლამაზი ზურმუხტისფერია, რომლებშიც გალანდვით ზიგზაგები ჩანს.

II,1 ტიპი -მსხვილად და მჭიდროდ გრეხილი სამაჯურების 2 ნატეხია, შავი და მწვანე მინისა (ოთახი II,VII).[4]

---

[1] აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ბათუმში, ექსპოზიცია.

[2] 04-85-702; დმ. -7 სმ.

[3] რ-61-4068; რ-65/6635, 5529; 04-74/12,17,1369.

[4] 04-74-784; 04-82-122.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II, 2 ტიპი -მსხვილად და გაშლილად გრეხილი; მხოლოდ ერთი ნატეხია შავი მინისა (ტაბ.XLII,15).

III ტიპი -დიდ-პატარა ინტერვალებით გრეხილი. აღებულია 3 ღერო, ორი თანაბარი ზომის, ერთი უფრო მსხვილი; ამიტომ გადაგრეხვის შედეგად გამოდის ერთ მოზრდილ ინტერვალს შორის ორ-ორი თანაბარი. ამგვარი სამაჯურის სამი ნატეხი (ტაბ.XLII,12,16), დამზადებული შავი, კრიალა მინისაგან.

IV ტიპი - ოთხკუთხა ღეროს გრეხვით მიღებული სამაჯურები. ღერო ყალიბში მზადდება და მერე იგრიხება. გრეხვა თანაბარია და ლამაზი გამოდის. ასეთია შავი კრიალა მინისაგან დამზადებული სამაჯურის ნატეხი I ოთახიდან (ტაბ.XLII,5).

V ტიპი - წვრილად დაღარული ორი არათანაბარი სისქის ღეროების გრეხილი. ზედაპირი მეტ-ნაკლებად რელიეფურია. ასეთი 2 ნატეხია (ოთახი II,III); მინა შავია, კრიალა (ტაბ.XLII,17).

გრეხილი სამაჯურები ისევე ფართოდაა გავრცელებული სხვა ქვეყნებში, როგორც საქართველოში. აქ აღმოჩენილ გრეხილ სამაჯურებს ანალოგები ბლომად მოეპოვება.

როგორც საერთოდ რუსთავში, სასახლეშიც სამაჯურები საკმაოდ მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი. არის ტიპები, რომლებიც მხოლოდ რუსთავისთვისაა დამახასიათებელი; მაგ: ძაფებით გადახვეული, ინტერვალებით გრეხილი და სხვა. აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ ტიპის სამაჯურს გამორჩეული, ერთი და იმავე ფერის მინისაგან ამზადებენ ხოლმე.

მ ძ ი ვ ე ბ ი. რუსთავის სასახლიდან სულ 11 მძივი და მძივსაკიდია. აქედან უმეტესობა ფაიანსისაა (იხ.ზემოთ), 2 -ქვის, 1 -კვარცის, ოვალური, საკმაოდ მოზრდილი, რომელიც გახვრეტილი არ არის (ტაბ.XLII,13), 1 -ქარვის და 1 -მინის.

საერთოდ, რუსთავში აღმოჩენილ მრავალრიცხოვან (600-მდე) სხვადასხვა მასალისაგან დამზადებულ მძივებსა და მძივსაკიდებს შორის ერთ-ერთ საინტერესო ჯგუფს და რაოდენობრივად ნახევარზე მეტს, მინის მძივები და მძივსაკიდები წარმოადგენს; სასახლეში კი მინის მხოლოდ ერთი მძივია.

დამზადების ტექნიკის მიხედვით ეს მძივი განეკუთვნება I ჯგუფს -დამზადებულია მყარ ღეროზე გამდნარი რბილი მინის მასის დახვევით [112, გვ.15]. ცისფერი, დახშული მინის მძივი[1] ამ ჯგუფის I ტიპის 1 -ელ ქვეტიპს წარმოადგენს. იგი არაწესიერი სფერულია, სადა, ზედაპირი დაკეჭნილი, გაფუჭებული აქვს.

ამ ტიპის მძივები მრავლადაა როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ. ისინი XII-XIII სს. თარიღდება.

---

[1] 04-77-3232.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაქალაქარებიდან XII-XIV სს. სარკმლის მინა ყველაზე დიდი რაოდენობით რუსთავიდანაა. აქ აღმოჩენილი 528 ნატეხიდან კი 474 -რუსთავის სასახლეს უკავშირდება.

სარკმლის მინა უმეტესად წარმოდგენილია კიდეების და პატარა ნატეხების სახით; მაგრამ გვაქვს ფირფიტის შუაგულებიც (35 ერთეულამდე), რომელთა მიხედვით შესაძლებელი გახდა ტიპების გამოყოფა.

სარკმლის მინა დამზადებულია ორნამენტიან ყალიბში. ფირფიტა მრგვალ-ბრტყელია, არათანაბარი სისქის და სხვადასხვა ზომის, კიდეგადმოკეცილი;[1] კიდის გადმოკეცა ხდებოდა მაშებით, ფირფიტის ხელმეორედ გახურების შემდეგ. ზედაპირი, რომელზედაც კიდეა გადმოკეცილი, შემკულია რელიეფური ორნამენტით, მინა სხვადასხვა ელფერის მწვანე, ლურჯი, მუქი ღვინისფერი ან უფერულია, კრიალა, მეტ-ნაკლებად ბუშტულებიანი და გამოფიტული.

XII-XIV სს. სარკმლის მინის შესწავლისას გამოყოფილი 5 ტიპიდან რუსთავში გვაქვს 4 [65, გვ.81,82].

I ტიპი -ფირფიტა შემკული თერთმეტსხივიანი მზით, რომლის გარშემო ბადისებრი ორნამენტია (ტაბ. XLIII,1,2). ორნამენტი რელიეფურია, განსაკუთრებით „მზე". ამ ტიპის 36 ნატეხია.[2] გაირკვა, რომ I ტიპის სარკმლის მინის ფირფიტები სიღრმითა და პროპორციებით განსხვავებულ ორ ყალიბშია დამზადებული. უმეტესობა ძალიან კარგი ნახელავია.

ანალოგიური ორი ნატეხია რუსთავის ნაქალაქარიდან,[3] ერთი ნადარბაზევიდან (ს.წ. №233).

II ტიპი შემკული ცენტრიდან გამავალი მსხვილი სხივებით, რომლის გარშემო ბადისებრი ორნამენტია. სასახლიდან ასეთი 2 ნატეხია.[4] ეს ტიპი გვაქვს ნადარბაზევიდან, გუდარეხიდან, დმანისიდან და თბილისიდან [65, გვ.81].

III ტიპი (შეესაბამება საქართველოსთვის გამოყოფილ IV ტიპს) -ფირფიტა შემკული რვა კაუჭისაგან შემდგარი ვარდულით, რომლის გარშემო წერტილები და სხივებია (ტაბ.XXVII, 2). მინა მწვანეა, გამოფიტული. სასახლიდან ასეთი 5 ნატეხია.[5] ანალოგიური ნიმუშებია გუდარეხიდან და დმანისიდან [65, გვ.82].

---

[1] ფირფიტის დმ. -16-25 სმ. უმეტესად 22 სმ; სისქე -2-6 სმ; კიდის სიგ. -0,8-1,5 სმ. უმეტესად -1 სმ. ხშირად კი არათანაბარი სიგანისაა. ყველა ფირფიტას აქვს საბერავი მილის კვალი, დმ. -1,2-1,4 სმ.

[2] რ-61/3370,4105; რ-65-6009; 04-74/1799,1588; 04-75/2074,2123 და სხვ.

[3] რმმ, №№760,1644.

[4] რ-59/293,1353. სხივის სიგრ. -3 სმ.

[5] 04-74/700,5862; 04-75-2122.

IV ტიპი (შეესაბამება V ტიპს) - ფირფიტა შემკული ექვსქიმიანი ამონაღარუბიანი ვარსკვლავით, რომლის მკლავებს შუა და გარშემო ერთმანეთში ჩამჯდარი რომბები და პატარა ოვალებია; რელიეფი კიდეებისკენ დაბლდება (ტაბ.XXVII,3); ამ ტიპის სარკმლის მინა[1] უმეტესად მუქი ღვინისფერია, რომელიც სხვა ტიპებში არ გვხვდება. არის მწვანეც. ანალოგიური ნიმუშები, ძირითადად მწვანე მინისა, გვაქვს დმანისიდან და ყინწვისიდან [65, გვ.82].

როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე დიდი რაოდენობით გადმოკეცილი კიდის ნატეხებია (ტაბ.XLIII,3). მხოლოდ კიდის ნატეხები გვაქვს თბილისის კერამიკული სახელოსნოდან, ყინწვისიდან და ალავერდიდან.[2] ამ ხანის სარკმლის მინის ერთი ნატეხია ვარძიიდან [26, გვ.59].

ზემოთ აღინიშნა, რომ რუსთავში არ არის წარმოდგენილი ერთი ტიპი, კერძოდ, III- ფირფიტა შემკული რვაფურცელა ვარდულით, რომელსაც გარშემოუყვება მანები. ეს ტიპი გვაქვს ნადარბაზევში და გეგუთში [65, გვ.82].

მიუხედავად საერთო მსგავსებისა, სხვადასხვა ძეგლებიდან მომდინარე სარკმლის მინა მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან. მრავალფეროვნებით და მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა რუსთავისა და ნადარბაზევის სარკმლის მინა. დმანისსა და გუდარეხში, ძირითადად მწვანე ან მომწვანო-მოყვითალო ფერის ნიმუშებია. ისინი ერთმანეთს ემსგავსებიან ორნამენტითაც და ნახელავითაც. ერთფეროვნებითა და დაბალი ხარისხით გამოირჩევა ყინწვისის სარკმლის მინა.

აღნიშნული ძეგლების ქრონოლოგიის დაკონკრეტებამ და შემდეგ შედარებამ, გასაგები გახადა მათი ოხრისას აღმოჩენილი სარკმლის მინის ის მსგავსება-განსხვავება, რაც დაგვანახვა ტიპოლოგიურმა ანალიზმა. გაირკვა [65, გვ.83-85], რომ I და II ტიპი გვხვდება XII-XIII საუკუნის I ნახევარში (ნადარბაზევი, რუსთავი); III ტიპი გაბატონებული ჩანს XII ს-ის II ნახევარში -XIII ს-ის დასაწყისში (გეგუთი, ნადარბაზევი), IV ტიპი (რუსთავისათვის -III) -XII-XIII სს. (რუსთავი, გუდარეხი, დმანისი), ხოლო V ტიპი (რუსთავისათვის -IV), როგორც რუსთავის ნაციხვარის მასალებით გაირკვა, ჩნდება XII ს. მიწურულს, უფრო კი XIII ს. დასაწყისში.

ზემოთ აღვნიშნავდით, რომ რუსთავის სასახლე არა ერთხელ შეუკეთებიათ თუ განუახლებიათ. სარკმლის მინის IV ტიპი უნდა უკავშირდებოდეს მის ბოლო შეკეთება-განახლებას, რაც უნდა მომხდარიყო მაშინ, როდესაც რუსთავი და მისი მიმდებარე სოფლები საპატრონოდ ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელს გადასცეს, დაახლოებით 1191

---

[1] რ-59-1315; რ-65/5592,6655; 04-74/1840,1911,1746,1676,1590; 04-75/2025,2073,2236; 04-76-2506; 04-82-13 და სხვ.

[2] სსმ, ინვ. №1-54/99,498; შემოხვეული შემოსულობათა ფონდი, ინვ. №40-67:1; ნატეხი ალავერდიდან გადმოგვცა ოთ. თორთლაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს [47, გვ.75-76]. ეს ტიპი მხოლოდ სასახლის ნანგრევებში აღმოჩნდა და ძალიან დიდი რაოდენობით.[1]

ამგვარად, რუსთავის სასახლეში აღმოჩენილი სარკმლის მინა XII-XIII სს. განეკუთვნება (1265 წლამდე). მისი IV ტიპი კი XII ს. მიწურულს, უფრო კი XIII ს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს ტიპი (საქართველოსთვის V) არსებობას განაგრძობს XIV ს. - დმანისი, ჟინვალი. ამ უკანასკნელში მხოლოდ ეს ტიპია წარმოდგენილი.

საქართველოს ამ ხანის სარკმლის მინას ანალოგი არ ეძებნება. სომხეთში, ძველ რუსეთში, შუა აზიაში, საბერძნეთში, დასავლეთ ევროპაში აღმოჩენილი სინქრონული მინა უმეტესად ერთფეროვანი და გლუვია, არ არის შემკული რელიეფური ორნამენტით [65, გვ.85; აქვე ის. ლიტერატურა], რაც ესოდენ დამახასიათებელია ქართული სარკმლის მინისათვის.

ამ ხანის საქართველოში, ისევე როგორც ადრეულ შუა საუკუნეებში, ე.წ. ვიტრაჟების ხელოვნებასთან გვაქვს საქმე; ტიპოლოგიურად კი სარკმლის მინები სხვადასხვაგვარია.

დასავლეთ ევროპისაგან [116, გვ.175-188; ტაბ.138-146] განსხვავებით, ჩვენში სარკმლის მინაზე მხატვრობა არ გავრცელებულა. საქართველოს განვითარებული შუა საუკუნეების ვიტრაჟის ხელოვნება ადგილობრივი ტრადიციების გზით განვითარდა. ამ ხანის აქაური სარკმლის მინა შემკულია რელიეფური ორნამენტით, რომელიც ეწყობოდა სასახლეებისა და ტაძრების, კერძოდ, მათ სარკმელთა საპირეების ქვაზე ნაკვეთ ორნამენტს.[2] ორნამენტის ეს სახეები -„მზე", „ბადე", „ვარდული", „ვარსკვლავი", „რომბი" იმ დროინდელ საქართველოში გვხვდება ქვაზე [5, ტაბ.33; 56, გვ.49,58-62; 78,80,84; 139, გვ.311; 96, ტაბ.122]; ხეზე [102, გვ.131; ტაბ.212,213; 96, ტაბ.169], ლითონზე [140; ტაბ.236,381,390; 1, ტაბ.22; 7, გვ.6,7], კერამიკაზე [37, გვ.34,35,71, ტაბ.XXIV, XXV, XXXVIII, XLIII, LXIII] და, როგორც დავინახეთ, მინაზეც. ორნამენტის ყველა ეს სახე დამოწმებულია ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც, როგორც ხესა და ლითონზე, ისე ქსოვილზე [4, გვ.25, სურ.25; 50, გვ.25,26; 51, გვ.54-64].

საქართველოში აღმოჩენილი განვითარებული შუა საუკუნეების სარკმლის მინა ადგილობრივ ნაწარმს წარმოადგენს. რუსთავში მოპოვებული ნიმუშები კი თვით რუსთავის მინის წარმოების კუთვნილია. სარკმლის მინის ადგილობრიობას მხარს უჭერს ქიმიური ანალიზების შედეგებიც [43, გვ.98-109]. მათი წარმოება იმდენად ფართო ყოფილა, რომ საქართველოდან გაუტანიათ კიდეც (ჩრდ. კავკასია, სომხეთი).

---

[1] რუსთავში ცოტაა II და III ტიპი, უფრო მრავლადაა -I ტიპი; ყველაზე მეტია -IV ტიპი.

[2] სარკმლის მინის ორნამენტიანი მხარე ფასადური უნდა ყოფილიყო; როგორც ვიცით, ამ ხანის ტაძართა სარკმლები გარეთ შევიწროებულია, შიგნით -ღრმა და გაფართოებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

რუსთავის სასახლეში აღმოჩენილი მინის ნაწარმისათვის ანალოგიების მოტანისას ჩვენ გზადაგზა ვუთითებდით სხვა საერო სასახლეებიდან მომდინარე ნაწარმსაც. ახლა გვინდა მთლიანობაში ერთმანეთს შევადაროთ მასალები რუსთავის, გუდარეხის, ნადარბაზევის და გეგუთის სასახლეებიდან.

გეგუთიდან სულ 6 ნატეხია: სარკმლის მინის კიდის, ძირ-ქუსლის, რომელიც ძალიან ჰგავს ძაბრისებრ სასმისს, ოღონდ დიდია და პატარა, უსახური კედლების.[1]

გუდარეხიდან 39 ნატეხია: 19 -ჭურჭლის, 13 -სარკმლის მინის, 3 -სამაჯურის, 4 -მძივი. როგორც ვხედავთ, აქ მინის ნაწარმი მრავალფეროვანია. აღსანიშნავია, რომ ჭურჭელი თითქმის მხოლოდ სასმისებითაა წარმოდგენილი და თანაც საუკეთესო ნიმუშებით. არ არის მხოლოდ V ტიპი. რუსთავის სასახლეშიც ჭურჭლის (86 ნატ.) ნახევარზე მეტი სასმისებია -ხუთივე ტიპი. სარკმლის მინა გუდარეხში ერთფერია -მწვანე და მხოლოდ ორი ტიპი (II, III); სამკაული მცირერიცხოვანია.

ნადარბაზევში ძირითადად სარკმლის მინაა წარმოდგენილი: 66 ნატეხიდან -50; ჭურჭლის -8; სამაჯურის -8. სარკმლის მინის სამი ტიპია (I, II, III): მინა -კარგი ხარისხის, ფერები ლამაზი -მსუყე და ხასხასაა; ამ მხრივ იგი მხოლოდ რუსთავს შეედრება. ჭურჭლებიდან აღსანიშნავია 3 ძაბრისებრი სასმისის ნატეხი, ხოლო სამაჯურებიდან გამოირჩევა ერთი ნატეხი,[2] უფერული, გამჭვირვალე მინისა, რომელიც ძალიან ლამაზი და კარგი ნახელავია; იგი წვრილად და დიდი ინტერვალებითაა გრეხილი, ღეროში კი მომსხო, დაკლაკნილი, ცისფერი ძაფია გატარებული [31, გვ.37]. რუსთავის სასახლის მინის სამაჯურები შედარებით მრავალრიცხოვანია, მაგრამ განსაკუთრებული ნიმუშები არ შეგვხვედრია.

როგორც დავინახეთ, რუსთავის სასახლიდან მომდინარე მინის ნაწარმი ყველაზე მრავალრიცხოვანი და მარავალფეროვანია. გეგუთიდან მასალა ძალზე ცოტაა. სასმისების მრავალფეროვნებით ერთმანეთს ემსგავსება რუსთავისა და გუდარეხის, ხოლო სარკმლის მინით რუსთავისა და ნადარბაზევის მასალები.

რუსთავის სასახლის და ნამოსახლარებიდან მომდინარე მინის ნაწარმის ურთიერთშედარებამ გვიჩვენა, რომ მინის ჭურჭლის საუკეთესო ნიმუშები სასახლიდანაა; სარკმლის მინა კი თითქმის მთლიანად სასახლეს უკავშირდება. როგორც ვიცით, ამ ხანის სარკმლის მინას ძირითადად ტაძრებისა და სასახლეებისთვის იყენებდნენ, იშვიათად მდიდართა სახლებისათვის (რუსთავის ნაქალაქარი, დმანისის დედაციხე).

[1] სსმ, ინვ. №№2622-2626; ძირ-ქუსლის დმ. -8 სმ.
[2] ს.წ. №№160,162,183.

სხვაგან, მაგ., ძველ ნოვოგრუდკაში (ბელორუსია) XII-XIII სს. ორსართულიანი, სარკმლებიანი სახლების დიდკაცებისათვის მისაკუთვნებლად ერთ-ერთ პირობად თვლიან, რომ მასში, მდიდარი, სპეციფიკური, კერძოდ, იმპორტული ნივთებია აღმოჩენილი [106, გვ.77].

როგორც ზემოთ აღინიშნა, მტრის შემოსევებისას სასახლის მკვიდრნი ყველაზე ადრე სტოვებენ თავიანთ სამყოფელს და თან მიაქვთ ძვირფასეულობა - ძირითადად ძვირფასი ლითონის ნაწარმი. რაც შეეხება მინას, საქართველოს საერო სასახლეებში, საღღეისოდ, მინის იმპორტი არ შეგვხვედრია.

საეროოდ, განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში, შედარებით ადრეულ შუა საუკუნეებთან, ნაკლებად გვაქვს იმპორტული მინა [141, გვ.179-180]. ეს აიხსნება იმით, რომ ამ ხანაში მინის წარმოება საქართველოში მეტად ფართოდაა გავრცელებული და მაღალ დონეზე დგას. ამის მაგალითად, XII-XIII სს. სასმისებისა თუ სარკმლის მინის დასახელებაც კმარა. ისინი, მინის სამკაულთან ერთად ექსპორტის საგანს წარმოადგენდა (ამიერკავკასია, ჩრდ. კავკასია, სამხ. რუსეთი). [65, გვ.87; 64, გვ.69,70,72; აქვე იხ. ლიტ-რა].

ჩვენს მიერ განხილული სასახლეებიდან მომდინარე მასალები ადგილობრივი,ქართული მინის წარმოების კუთვნილია; რუსთავში აღმოჩენილი ნიმუშები კი - თვით რუსთავის მინის წარმოებისა. ამგვარად, განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს საერო სასახლეებში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი და სამკაული, როგორც დავინახეთ, არც თუ მრავალრიცხოვანია. იგი ასორტიმენტით თითქმის არ განსხვავდება ამავე ხანის ნამოსახლარებიდან მომდინარე მასალებისაგან, ესაა რომ სასახლეებში უკეთესი ნიმუშებია წარმოდგენილი. სარკმლის მინა კი ძირითადად სასახლეებს უკავშირდება.

## §4. ლ ი თ ო ნ ი ს  ნ ა წ ა რ მ ი

ლითონის ნაწარმიდან გვაქვს ბრინჯაოს, სპილენძის და განსაკუთრებით მრავლად რკინის ნივთები. დანიშნულების მიხედვით რამდენიმე ჯგუფი გამოიყო: საოჯახო ჭურჭელი, საგანგებო დანიშნულების საგნები, საბრძოლო თუ სამეურნეო ხელსაწყო-იარაღები, სამკაული.

საოჯახო ჭურჭლებიდან უნდა დავასახელოთ: ქვაბი,[1] სპილენძის, მოზრდილი, თხელფურცლიანი, პირზე სალტეთი, რომელიც მანჭვლებითაა დამაგრებული; ასევეა დამაგრებული კედლის ფურცლები. ძირი არ არის შემორჩენილი. იგი გაჭყლეტილ მდგომარეობაში იდო XIII ს. აგურფენილ იატაკზე (ოთახი I).

[1] 04-75-2143. ქვაბის დმ-25 სმ, შემორჩ. ს. -14 სმ, სალტეს სიგ. -1 სმ.

ლამბაქის პირ-კედლის ნატეხი, სპილენძის. იგი სქელფურცლოვანი ფირფიტისგან არის ნაჭედი და საკმაოდ ღრმა ჩანს (ტაბ.XLIII,5). აქვს სწორი კიდითა, ფართო, ჰორიზონტალური ბაკო, რომლის ნაპირი დაკბილულია -ერთმანეთს ენაცვლება ნახევარწრიული და სამკუთხა შვერილები; ამოკაწრული წრიული ორნამენტი ძლივსღა ემჩნევა. იგი მასიური მდიდრული ჭურჭლის შთაბეჭდილებას სტოვებს.[1] ლამბაქი აღმოჩნდა კორიდორში; თანმხლები მასალებით იგი XI ს. თარიღდება.

საგანგებო დანიშნულების ნივთებიდან აღსანიშნავია სპილენძის ჭრაქი (ოთახი I), ნიჟარისებრი, წაწვეტებული ტუჩით; ოდნავ შეზნექილი ბრტყელი ძირით. დამზადებულია ცალკ-ცალკე და შერეა ერთმანეთზე მირჩილული. მირჩილვის კვალი აშკარად ეტყობა, რადგან შეერთების ადგილას, ძირის ირგვლივ, სპილენძის ფურცლები გადახსნილია (ტაბ.XLIII,4).[2]

ანალოგიური ჭრაქი არის დმანისიდან, სომხეთიდან (გარნისი), აზერბაიჯანიდან (ორენ-ყალა); თარიღად მიღებულია XI-XIII სს. [17; გვ.137; ტაბ.I,4; აქვე იხ. ლიტ-რა]. ასევე თარიღდება რუსთავის ჭრაქიც.

გვაქვს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული რაღაც ცხოველის სქემატური გამოსახულება (ოთახი VII), დამზადებული ორნამენტიან ყალიბში. გამოსახულება პროფილშია, შიგნიდან ღრუ; ყელზე წიბო შემოუყვება და თავზე თითქოს ყურები აქვს (ტაბ.XLIII,6). როგორც ლიტერატურაშია ცნობილი, ასეთ საგნებს იყენებდნენ სახელურად, ჯოხზე ჩამოსაცმელად ან ტახტის თუ სავარძლის მოსართავად. ანალოგიური ნივთი არის დმანისში; ლ.მუსხელიშვილმა მას ქობანი უწოდა და დაათარიღა XI-XIII სს. [40, გვ.445, სურ.90; 124, გვ.281, სურ.12]. ანალოგიური ნიმუშები არის სომხეთში (ანისი), თარიღდება XII-XIII სს. [87, გვ.71,72,29, ტაბ.III,6,9].

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ბრინჯაოს ჭვირული ნივთი - შტანდარტი (ოთახი I), რომელიც აღმოჩენის ვითარებით XIII ს. თარიღდება. იგი დამწვარია და ექვსადაა გატეხილი. შტანდარტი (ტაბ.XLIV) ყალიბშია ჩამოსხმული; სწორკუთხოვანია, ბოლოებ-ჩამოგრძელებული; ორნამენტი რელიეფურია: თავსაბურავიანი მხედარი, რომელსაც ზევით აწეულ ორივე ხელში ხმალი უჭირავს, ზის ტახტრევანზე. ცხენის ფლოქვებქვეშ ვეფხვი თუ ავაზაა გაწოლილი; მეორე ცხოველი კი ცხენის გავასთანაა აღმართული და მიიწევს მხედრისკენ; ეს ლომი უნდა იყოს. ჩარჩოზე ოთხივე მხარეს არაბული წარწერაა, რომელიც წაიკითხა ც.კახიანმა.[3] მისი წინასწარული დასკვნები ასეთია: წარ.წერა დროთა ვითარებისაგან ალაგ-ალაგ გადაშლილია. სიტყვები არ ქმნიან გაბმულ ტექსტს. ზედა და მარცხენა მხარეს სიტყვები ერთნაირი თანმიმდევრობითაა დალაგებული. ქვემოთ და

---

[1] პირის დმ. -14 სმ, შემორჩ. ს. -2,5 სმ, ბაკოს სიგ. -1,7 სმ.

[2] პირის დმ. -6,5 სმ, ძირის დმ. -5 სმ, ს. -3 სმ, ტუჩის სიგრ. -4 სმ.

[3] ქ-ნ ც.კახიანს მადლობას ვუხდით გაწეული შრომისათვის.

მარჯვენა მხარეს გამოყენებულია იგივე სიტყვები, სხვა თანმიმდევრობით და დამატებულია ერთი განსხვავებული სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთ მხარეს ვკითხულობთ:

1. ერთადერთი, ერთი პიროვნება, შეუდარებელი.
2. სამეფო ტახტი, სამეფო ღირსება, სამეფო ჩინი.
3. წინამძღოლი, ჯავშანი, ჯაჭვის პერანგი.

მარცხენა მხარეს იგივეს ვკითხულობთ, ოღონდ ალ-ფარდ-ს მოსდევს კავშირი და.

ქვემოთა მხარეს იკითხება:

1. ერთადერთი, ერთი პიროვნება, შეუდარებელი.
2. წინამძღოლი, ჯავშანი, ჯაჭვის პერანგი.
3. თავდამსხმელი, შემტევი.
4. ალ-არტიკლი, რომელსაც უნდა მოსდევდეს რაიმე სიტყვა.

მარჯვენა მხარეს იკითხება:

1. კავშირი და.
2. წინამძღოლი, ჯავშანი ჯაჭვის პერანგი.
3. თავდამსხმელი, შემტევი.
4. სამეფო ტახტი, სამეფო ღირსება, სამეფო ჩინი.
5. ალ-არტიკლი, რომელსაც უნდა მოსდევდეს რაიმე სიტყვა.

ბრინჯაოს ნივთებიდან გვაქვს პატარა ჩაქუჩი, რომელიც კარგადაა შემორჩენილი (ოთახიVI). იგი (ტაბ.XLV,1) მრგვალ-ბრტყელია, ბოლოებისკენ შევიწროებული, შუაში ოვალური ნახვრეტით.[1] ფორმით ანალოგიური ჩაქუჩები ცნობილია მჭედლის ხელსაწყოებში აფხაზეთიდან და ჩითახევიდან [91, გვ.38-41; ტაბ.6-3; 13], მაგრამ რუსთავში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჩაქუჩი ისეთი პატარა და მოხდენილია, რომ იგი უფრო იუველირის ან საოჯახო დანიშნულების უნდა იყოს. აღმოჩენის ვითარებით ჩაქუჩი XI-XIII სს. თარიღდება.

ბრინჯაოსა და სპილენძის სამკაულიდან წარმოდგენილია რგოლისებრი ბეჭედი და წვრილი რგოლი, ბოლოებში გადაგრეხილი (საყურე?); ორივე[2] აღმოჩნდა IV ოთახში, XIII ს. იატაკზე მიმობნეულ ამავე ხანის განძთან ერთად. ანალოგიური რგოლისებრი ბეჭდები ცნობილია რუსთავის ნაქალაქარიდან, გუდარეხიდან, დმანისიდან, უჯარმიდან;

---

[1] სიგრ. -7,5 სმ., სიგ. -1,2-2 სმ., ნახვრეტის სიგრ. -2 სმ., სიგ. -0,8 სმ.
[2] 04-75/2106,2107.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს გარეთ გარნისიდან, კაბალადან, ორენ-ყალიდან [10, გვ.184,185]. ამავე ოთახიდანაა სამკაულის რაღაც ნაწილი - ბრტყელი, სამკუთხედისებური ფირფიტა.[1]

კარგადაა წარმოდგენილი განვითარებული შუა საუკუნეებისათვის, კერძოდ, XI-XIII სს., მეტად დამახასიათებელი სპილენძის ნივთები: ყუნწიანი ბურთულა - ღილები - 5ცალი (ოთახი IV,VI),[2] ეჟვნები -3 (ოთახი II,III),[3] აბზინდა -1 (ოთახი V).[4] ბევრია ბრინჯაოსა თუ სპილენძის უსახური ნატეხები, დაფუშნული-დაშლილი ან ერთმანეთზე დადუღებული; გარკვევით ვერაფერს იტყვი, უმეტესობა ბრტყელი ფირფიტებია.

ლითონის ნაწარმიდან ყველაზე მეტი რკინის ნივთებია. იგი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მართალია, ყველა ძლიერ დაჟანგულია და იშლება (ამის შესახებ ცალკეულ ნიმუშზე აღარ აღვნიშნავთ), მაგრამ ძალიან ბევრ მათგანს შერჩენილი აქვს ფორმა და მათი რაობის გარკვევა არ გაძნელებულა. აქ წარმოდგენილია საბრძოლო თუ სამეურნეო ხელსაწყო-იარაღები, საამშენებლო თუ საოჯახო ნივთები და სხვა. აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ მათ ისეთივე ფორმები აქვთ, როგორც თანამედროვე ყოფაში.

სამეურნეო იარაღებიდან წარმოდგენილია წალდი, ნამგალი, ასტამი. წალდის ორი ნიმუშია IV და V ოთახიდან (ტაბ.XLV,7,10); ანალოგები გვაქვს რუსთავის ნაქალაქარიდან და დმანისიდან; თარიღდება XI-XIII სს. [19, გვ.188, სურ.2; 91, გვ.68-72; ტაბ.30,2,3,6]. ნამგალი აღმოჩნდა XIII ს. იატაკზე (ოთახი III). იგი (ტაბ.XLV,8) ძალიან ჰგავს XII-XIII სს. დათარიღებულ ნამგალს დმანისიდან [91, გვ.99-101; ტაბ. 31,13]. ასტამის 2 ერთეულია: ერთი[5] აღმოჩნდა XIII ს. ნაყარში (ოთახი IV), ხოლო მეორე (ტაბ.XLV,9) XIII ს. აგურფენილ იატაკზე (ოთახი I). იგი[6] ორად იყო გატეხილი. ასტამი ცნობილია რუსთავის ნაქალაქარიდან [19, გვ.188, სურ.3] და დმანისიდან [18, ტაბ.LI].

დანის ორი ნატეხი I ოთახიდანაა, ერთი -IV-დან; მეოთხე -III ოთახის XI ს. იატაკიდან (ტაბ.XLV,2).[7] საერთოდ, დანები სხვადასხვა ზომისა და ფორმისაა; ამის მიხედვით სხვადასხვა დანიშნულებაც აქვთ [91, გვ.80-87]. სასახლიდან მომდინარე ნიმუშები თითქმის ყველა ერთი ტიპისაა -ბრტყელი, მოღუნული, წვერწამახული. მათი ანალოგიაა XII-XIII სს. დათარიღებული დანები დმანისიდან, გუდარეხიდან, ვარძიიდან [91, ტაბ.33,1; 33,3; 35,2; 37,7]; არის კავიც, მრგვალღეროვანი,[8] მომდინარეობს VI ოთახიდან. ამავე ოთახიდანაა ორი სოლი: ერთი მრგვალგანივკვეთიანია; გრძელი თავის ნაწილი მოტეხილი აქვს. ფორმა შენარჩუნებულია, ოღონდ იშლება.[9] მეორე - ბრტყელია,

---

[1] 04-75-2187.

[2] 04-81/69,112,114,291; 04-75-2109.

[3] 04-74/1117,1118; 04-75-2248.

[4] 04-75-2338.

[5] 04-75-2033.

[6] პირის დმ. -7,5 სმ., სახელურის შემორჩენილი სიგრ. -14 სმ.

[7] რ-65-6324; 04-76-2895; 04-85-20; 04-75-2163; სიგრ. -8 სმ., სიგ. -1,2 სმ.

[8] 04-76-2596.

[9] 04-81-255. შემორჩ. სიგრ. -10-11 სმ., სისქე -2-3 სმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცულისებრი ფორმის (იქნებ ცულიცაა?); თავი მსხვილია, მერე თანდათან გაბრტყელებული, ჩასარჭობად.[1]

საბრძოლო იარაღებიდან არის მაყარო (ტაბ.XLV,3; ოთახი I). ანალოგიურია რუსთავის ნაქალაქარზე [19, გვ.188; 73, ტაბ.XXXVIII]. დაშნა,[2] თავგანიერი, ღეროშევიწროებული; ლულისებრი რკინის ნივთი (ოთახი III),[3] რომლის დანიშნულებაც გაურკვეველია.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ VII ოთახიდან მომდინარე ორკაპისებური საგნები, ჯაჭვები; ვფიქრობთ, ისინი ცხენის აღკაზმულობის ნაწილებს უნდა წარმოადგენდეს (ტაბ.XLV,4).

უამრავია სხვადასხვა ზომის რკინის ლურსმნები. მათ იყენებდნენ სხვადასხვა საქმეში -სამშენებლო, სადურგლო, საოჯახო, ცხოველთა დანაყლისათვის და სხვა. ლურსმნებთან ერთად უნდა აღინიშნოს ნაირნაირი ფორმის სამაგრებლები; მათაც ალბათ სხვადასხვა დანიშნულებისათვის იყენებდნენ. დიდ-პატარა ლურსმნები და სამაგრებლები განსაკუთრებით მრავლად IV ოთახში აღმოჩნდა. ლურსმნები მრგვალთავიანია ე.ი. ქუდიანები; ღერო მრგვალგანივკვეთიანი, იშვიათად ოთხკუთხოვანი. დიდი ლურსმნები უფრო მრავლადაა (ტაბ.XLV,6),[4] ვიდრე პატარები (ტაბ.XLV,5).[5]

## §.5 მ ო ნ ე ტ ე ბ ი

სასახლეში სულ 101 მონეტა აღმოჩნდა; აქედან 11 ვერ განისაზღვრა. ყველა სპილენძისაა და ძირითადად კარგადაა შენახული. ჩვენ გზადაგზა მათ შესახებ დაწვრილებით მივუთითებდით. ახლა მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ I ოთახიდან გვაქვს 6 მონეტა, II -4; III -არც ერთი; IV -80 (72 განძის სახით); კორიდორიდან -3; V ოთახიდან -3; VI -2; VII -3. მონეტები ასე განისაზღვრა: გიორგი III (1156-1160) -3 ცალი; დემეტრე I (1125-1131 წ.) -1 ცალი; რუსუდანი -74, თითქმის ყველა 1227 წელს მოჭრილი. ლაშა-გიორგის (1210 წ.) -5 ცალი; დავით ნარინის (1274-1248 წ.წ.) -1; ჯალალ-ად-დინის (1226 წ.) -2; მონღოლური (1293-1294 წ.წ.) -1; ილდიგიზიდის (1210-1225 წ.წ.) -1.

როგორც ვხედავთ მონეტების დიდი უმრავლესობა რუსუდანისაა -XIII ს. განძიც თითქმის მხოლოდ ამ მონეტებითაა წარმოდგენილი.

---

[1] 04-81-254. შემორჩ. სიგრ. -11 სმ., სიგ. -4,7 სმ., სისქე -3 სმ.

[2] 04-81-74.

[3] 04-76-2864. შემორჩ. ს. -2,3 სმ. დმ. -2,5 სმ.

[4] რ-61/3158,4106; რ-65-5593; 04-74/1283,1341,1485,1574,1966; 04-75/2091,2134,2032,2056; 04-81/256,359,381 და სხვ. თავის დმ. -0,5-0,6 სმ.

[5] 04-81/74,104,188,346; 04-82-33 - მთელია: სიგრ. -4,5 სმ. თავის დმ. -1-1,5 სმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## §.6 ძვლისა და ქვისნაწარმი

სასახლეში ძვლის ნივთები ძალზე მცირე რაოდენობითაა. შეგვიძლია დავასახელოთ დანა (ოთახი II), მძივი (ოთახი V) და კვირისტავი (ოთახი VII).[1] არის აგრეთვე დამუშავებული რქები და კოჭები -II, IV-VI ოთახებიდან.[2] ამგვარი ძვლის ნივთები, არც თუ დიდი რაოდენობით, მაგრამ თითქმის ყველგან გვხვდება XI-XIII სს. საქართველოს ნაქალაქარებზე [16, გვ.13-18].

სასახლის ტერიტორიაზე ქვის ნივთებიც ცოტაა. გვაქვს ქვის სანაყი (ოთახი II) და 2 სალესი ქვა (ოთახი V, კორიდორი);[3] ბაზალტის ქვის ხელსაფქვავის ზედა ნახევარი (ოთახი VII)[4] და ათიოდე ქვის ბირთვი (ოთახი II, V-VII).[5]

აღვნიშნავთ, რომ აქვე ნაპოვნია ბოლისფერი ობსიდიანის ნატეხები;[6] III ოთახის XI ს. დამწვარ იატაკზე კი - დამწვარი მარცვლეული.[7]

---

1 04-74-1120; 04-75-2284; 04-76-2775.
2 04-74-1288,1797; 04-75/2082,2265; 04-81-187.
3 04-74-1352; 04-74-1409; 04-75-2264.
4 04-77-3385.
5 04-74-1388; 04-75/2301,2348; 04-76-2734; 04-81-230.
6 04-74/1438,1392; 04-77/3381; 04-81/75,177.
7 04-85/14,96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასკვნა

სასახლე რუსთავის ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს (ტაბ.I). იგი მდგმულია ჩრდილო და აღმოსავლეთ ზღუდეზე და ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის დიდ ალიზიან ბურჯზე. ციხის ეს ადგილი ყველაზე მეტადაა დაცული. სასახლის კომპლექსი მოიცავს $16_{20-25}$, $17_{21-23}$, $25_{5-6}$, $26_{1-10,13-15,19,20}$; $27_{1-3,6-8,11-14,16-18,22-24}$; $37_{2-4,6-8}$ კვადრატების ნაწილებს (ტაბ.IV). მისი ფართობი დაახლოებით 500მ$^2$.

ძირითადად ორი სამშენებლო პერიოდი გამოიყოფა: IX-XI და XII-XIII სს.

შემორჩენილია 13 მასივური პილონი, რომელიც სასახლის თავდაპირველ - IX-XI სს. ნაგებობას ეკუთვნის და ალიზიანი ზღუდის ე.წ. შიდა ზღუდე II-ის თანადროულია. მათი მშენებლობა ერთდროულადაა ჩაფიქრებული (IX ს.); შემდეგში (XII ს.) - სასახლე აღდგენილი და გადაკეთებულია. ნაწილობრივ შეცვლილია გეგმაც, მაგრამ ძველი პილონები ისევ გამოყენებულია. შეინიშნება რამდენჯერმე შეკეთება-განახლების კვალიც. სასახლე განადგურებულია XIII ს. (1265 წ.) მონღოლთა შემოსევის შედეგად [128, გვ.96-98; 129, გვ.86-89; 130, გვ.244-246; 131, გვ.280; 133, გვ.61; 93, გვ.492; 134, გვ.89-91].

IX-XI სს. სასახლეს რუსული „Г"-ს მოყვანილობა აქვს. ჩრდილოეთ ზღუდეს ორ პარალელურ რიგად გასდევს 8, აღმოსავლეთ ზღუდეს კი -5 პილონი.

პილონები ნაგებია ყვითელი ბაზალტის რიყის ქვისა და აგურის შერეული წყობით, შეკავშირებულია დუღაბით. ყველა ხანძრისაგან დამწვარ-დამსკდარი, გაწითლებული და მონგრეულია. ისინი ძალიან ღრმად სხედან მიწაში. IV ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთი პილონი, ალიზიან ბურჯზე მიშენებული და ამავე ოთახის ჩრდილო-დასავლეთი პილონი, რომელიც საერთოა I ოთახთან, იწყება რიყის ქვაფენილზე (ოთახის შიგნით სიღრმეში გრძელდება), რომელზედაც დევს ჩრდილოეთი ზღუდის ალიზი. პილონებს შორის ჩაშენებული კედლებიც ალიზისაა. ეს კიდევ ერთხელ ნათელს ხდის, რომ ალიზიანი ზღუდე და სასახლე ერთდროულად და ერთნაირი სამშენებლო ტექნიკით არის აშენებული.

სასახლე გამართულია ძველი, რიყის ქვით ნაგებ ნასახლარებზე. ეს კარგად გამოჩნდა I, III ოთახების და კორიდორის იატაკების ჩაჭრისას.

თავდაპირველი სასახლე მოიცავს პილონებით შეკრულ ექვს ოთახს. იგი XI საუკუნეშია განადგურებული თურქ-სელჯუკების შემოსევის შედეგად. ეს კარგად ჩანს III და VI ოთახში, სადაც გამოვლინდა დამწვარი იატაკი მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალით.

XI საუკუნეში განადგურებული სასახლე XII საუკუნეშია აღდგენილი და გეგმაც ნაწილობრივ შეცვლილია: უქმდება თავდაპირველი კიბეები, კორიდორის დასავლეთი

ნაწილი, აგურით შენდება II ოთახი, აბანო. ამ ხანის სასახლეში შესასვლელი, სავარაუდოდ, დასავლეთის მხრიდან უნდა იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XII-XIII სს. სასახლის II სართულს საზეიმო დარბაზი წარმოადგენს. ამჟამად იგი შემორჩენილი არ არის. ამდენად გაურკვეველია თუ როგორი იყო მისი განათების სისტემა, რამდენი სარკმელი ამკობდა მას და სხვა. ამ მიმართებით, ანალოგიური ძეგლების მიხედვით, საინტერესო დეტალები დგინდება.

ნადარბაზევის სასახლის ყველაზე დიდ სენაკს აქვს ორ-ორი სარკმელი სამ კედელში [27, გვ.124; 31, გვ.33]; გეგუთში, დარბაზის გუმბათის ცენტრალური საშუქის გარდა ფანჯრებიც არის ნაგულისხმები, დასავლეთ კედელში და ჩრდილოეთშიც შესასვლელთან. ოთახებს, სამხრეთის მხარეზე ჰქონდათ დიდი ზომის ფანჯრები იატაკამდე დასული (6,5მx8მ; სიგ. -4,2მ. და 3,47მ.) [72, გვ.406].

გუდარეხის სასახლეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელში ორივე სართულზე 10 სარკმელი აქვს (5 მაღლა და 5 დაბლა) [41, გვ.88-90].

შემორჩენილია VIII-X სს. საერო ნაგებობებიც. ფეოდალთა სასახლეები ძირითადად ორსართულიანებია: ქვედა სამეურნეო - პატარა სასანთლეებით; ზედა - საცხოვრებელი და საზეიმო დიდი დარბაზებით, მთელ სიგრძეზე დიდი თაღისებური სარკმლების მწკრივით, რომელიც მიმართულია ველის მხარეს ან ხეობისკენ [94, გვ.15].

ცნობილია, რომ საერო შენობებში სარკმლები იწყება იატაკის დონიდან, ეკლესიებში კი ზემოთაა [70, გვ.52].

სავარაუდოდ, დიდი თაღისებრი სარკმლები უნდა ჰქონოდა რუსთავის სასახლესაც დასავლეთისა და სამხრეთის მხრიდან, რასაც ადასტურებს სარკმლის მინისა და სარკმლის ჩარჩოს დიდი რაოდენობით აღმოჩენა.

გამოვლენილია XII-XIII სს. სასახლის სრული გეგმა (ტაბ.XXXIX), რომელიც თავისებურია და განსხვავდება ზემოთ აღნიშნული ამ ხანის სასახლეებისაგან.

XII-XIII სს. თავდაპირველი სასახლის ექვსივე ოთახი ფუნქციონირებს; მას ემატება აგურის II ოთახი და აბანო, რომელიც ორ ზღუდეს შორისაა მოქცეული და სასახლეს უკავშირდება ზღუდეში ჩაჭრილი კიბეებით. ჩრდილოეთ ზღუდეზე, დასავლეთის მიმართულებით მიდგმულია I, III და VII ოთახი, ხოლო აღმოსავლეთის ზღუდეზე, სამხრეთის მიმართულებით V და VI ოთახი. აგურით ნაგები II ოთახი მდებარეობს I და III ოთახების მოპირდაპირედ, სამხრეთით. მათ შორის კორიდორია. XII-XIII სს. სასახლეში შეიმჩნევა რამდენჯერმე გადაკეთების კვალი. გამოვლინდა XIII ს. II ნახევარში განადგურებული თიხატკეპნილი და აგურფენილი იატაკები, კირხსნარიანი მოედნები თავისი მასალით; კარგად გამოჩნდა სხვადასხვა პერიოდების ნაგებობების შერწყმაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სასახლის კომპლექსის თხრის დროს გამოვლინდა კირხსნარიანი მოედნის ნაშთები, რომლებიც განლაგებულია სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა პერიოდისა ჩანან. ეს დგინდება როგორც სტრატიგრაფიული მონაცემებით, ისე მასალით. ასეთი მოედნები გამოვლენილია ნაგებობების გარეთაც და შიგნითაც. ხშირ შემთხვევაში მათზე დაშენებულია შემდგომი პერიოდის კედლები.

სასახლესა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლენილი ზედა დონის მოედნები ზედაპირიდან 0,6 მ სიღრმეზეა და გადადის 1მ. ნაყარზე, რომელიც ძირითადად შეიცავს XII-XIII სს. მასალას და შესაბამისად ამ ხანის ნაგებობათა ნაშთებს. ქვედა დონის მოედნის ნაშთები ზედაპირიდან 1,1-1,3 მ სიღრმეზეა. მის ქვემოთ კი ძირითადად გამოჩნდა X-XI სს. კერამიკული მასალა.

ისტორიული ვითარების გათვალისწინებით, ქვედა კირხსნარიანი დონე უნდა უკავშირდებოდეს XI ს. 60-იან წლებში თურქ-სელჯუკთა მიერ რუსთავის განადგურების შემდგომ ხანაში ციხისა და შესაბამისად სასახლის აღდგენა- განახლების პერიოდს, როცა მოხდა განადგურებული ფენის მოკირწყვლა - კირხსნარით დაფარვა. ზედა დონის კირხსნარიანი მოედნები კი XIII ს. 60-იან წლებში მონღოლთა შემოსევის შედეგად განადგურების შემდგომ ხანას უკავშირდება. აქ ცხოვრების აღდგენა მალევე ხდება. ამიტომ არის, რომ ამ დონეზე გამოვლენილი მასალები დიდად არ განსხვავდებიან XIII ს. მონაპოვრისაგან.

სასახლის საზეიმო დარბაზის შესახებ მსჯელობა შეგვიძლია მხოლოდ I სართულში ჩაქცეული მისი ნანგრევებით. როგორც ჩანს, დარბაზი გუმბათოვანი იყო, ხოლო დანარჩენი ოთახების გადახურვა ორქანობიანი, კრამიტით დაბურული.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსთავის სასახლე განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების უნიკალურ ძეგლს წარმოადგენს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს: ბათქაშით შელესილი აგურის კედლის ნარღვევებზე შემორჩენილი მოხატულობა. მაგალითად: შავ ცხენზე ამხედრებული, წითელსამოსიანი მხედრის გამოსახულება, გორელიეფის ნაწილი - ადამიანის გამოსახულებით, შელესილ ბათქაშებზე ამოკვეთილი ორნამენტის მრავალსახეობა; დეკორატიული, დაკბილული აგურები, კარნიზები, სამყურაყვავილიანი კრამიტები, ვიტრაჟები.

საერო მხატვრობისა და ვიტრაჟების აღმოჩენა განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს ნაქალაქარების თხრისას პირველი ფაქტობრივი დადასტურებაა. სარკმლის ჩარჩოები დამზადებულია სამშენებლო თაბაშირისაგან; მრავალფერად და მრავალგვარი ორნამენტით შემკულ სარკმლის მინას კი საქართველოს გარეთ ანალოგი არ ეძებნება.

სასახლე ერთბაშად, მტრის ხელით არის განადგურებული. მთელ ფართობზე ძლიერი ხანძრის კვალია: ცეცხლისაგან დამწვარ, დამსკდარ-დარღვეული კედლები,

დამწვარი ძელები, კერამიკა და სარკმლის მინა, ადამიანთა ჩონჩხები და სხვ. დამწვარ იატაკზე მიმობნეული მონეტების განძი და სასახლეში აღმოჩენილი სხვა მონეტები ამ ფენაში აღმოჩენილ მასალას კარგად ათარიღებს XII-XIII სს. ამრიგად, სასახლის, ისევე როგორც ქალაქ რუსთავის განადგურება უკავშირდება საქართველოში მონღოლთა 1265 წლის შემოსევას. ეს არის რუსთავის სასახლის არსებობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი.

კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ რუსთავის ციხეზე გათხრილი სასახლის სტრატიგრაფია: იგი დგას რიყის ქვით ნაგებ ნამოსახლარზე; სასახლის ფუნქციონირების პირველი ქრონოლოგიური პერიოდია IX-XI სს, ხოლო II-XII-XIII სს. სასახლის განადგურების შემდეგ (1265 წ.) მის ოთახებში მალევე ჩაუდგამთ რიყის ქვის სენაკები და დარბაზული ტიპის ეკლესია (ტაბ.III,XIX).

ცნობილია, რომ შუა საუკუნეების ქართული ქალაქები ყალიბდებოდა გეგმაზომიერად. ჰქონდა თავისი ადმინისტრაციული ცენტრი შესაბამისი ნაგებობებით. დაყოფილი იყო კვარტლებად, სავაჭრო და სახელოსნო უბნებად და შემოზღუდული იყო დამცველი კოშკებითა და ბურჯებით.

ქალაქის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა სასახლის უბანი. სასახლე შენდებოდა მონუმენტურად, მაღალი გემოვნებით საგანგებოდ შერჩეულ ადგილას. ივ.ჯავახიშვილი წერდა, რომ სასახლეები მარტო მეფეებს კი არა, აზნაურებს და ფეოდალებსაც ჰქონდათ. სასახლეები ქუჩისა და გზის პირას არ იდგნენ; ისინი იყვნენ დაცული. მათი აგების დროს საგანგებოდ არჩევდნენ ადგილს და მხოლოდ ნაგებობაზე კი არ ზრუნავდნენ, არამედ ყურადღებას აქცევდნენ მთელი გარემოს სილამაზეს [76, გვ.12-14].

ამის თვალნათლივ მაგალითს წარმოადგენს რუსთავი. ნაციხვარის ტერიტორიაზე საგანგებოდაა შერჩეული ადგილი სასახლისათვის, რომელიც დომინირებს მთელ ფართობზე. იგი დაცულია როგორც ბუნებრივი მდებარეობით, ისე ხელოვნური გამაგრებით: მდ. მტკვრით, მისგან გამოყვანილი არხით და ძლიერი ზღუდე-ბურჯებით.

